# ლელო

№001 (12 378)

4 იანვარი პარასკევი 2008
გამოდის 1934 წლიდან

ფასი 50 თეთრი


## მოსალოდნელია ცვლილებები

# სვანაძეს და შეყილაძეს ჭაბუკთა ნაკრებისთვის ამზადებენ





### რას უპირებენ ჰაინც ტოპმიოლერს?

ვრცლად 2



### ჯელაძის შემდეგ ამერი ხვადაგიანმაც დატოვა



### ჩასემი ზესტაფონში?

საკლუბო ამბები 2,3



### ირლანდიასთან უნდა მოგვეგო!

რაგბი. ინტერვიუ ირაკლი მაჩხანელთან 11

მოლაპარაკებები ამხანაგური მატჩებისთვის 2

# მარტი: მაკედონიაში, სერბეთში ან ხორვატიაში



# გოგუამ სატურნი მაინც დატოვა

მარცვალაძე და ალადაშვილი ხარკოვში 4

# ინგლისში კიდევ ერთი სკამი შეირყა

პრემიერლიგის საახალწლო ტური 5



# ბაიერნი მოლიპულ გზაზე

ოტმარი შეიძლება მარჩელომ შეცვალოს? 6



# ნოდარ ახალკაცი 70

გახსენება 4

ეროვნული ნაკრები. ამხანაგური მატჩი

# მარტში მაკედონიაში, სერბეთში ან ხორვატიაში



უჩა უგულავა

ყველასათვის კარგადაა ცნობილი, რომ 6 თებერვალს საქართველოს ნაკრები წლის პირველ მატჩს გამართავს. კლაუს ტოპმიოლერის გუნდი ლატვიას შინ ამხანაგურად გაეჯიბრება. ფიფას მიერ, ამხანაგური მატჩებისთვის გამოყოფილი შემდეგი თარილი 16 მარტია და ამ დღეს ჩვენი ეროვნული კიდევ ერთ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს.

16 მარტისთვის მაკედონიასთან ამხანაგური თამაშის გამართვის ვარიანტი რომ განიხილებოდა, ეს ჯერ კიდევ რამდენიმე კვირის წინ გახდა ცნობილი. მაკედონიის გარდა, ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია ბალკანეთის ქვეყნების კიდევ სხვა ფედერაციებთან წარმართავს მოლაპარაკებებს. როგორც ჩვენთვის გახდა ცნობილი, ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია მაკედონიის გარდა, სერბეთისა და ხორვატიის ფეხბურთის ფედერაციებთანაც აწარმოებს მოლაპარაკებებს. ეს ცნობა გუშინ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა **უჩა უგულავამ** დაგვიდასტურა.

*"დიახ, მართალია, მაკედონიის გარდა, სერბეთის, ხორვატიისა და სხვა ქვეყნების ფედერაციებთანაც ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს. ვნახოთ, შედეგები მალე გახდება ცნობილი. რაღა თქმა უნდა, ყველანაირად შევეცდებით, ჩვენთვის საუკეთესო ვარიანტი ავირჩიოთ"*, - უთხრა "ლელოს" უგულავამ.

**დავით ცაბაძე**



ნიკოლოზ გელაშვილი (მარცხნივ) ლიტვასთან მატჩში

# ვიტ ჯორჯია პილსით და ზოოპლაზათი მოფულიანდა

## უგელაშვილო ვიტელებს ჭაბუკები და ლონლაძე შეემატათ

„ვიტ ჯორჯიამ" სეზონის მეორე ეტაპისთვის მზადება 25 დეკემბერს დაიწყო, მერე რამდენიმე დღით დაასვენა და ვარჯიში გუშინ განაახლა.

გუნდი დატოვა 22 წლის ცენტრფორვარდმა **ნიკა გელაშვილმა**. ის უცხოეთში აპირებს წასვლას, თუმცა ახალი გუნდი ჯერ არ გამოუძებნია. გელაშვილი ცენტრალური თავდამსხმელის პოზიციაზე „ვიტ ჯორჯიაში" საუკეთესო იყო და ცხადია, მისი წასვლა ვიტელებისთვის უმნიშვნელო დანაკლისი არ იქნება. ამ პოზიციაზე დასამკვიდრებლად „ვიტ ჯორჯიაში" სავარაუდოდ სამი კაცი იბრძოლებს - **ვასილ ლუჭაშვილი, გიორგი ბერიაშვილი** და **ირაკლი კიკნაძე**, ვისაც ბოლო დროს ტრავმა აწუხებდა, ახლა კი ჯანზეა.

**ლუკა რაზმაძე** და **გიორგი დათუნაიშვილი** - ამ ნახევარმცველებთან „ვიტ ჯორჯიამ" ახალი კონტრაქტი გააფორმა - რაზმაძესაც და დათუნაიშვილსაც ორი წლით გაუხანგრძლივა ხელშეკრულება. მოკლედ, „ვიტ ჯორჯიამ" მთელი შუა ხაზი შეინარჩუნა - რაზმაძე-დათუნაიშვილის გარდა ვიტელებს ამ პოზიციაზე კიდევ **რევაზ ინჯგია, გაგა ბეჭვაია, გიორგი მელქაძე** და **ირაკლი კლიმიაშვილი** ჰყავს.

რაც შეეხება ვიტელთა დაცვას, გუნდიდან წასვლას აპირებს 24 წლის **პაატა დათუნაიშვილი**. ის ძალიან მნიშვნელოვანი მოთამაშე იყო „ვიტ ჯორჯიისვის", ბოლოს მარჯვენა მცველად თამაშობდა, თუმცა ნახევარდაცვაშიც ერთობ საიმედოა, მისებრ ჟინიანი ფეხბურთელი საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში ბევრი ნამდვილად არ არის. პაატა დათუნაიშვილი ახლა კონკრეტულ შემოთავაზებას ელის უცხოეთიდან. თუ მისი საზღვარგარეთ წასვლა ვერ მოხერხდება, „ვიტ ჯორჯიას" სურვილია, ისევ თავისთან იგულოს ორივე ძმა დათუნაიშვილი.

კლუბმა დაიბრუნა მცველი **თემურ ლონლაძე**, რომელიც „ბორჯომში" ჰყავდა განათხოვრებული. ლონლაძე „ბორჯომში" ბოლო დროს ერთობ კარგად თამაშობდა და თუ პაატა დათუნაიშვილი „ვიტ ჯორჯიიდან" წავა, მისი შემცვლელი უკვე გამოძებნილი ჰყავს.

„ვიტ ჯორჯიამ" მეორე გუნდიდან სამი 17 წლის ნახევარმცველი გადმოიყვანა - **ჯანელიძე, ვასაძე** და **მაისაშვილი**. თუმცა დავით მაისაშვილმა ამ ჩემპიონატის პირველ წრეში ერთი თამაში უკვე ითამაშა პირველ გუნდში - თბილისის „დინამოსთან" შეცვლაზე შეუშვეს.

ვიტელთა კაპიტანი **ალექსანდრე კვახაძე** უცხოეთში წასვლას კი ეშურება, თუმც ამ დროისთვის ისევ „ვიტ ჯორჯიაშია". ვიტელებმა მეორე გუნდიდან 17 წლის მცველი **კასრაძეც** აიყვანეს. თუ კვახაძე „ვიტ ჯორჯიიდან" წავა, მისი შესაძლო შემცვლელები **ალექსი კაიშაური** და **გურამ ადამაძე** იქნებიან.

„ვიტ ჯორჯია" 2008 წელს ორი ახალი სპონსორით შეხვდა - გაფორმდა კონტრაქტი ამერიკულ კომპანია „პილსთან" და ქართულ-ამერიკულ ფირმა „ზოოპლაზასთან".

ვიტელები 4 თებერვალს ანთალიაში გაემგზავრებიან თხუთმეტი დღით და იქ სავარაუდოდ ოთხ ტესტ-მატჩს გამართავენ.

**დავით თავართქილაძე**

ჭაბუკთა ნაკრებები

# ცანკერი, ალბათ, აღარ იქნება. ჰაინცი?

## შეყილაძე და სვანაძე ჭაბუკთა ნაკრებების თავკაცებად?

*"ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერთან კონტრაქტის 2 წლით გაგრძელებაზე შეთანხმება უკვე მიღწეულია. 21-წლამდელთა ნაკრების მთავარ მწვრთნელ* ***პეტარ სეგრტს*** *მოქმედი კონტრაქტი აქვს და მისი საკითხი არც კი დასმულა დღის წესრიგში. რაც შეეხება ჭაბუკთა ნაკრებებს, ამ საკითხს მალე გადავწყვეტთ"*, - აღნიშნა ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ნოდარ ახალკაცმა** 21 დეკემბერს გამართულ პრესკონფერენციაზე.

ჭაბუკთა ნაკრებებში კი ჩვენი ინფორმაციით, საკადრო ცვლილებებია მოსალოდნელი. როგორც გავიგეთ, **ჰერბერტ ცანკერი** და **ჰაინც ტოპმიოლერი** ალბათ აღარ გააგრძელებენ მუშაობას და მათ ქართველი მწვრთნელები შეცვლიან. შესაძლოა, 17-წლამდელთა ნაკრების თავკაცად **გელა შეყილაძე** დაინიშნოს, 19-წლამდელებს კი **ზაურ სვანაძემ** უხელმძღვანელოს. ამ მოსალოდნელ ცვლილებათა შესახებ ფეხბურთის ფედერაციის გენერალურ მდივან **უჩა უგულავას** დავეკითხეთ.

*"ჯერჯერობით, ამ თემაზე გადაწყვეტილება არ მიგვიღია. 15-16 იანვრამდე* ***კლაუს ტოპმიოლერთან*** *ერთად შევიკრიბებით და ამ საკითხზე საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით.*

*ჰერბერტ ცანკერი და ჰაინც ტოპმიოლერი ჭაბუკთა ნაკრებებში აღარ იმუშავებენ? არ ვიცი, გადაჭრით ვერაფერს გეტყვით. ალბათ, ცანკერი აღარ უთავკაცებს 17-წლამდელებს, მაგრამ ეს საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არაა. რაც შეეხება ჰაინც ტოპმიოლერს, მის შესახებ გადაჭრით ვერაფერს გეტყვით.*

*17 წლამდელთა ნაკრებს გელა შეყილაძე, ხოლო 19-წლამდელებს ზაურ სვანაძე უხელმძღვანელებს? ჯერჯერობით, ვერაფერს გეტყვით, ამ საკითხზე ჯერ არ გვიმსჯელია. შესაძლოა, ეს ვარიანტიც განვიხლოთ. ერთი სიტყვით, ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელების საკითხი იანვარშივე გადაწყდება"*, - გვითხრა უჩა უგულავამ.

**დავით ცაბაძე**



ჰაინც ტოპმიოლერი



ერიკ რომეო ჩასემი

სავარაუდო ტრანსფერი. სამზადისი

# ჩასემი ზესტაფონში?

ბოლნისის "სიონმა" სეზონის მეორე ნახევრისთვის სამზადისი გუშინ გააგრძელა. **გიორგი ყიფშიძის** გუნდმა ვარჯიშები ჯერ კიდევ დეკემბრის მიწურულს, თბილისის იპოდრომზე დაიწყო. მერე ბოლნისელებმა ახალი წლის დღეებში დაისვენეს და წვრთნა გუშინ განაახლეს.

როგორც უკვე გაუწყეთ, "სიონი" რვა ფეხბურთელმა დატოვა. ეს ის ფეხბურთელები არიან, რომელთაც ნაკლებად უწევდათ ბოლნისელთა გუნდის ძირითად შემადგენლობაში თამაში. ქართველებთან ერთად, ამ რვა ფეხბურთელში ერთი ლეგიონერიც იყო –კამერუნელი თავდამსხმელი **გასტონ ევოჩე**.

იმასაც შეგახსენებთ, რომ "სიონს" ევოჩეს გარდა, დარჩენილი ორი კამერუნელი ფეხბურთელის, **ბოიომო ფრიდოლინისა** და **ერიკ რომეო ჩასემის** გასხვისებაც სურდა. ბოიომოსი რა მოგახსენოთ, მაგრამ ჩასემით 2-3 ქართული კლუბი იყო დაინტერესებული. მათ შორის ყველაზე უფრო "ზესტაფონი" აქტიურობდა. შესაძლოა, "ზესტაფონის" ლეგიონერთა რიცხვი კიდევ ერთით გაიზარდოს. ჩვენი ინფორმაციით, "ზესტაფონი" "სიონთან" ჩასემის გადაბირების თაობაზე აწარმოებს მოლაპარაკებებს. ეს ცნობა ბოლნისური კლუბის ხელმძღვანელებმაც დაგვიდასტურეს.

*"ზესტაფონიდან" ერიკ რომეო ჩასემის მიმართ მართლაც არის დაინტერესება. ამჟამად კლუბებს შორის მიმდინარეობს მოლაპარაკებები და იმედი გვაქვს, შედეგიანად დასრულდება. ჩასემი ჩვენი გუნდისთვის საჭირო ფეხბურთელია. თუმცა, თუ სხვა გუნდი მისით დაინტერესდება და ჩვენი ინტერესიც დაკმაყოფილდება, ჩვენ მას ხელს არ შევუშლით. ერთი სიტყვით, თუ კლუბები მოვრიგდებით, ტრანსფერი აუცილებლად შედგება"*, - აღნიშნა ბოლნისის "სიონის" გენერალურმა მენეჯერმა **ჯემალ ჭიპაშვილმა**.

**დავით ცაბაძე**

## თარიღი



**გივი ნოდია. 02.01.1948, ქუთაისი — 07.-05.2005, თბილისი.** ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა ქუთაისის "ტორპედოში" (1965-66), თბილისის "დინამოსა" (1967-75) და მოსკოვის "ლოკომოტივში" (1976-78). სსრკ ნაკრებში ითამაშა 22 მატჩი (5 გოლი). ევროპის ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1972), მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე (1970), ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (1972), ევროპის იუნიორთა ტურნირში გამარჯვებული (1966). სსრკ უმაღლეს ლიგაში ჩაატარა 314 მატჩი (93 გოლი). სსრკ ჩემპიონატების ოთხგზის მესამე პრიზიორი (1967, 69, 71, 72), სსრკ თასის გათამაშების ფინალისტი (1970), სსრკ ჩემპიონატის საუკეთესო ბომბარდირი (1970). გრიგორი ფედოტოვის სახელობის "ასიანთა კლუბის" წევრი (113 გოლი). იყო ქუთაისის "ტორპედოს" (1982, 1984-86), რუსთავის "გორდას" (1988-92), თბილისის "დინამოს" (1993-94, 2001), სანქტ-პეტერბურგის "ლოკომოტივისა" (რუსეთი, 1995-99) და თბილისის "ლოკომოტივის" (2001) მთავარი მწვრთნელი. მისი ხელმძღვანელობით თბილისის "დინამო" ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი (1993-94) და ორჯერ მოიპოვა საქართველოს თასი (1993-94). ღირსების ორდენის კავალერი.

გახსენი...
ყაზბეგი
ქართულ ფეხბურთს წარმოგიდგენთ კომპანია ყაზბეგი
www.kazbegi.com
www.pfl.ge





ოთარ მარცვალაძე

# გოგუამ სატურნი მაინც დატოვა

რამენსკოეს „სატურნი“ ქართველმა ნახევრამცველმა **გოგიტა გოგუამ** მაინც დატოვა. ჯერ კიდევ შარშან მარტში დაწყებული გაუგებრობამ საქართველოს ნაკრების წევრი კიდევ ერთხელ აიძულა, ახალი კლუბი მოეძებნა.

რამენსკოელთა მთავარმა მწვრთნელმა **გაჯი გაჯიევმა** სამარის „კრილია სოვეტოვიდან“ ორი ყოფილი შეგირდი გადაიბირა (კამერუნელი მცველი ბენუა ანგბვა და ბოსნიელი ფორვარდი მარკო ტოპიჩი), სამაგიეროდ, გოგუა მის გუნდში აღარ იქნება. ინფორმაცია კლუბის ოფიციალურმა ვებ-გვერდმა დაადასტურა.

როგორც ჩანს, რამენსკოელებმა „ხიმკის“ ყოფილ ვიცე-პრეზიდენტ **ანდრეი ჩერვიჩენკოს** პირობა დაურღვიეს და შეპირებული 700 ათასი დოლარი დროულად არ გადაუხადეს.

სად ითამაშებს გოგუა ჯერ კიდევ არაა ცნობილი. თუმცა ვიცით, რომ პეტერბურგის „ზენიტის“ ინტერესი ჯერ კიდევ დღის წესრიგშია.

**მერაბ მამულაშვილი**



გოგიტა გოგუა

# ალადაშვილი და მარცვალაძე ხარკოვში

კიევის „დინამომ“ კახა **ალადაშვილისა** და **ოთარ მარცვალაძის** „ხარკოვში“ გადასვლა გადაწყვიტა, რასაც უკრაინული პრესა გადაჭრით ამტკიცებს.

ამასობაში, გაზეთმა „კომანდამ“ პირეველი წრის ყველაზე უდისციპლინო ფეხბურთელების სია გამოაქვეყნა და აღმოჩნდა, რომ კარგ თამაშთან ერთად, ალადაშვილი წითელ-ყვითელი ბარათების კოლექციონერიც ყოფილა. მან ერთი წითელი და ხუთი ყვითელი ბარათი მიიღო. ამ მაჩვენებლით, ქართველი ფეხბურთელი კიდევ ორთან მეორე-მეოთხე ადგილს იყოფს.

**მერაბ მამულაშვილი**

# მამუკა ჯუღელი: ანჟის ახალი გენერალური დირექტორი

**მამუკა ჯუღელი**, რომლის სახელთანაც მრავალი ქართველი ფეხბურთელის ტრანსფერი ასოცირდება, მალე რუსეთის ერთ-ერთ კლუბში სამუშაოდ გადავა. ინფორმაცია თავადაც დაგვიდასტურა, მაგრამ სად და რომელ კლუბში, ამის შესახებ საუბარს მოერიდა. ის კი გაგვიმხილა, რომ ეს კლუბი საკმაოდ ამბიციურია და მისი გენერალური დირექტორის პოსტს დაიკავებს.

ჩვენ თვის ცნობილი გახდა, რომ ჯუღელს მახაჩყალის „ანჟის“ გენერალური დირექტორობა შესთავაზეს და მას კონტრაქტი ჯკერ კიდევ დეკემბერში უნდა გაეფორმებინა, მაგრამ გადაუდებელი საქმეების გამო, საქართველოში იმყოფებოდა.

სავარაუდოდ, ჯუღელი დაღესტანელებთან კონტრაქტს თურქეთში გააფორმებს, სადაც გუნდი ამჟამად შეკრებაზეა.

**მერაბ მამულაშვილი**

საკლუბო ამბები

# ამერი შეკრებაზე იმერში მიდის

## ჯელაძის შემდეგ ამერი ხვადაგიანმაც დატოვა

საშუასეზონო შვებულება დაუმთავრდა საქარველოს თასის ორგზის მფლობელ თბილისის „ამერს“. **გიორგი ჩიხრაძის** გუნდი თვის ბოლომდე დედაქალაქში ივარჯიშებს, მერე კი გრიგოლეთში გააგრძელებს წვრთნას. შესაძლოა, „ამერი“ გრიგოლეთში ხელმეორედაც გაემგზავროს - თუ იქ სპარინგ-პარტნიორებს შეიგულებს.

**გიზო ჯელაძის** ამბავი გეცოდინებათ. **მასზე** გასული წლის მიწურულს ვწერდით.

*„ჩემი ტრანსფერი უკვე გადაწყვეტილი ამბავია. „ამერს“ ყველაფერზე შევუთანხმდი, მიუხედავად იმისა, რომ კონტრაქტი მაისში მიმთავრდებოდა, კლუბში არანაირი პრობლემა არ შეუქმნიათ. რაც შეეხება ახალ გუნდს, ის უსტ-კამენოგორსკის „ვოსტოკია“, სადაც ჩემი ძმა ზვიადი მეორე წე;ლია თამაშობს. მართალია, ჩემპიონატში მხოლოდ მეშვიდე ადგილი დაიკავეს, მაგრამ მომავალი სეზონიდან ახალ ფეხბურთელების დამატებას და გაძლიერებას გეგმავენ.*

*გუნდს 8 იანვარს თურქეთში შევუერთდები. „ვოსტოკი“ პირველ შეკრებას ანთალიაში აწყობს და კონტრაქტსაც იქვე მოვაწერ ხელს. მე გასასინჯად არ მივდივარ. 32 წლის კაცს რაღა გასინჯვა სჭირდება? პირდაპირ ერთწლიან კონტრაქტს გავაფორმებ. ყაზახები დიდი ხანია ჩემით დაინტერესდნენ, ზაფხულშიც მიწვევდნენ, მაგრამ მაშინ უარი ვუთხარი. ახლა კი ასე გადავწყვიტე“* - გვითხრა „ამერის“ ან უკვე ყოფილმა ნახევრამცველმა.

საახალწლოდ კი „ამერს“ კიდევ სამი ფეხბურთელი გამოაკლდა - **ვახტანგ ხვადაგიანი, გიორგი ვარდოსანიძე** და **მიხეილ კობაური**.

ვარდოსანიძე და კობაური „ამერმა“ საამსეზონოდ აიყვანა. ვარდოსანიძე მანამდე გორის „დილაში“ იყო, კობაური - ბოლნისის „სიონში“. როგორც ჩანს, მათ ვერ მოიკიდეს ფეხი უფრო ამბიციურ კლუბში.

რაც შეეხება ხვადაგიანს, ის „ამერში“ ძალიან სასარგებლო ფეხბურთელი იყო, მაგრამ ბოლო დროს ძირითადში მოხვედრა უჭირდა, რაშიც ტრავმიანობამაც დარია ხელი. ისიცაა, რომ ხვადაგიანს წლეულს 36 წელი უსრულდება.

**გიორგი დეკანოსიძეთი** პოლონური „ბელხატოვი“ დაინტერესდა **დიმიტრი ტატანაშვილით** ჩეხური და უკრაინული კლუბები - ასეთი იყო ვითარება ახალ წლამდე, თუმცა საქმე ამის იქით არ წასულა - დეკანოსიძე და ტატანაშვილი ჯერჯერობით ახლაც „ამერში“ არიან.



ხვადაგიანი (მარჯვნივ) ამერიდან წავიდა

**მერაბ მამულაშვილი**
**დავით თავართქილაძე**

GEO FM 95.1
ავტორადიო თბილისი

ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲘ... ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲡ ᲬᲐᲠᲛᲝᲒᲘᲓᲒᲔᲜᲗ ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲐ ᲧᲐᲖᲑᲔᲒᲘ

www.kazbegi.com www.pfl.ge



ᲘᲣᲑᲘᲚᲔ. ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ 70

# ᲒᲐᲜᲣᲛᲔᲝᲠᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ

შესანიშნავ პიროვნებას, ფეხბურთის შეუდარებელ სპეციალისტს, **ნოდარ ფარსადანის ძე ახალკაცს** 2008 წლის 2 იანვარს დაბადებიდან 70 წელი შეუსრულდებოდა. ის დაიბადა თბილისის ერთ-ერთ კოლორიტულ უბანში ნაძალადევში, დაამთავრა №9 საშუალო სკოლა, შემდეგ თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინსტიტუტი და ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი.

ბავშვობის წლები ნოდარ ახალკაცმა გაატარა ზემო იმერეთში, ხარაგაულში, სოფელ ჯაფარეულში. მის ლამაზ ეზოში დღესაც შემორჩენილია ძველი ეკლესიის ნაშთები, რომლის აღდგენა მან ვერ მოასწრო. ამჟამად იქ დგას ნოდარ ახალკაცის ოდა სახლი, სამეზობლოდ, იქაურებისგან რამდენჯერმე გაქურდული.

ნოდარ ახალკაცის პირველი მწვრთნელი სახელოვანი **გრიგოლ გაგუა** იყო. შემდეგ ის თამაშობდა თბილისის ოფიცერთა სახლის გუნდში და თბილისის „ლოკომოტივში". ამ გუნდებში მისი პარტნიორები იყვნენ წარსულში ცნობილი ფეხბურთელები: **გიგა ნორაკიძე, იური კურტანიძე, გივი მუმლაძე, ომარ ურთქმელიძე, ოთარ რუხაძე, თემურ ცერცვაძე, მიხო მიქაძე, ლუტა ჭანტურია, შალვა ჭრელაშვილი, რობერტ ჭანჭალეიშვილი, მიხეილ მიროშნიკოვი, ძმები ანატოლი და ვასილ ივანოვები.**

დიდმა **ანდრო ჟორდანიამ** ადრევე შენიშნა ნოდარ ახალკაცში სამწვრთნელო ნიჭი და ურჩია **ზურაბ ქვარიანს** იგი თბილისის „ლოკომოტივში" უფროს მწვრთნელად მიეწია. ეს მოხდა 1967 წელს.

1971 წელს საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი სიხარულიძემ**, ნოდარ ახალკაცი რესპუბლიკის ფეხბურთის სამმართველოს უფროსად დანიშნა. 1975 წელს ნოდარი თბილისის „დინამოში" გუნდის უფროსად გადაყავთ. მაშინ გუნდის უფროსი მწვრთნელი იყო საყოველთაოდ აღიარებული სპეციალისტი **მიხეილ იაკუშინი.** იმ წლის ბოლოს იაკუშინმა საკუთარი სურვილით დატოვა გუნდი და მის ადგილზე რეკომენდაცია ნოდარ ახალკაცს გაუწია. თუ როგორ გაამართლა ნოდარმა ეს დიდი და საპატიო ნდობა, საყოველთაოდ ცნობილია.

ნოდარ ახალკაცი უფროსი მწვრთნელის პოსტზე ხელცარიელი არ მისულა. მას უკვე ჰქონდა გუნდის გარდაქმნის მისეული გეგმა, რასაც მიზანდასახულად ახორციელებდა. დანიშვნისთანავე მან მიიწვია ისეთი სპეციალისტები როგორებიც იყვნენ: **ნიაზ ძიაპშიპა, სლავა მეტრეველი, სერგო კუტივაძე და აკაკი ხუციშვილი.** სამედიცინო დარგი კი **ზაქარია თელიას** და **ანზორ გაბიტაშვილს** მიანდო.

ნოდარ ახალაცის ხელმძღვანელობით თბილისის „დინამომ" დიდ.წარმატებას მიაღწია 1976 წელს 3 სექტემბერს, როდესაც ქვეყნის თასის ფინალში, მოსკოვში, ლუჟნიკებზე, 3:0 დაამარცხა ერევნის „არარატი". სხვათა შორის, ეს იყო პირველი გამარჯვება ფინალში გუნდის ისტორიაში. თბილისის დინამოელებმა თასი მეორეჯერ 1979 წელს მოიპოვეს, დაამარცხეს რა ფინალში მუდმივი მეტოქე მოსკოვის „დინამო".

1978 წელს ნოდარ ახალკაცის ხელმძღვანელობით თბილისის დინამოელები ოქროს მედლებს დაეუფლნენ, ქვეყნის ჩემპიონები გახდნენ. იმ წელსვე მცირე ოქროს მედლები მოიპოვა თბილისის „დინამოს" დუბლშემადგენლობამაც.

ნოდარ ახალკაცის გუნდმა ისტორიულ გამარჯვებას მიაღწია 1981 წლის 13 მაისს დიუსელდორფში. მაშინ თასების მფლობელთა თასის ფინალში თბილისის დინამოელებმა 2:1 დაამარცხეს იენის „კარლ ცაისი". ბურთები გაიტანეს **ვლადიმერ გუცაევმა** და **ვიტალი დარასელიამ.**

საერთოდ, ნოდარ ახალკაცის დროინდელმა თბილისის „დინამომ" დაამარცხა ევროპის ისეთი გრანდები, როგორებიცაა: მილანის „ინტერი", ნეაპოლის „ნაპოლი", ინგლისის „ლივერპული", ჰოლანდიის „ფეიენოორდი", ბერლინის „ჰერტა" და „კარლ ცაისი".

1981 წლის საფეხბურთო სეზონის ბოლოს, საკავშირო ფეხბურთის სამმართველომ ამხანაგური შეხვედრების ჩასატარებლად იაპონიასა და კორეაში გააგზავნა საბჭოთა კავშირის ნაკრები. ყველასათვის მოულოდნელად ნაკრების მწვრთნელებად დანიშნეს **ნიკიტა სიმონიანი** და ნოდარ ახალკაცი. საბჭოთა კავშირის ნაკრებმა ტურნე წარმატებით ჩაატარა. ნიკიტა სიმონიანი და ნოდარ ახალკაცი ნაკრების სამომავლო გეგმებზე ფიქრობდნენ. ნათქვამია, კაცი ბჭობდა და ღმერთი იცინოდაო, ისე დაემართა ორ ნიჭიერ კავკასიელს. რუსულმა შოვინიზმა ვერ აიტანა მათი ნაკრების თავკაცობა და ისე დაითხოვეს, წინდაწინ არც კი გააგებინეს. მაშინ ნაკრების უფროს მწვრთნელად დაინიშნა **კონსტანტინე ბესკოვი**, შირმად, არაფრისმკითხე მწვრთნელებად კი **ვალერი ლობანოვსკი** და ნოდარ ახალკაცი.

ნოდარ ახალკაცი თავის რთულ საქმეში ბევრ წინააღმდეგობებს აწყდებოდა. ოღონდ, საკვირველი ის არის, პირველი მისი მოწინააღმდეგე რესპუბლიკის სპორტკომიტეტის თავმჯდომარე **დავით პერტენავა**, რომ იყო.

თავიდან ნოდარ ახალკაცმა იგი გუნდის საშინაო საქმეებში არ ჩაახედა, რამაც თავმჯდომარე გაალიზიანა და ბოლომდე მის ოპონენტად დარჩა. 1977 წლის დეკემბერში, თბილისის „დინამომ" მესამე ტურის შეხვედრა წააგო უეფას თასზე შვეიცარიის „გრასხოპერთან". ამის გამო, დავით პერტენავამ ნოდარ ახალკაცის გუნდიდან განთავისუფლება მოინდომა, მაგრამ ეს ვერ მოახერხა. ნოდარ ახალკაცის გვერდით დადგნენ ისეთი ცნობილი ფეხბურთელები, როგორებიც იყვნენ: **ბორის პაიჭაძე, გრიგოლ გაგუა** და **გიორგი ანთაძე.** საღმა აზრმა გაიმარჯვა. ამ კონფლიქტის გამო გუნდიდან დაითხოვეს ჯერ **ნიაზ ძიაპშიპა**, შემდეგ **სლავა მეტრეველი.**

ახლა ერთი გაუხმაურებელი ფაქტის შესახებ. 1977 წლის დეკემბრის სუსხიან დღეს დილმის საწვრთნელ ბაზაზე ნოდარ ახალკაცს შინაგან საქმეთა მინისტრი, სპორტსაზოგადოება „დინამოს" თავმჯდომარე **კონსტანტინე კეთილაძე** ესტუმრა. მასპინძელმა სტუმარს განცხადება გადასცა. კეთილაძე შეიშმუშნა, სახეზე ეტყობოდა, განცხადების შინაარსი არ მოსწონდა. ცოტა ხნის პაუზის შემდეგ ხმამაღლა თქვა: ჩემო ნოდარ, თუ ჩემი ხათრი გაქვს, ეს განცხადება უკან წაიღე, ნუ ფიქრობ იტალიაში წასვლაზე, პატიოსან სიტყვას გაძლევ, შენს საქმეში დღეიდან ვერავინ ველარ ჩაერევაო. მართლაც, ნოდარ ახალკაცი თბილისში დარჩა და რა დიდ წარმატებებსაც მიაღწია ქართულ ფეხბურთში, საყოველთაოდაა ცნობილი.

1990 წელს ნოდარი საქართველოს ფეხბურთის პრეზიდენტად აირჩიეს. ეს პოსტი მას 1998 წლამდე, გარდაცვალებამდე ეკავა. მისი ძალისხმევით გაწევრიანდა ჩვენი ფეხბურთის ფედერაცია ფიფასა და უეფაში. დიდია ღვაწლი ნოდარ ახალკაცისა ქართული ფეხბურთის წინაშე. არც ერთ ქართველ ფეხბურთის სპეციალისტს არ მიუღწევია ისეთი დიდი წარმატებებისთვის, რასაც მან მიაღწია. ეს პერიოდი ხომ ქართული ფეხბურთის რენესანსი იყო.

მისი გარდაცვალებიდან 10 წელი გავიდა და დღემდე თბილისში არ არსებობს ნოდარ ახალკაცის სახელობის ქუჩა, სკოლა ან სტადიონი. გავიხსენოთ, როგორ დააფასა უკრაინელმა ხალხმა ვალერი ლობანოვსკი ან აზერბაიჯანელებმა ტოფიკ ბახრამოვი.

**ᲓᲣᲠᲛᲘᲨᲮᲐᲜ ᲪᲘᲜᲪᲐᲫᲔ**



ალექსანდრე კოპრიაშვილის ფოტო

2 იანვარს ვეტერანი ფეხბურთელები და მეგობრები ნოდარ ახალკაცის საფლავზე შეიკრიბნენ

**ᲓᲝᲡᲘᲔ**

**ᲜᲝᲓᲐᲠ ᲐᲮᲐᲚᲙᲐᲪᲘ.** 02.01.1938, თბილისი — 25.01.1998, მოსკოვი (რუსეთი). ფეხბურთი, თავდამსხმელი. თამაშობდა თბილისის სკა-ს (1957-59) და "ლოკომოტივში" (1960-66). იყო თბილისის "ლოკომოტივის" (1967-70) და "დინამოს" (1976-83, 1985-86) მთავარი მწვრთნელი, სსრკ ნაკრების მწვრთნელი (1981-82), თბილისის "დინამოს" გუნდის უფროსი (1974-75), საქართველოს სპორტკომიტეტის ფეხბურთის სამმართველოს მთავარი მწვრთნელი და უფროსი (1971-74), საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი (1990-98). მისი ხელმძღვანელობით თბილისის "დინამომ" მოიპოვა ევროპის თასების მფლობელთა თასი (1981), სსრკ ჩემპიონობა(1978) და თასი (1976, 79), იყო სსრკ ჩემპიონატების მეორე (1977) და მესამე (1976 - გაზაფხული, 1976 შემოდგომა, 1981) პრიზიორი. სსრკ და საქართველოს დამსახურებული მწვრთნელი. მისი შვილი, ნოდარ ახალკაცი (უმცროსი) საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტია (2005 წლის ივლისიდან).

CDN კავკასიის ციფრული ქსელი
CAUCASUS DIGITAL NETWORK

გთავაზობთ სატელეკომუნიკაციო მომსახურების სრულ პაკეტს:

CDN DSL ყველაზე სტაბილური ინტერნეტი;
CDN 55 ტელეფონის დადგმა;
CDN 8-66 კავშირი ყველგან და ყოველთვის;
GIGACARD ისაუბრე მეტი, გადაიხადე ნაკლები;
CDN ქსელების მონტაჟი და მომსახურება;

დარეკე, შეუკვეთე, ჩაერთე!
ოფ. აბაშიძის 14
ტელ.: 550 055, 259 555
cdn@cdn.ge www.cdn.ge



24 საათის განმავლობაში
• უწყვეტი მომსახურება • ტექნიკური მხარდაჭერა
• გარანტირებული ხარისხი • გადახდა სახლიდან გაუსვლელად

სატელეფონო საუბრების წამობრივი აღრიცხვა!
მხოლოდ ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტექნოლოგიები!

ინგლისი. პრემიერლიგა. XXI ტური

# ელერდაისი დათხოვნის პირას

## ანელკამ ბოლტონის შემადგენლობაში უკანასკნელად ითამაშა...



ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი. მორიგმა მარცხა სემ ელერდაისის სკამი საფუძვლიანად მოარყია

"არსენალმა" ახალი წელი დაგეგმილი სამი ქულით დაიწყო. "მეთოფეებმა" აულელვებლად დაამარცხეს თანაქალაქელი "ვესტ ჰემი". "ჩაქუჩებმა" გასულ უქმეებზე თვით "მანჩესტერ იუნაიტედს" სძლიეს, მაგრამ "არსენალს" მათთვის იოტისოდენა შანსიც კი არ მიუცია. მასპინძლებმა ანგარიში თამაშის დასაწყისშივე გახსნეს. მორიგი გოლი გაიტანა **ედუარდომ**. "არსენალს" დარჩენილი დროის განმავლობაში უპირატესობა ხელიდან აღარ გაუშვიათ. ის იყო, "ვესტ ჰემი" გაბრძოლებას შეეცადა, რომ **ემანუელ ადებაიორმა** მეტოქე მეორედ დაამწუხრა. მან ძალიან მახვილი კუთხიდან შეაგდო. თამაში, ფაქტობრივად, პირველსავე ნახევარში დასრულდა. მეორე ტაიმი ვარჯიშს უფრო ჰგავდა. ვარჯიშობდა, რა თქმა უნდა, "არსენალი". ის ბურთს სწრაფად ათამაშებდა და მატჩი მშვიდად მიჰყავდა დასასრულისაკენ. იანვრის მიწურულს "მეთოფეებს" უფრო სერიოზული გამოცდა ელოდებათ. წამყვანი მცველი **კოლო ტურე** აფრიკის ერთა თასზე გაემგზავრება. მაგრამ არავის ეპარება ეჭვი, რომ გუნდს ნებისმიერი გამოცდის ჩაბარება შეუძლია. ახალგაზრდა ფეხბურთელები მზად არიან, ტიტულისათვის იბრძოლონ. მათ ეს დღემდე ჩატარებული შეხვედრებით დაამტკიცეს...

**კარლოს ტევესის** გოლი საკმარისი აღმოჩნდა იმისათვის, რომ "იუნაიტედს" 2008 წელი გამარჯვებით დაეწყო. მაგრამ ეს არ იყო ის გამარჯვება, რომელსაც გულშემატკივრები მიჩვეულნი არიან. "ბირმინგემი" მასპინძელს თითქმის არ უტევდა. სტუმართა თავდასხმა ვერაფერს აკლდებდა დაცვას, რომელმაც მიმდინარე სეზონში საკუთარ მოედანზე მხოლოდ ორი გოლი მიიღო. დაცვაში სტუმრებიც ყურადღებით თამაშობდნენ, მაგრამ არგენტინელ თავდამსხმელთან ვერაფერს გახდნენ. ტევესმა სეზონის მე-10 გოლი მიითვალა. შედეგიანი გადაცემა **კრისტიანო რონალდომ** ჩაიწერა აქტივში. კარლოსს კიდევ რამდენიმე მომენტი ჰქონდა. მარტო იმის თქმა რად ღირს, რომ მან ორჯერ ძელი შეაზანზარა. ასე იყო თუ ისე, "მანჩესტერმა" მორიგი გამარჯვება დამსახურებულად მოიპოვა. ეს ზედიზედ მე-10 საშინაო მოგება გახლდათ. წარმატება ოდნავ გააუფერულა ტევესის ტრავმამ. არგენტინელი გოლეადორი უკვე შეცვლილი იყო და თამაშიც დამთავრებული, როცა მას ორი თანაგუნდელი მხარში ამოუდგა და გასახდელში გაიყვანა.

"ოლდ ტრეფორდზე" პირველივე წუთიდან უცნაური ატმოსფერო სუფევდა. მიმომხილველებმა ვერ გაარკვიეს, რისი ბრალი იყო, რომ სავსე სტადიონი გასუსული იჯდა. იქნებ მაყურებელი დარწმუნებული იყო, რომ მისი საყვარელი გუნდი გამხნევების გარეშეც მიაღწევდა სასურველ შედეგს? რატომ ასეთი რწმენა? ორიოდე დღით ადრე ხომ "ეშმაკები" "ვესტ ჰემთან" დამარცხდნენ? ფანების განწყობა ფეხბურთელებსაც გადაედოთ. ისინიც თითქოს უმოტივაციოდ აგორებდნენ ბურთს. "მანჩესტერის" უსახური თამაშის ერთ-ერთი მიზეზია **უეინ რუნის** ტრავმა. ახალგაზრდა თავდამსხმელს შეუძლია, ტრიბუნები ერთი მოძრაობით აიყოლიოს. მარტის შემდეგ "იუნაიტედის" ძირითადში პირველად ითამაშა კორეელმა ნახევარმცველმა **ჟი სუნ პარკმა**. მან ბევრი იშრომა. მარცხენა ფლანგზე ბევრი იმუშავა **ნანიმაც**, მაგრამ მანჩესტერელთა შემადგენლობაში გამორჩეულები რონალდო და ტევესი იყვნენ. აკი, ერთადერთი გოლიც მათი გამოაცხვეს...

"ფულჰემის" ახალმა თავკაცმა **როი ჰოჯსონმა** ახალ სამსახურში მუშაობა წაგებით დაიწყო, მაგრამ ეს არ იყო მოულოდნელი მარცხი. მის შეგირდებს მრისხანე "ჩელსიმ" სძლია. "ფულჰემმა" ალმავლობით დაიწყო. **დენი მერფიმ** თავისიანები მე-10 წუთზე პენალტით დააწინაურა. მასპინძლებმა უპირატესობა მთელი ტაიმის განმავლობაში შეინარჩუნეს. შესვენების შემდეგ "არისტოკრატებმა" ტემპს მოუმატეს და რვა წუთში ორი გოლი გამოაცხვეს. "ჩელსი" წინ გაჭრილ "არსენალსა" და "მანჩესტერ იუნაიტედს" უფრო შორს წასვლის საშუალებას არ აძლევს. ლიდერები ზურგს უკან ლონდონელების სუნთქვას გრძნობენ. სტუმართაგან **სალომონ კალუმ** და **მიხაელ ბალაკმა** გამოიჩინეს თავი. გერმანელმა ნახევარმცველმა გადამწყვეტი გოლი საკამათო 11-მეტრიანით გაიტანა. ძნელი სათქმელია, მოქაჩა თუ არა **კლინტ დემპსიმ** ბალას მაისურზე, როცა ისინი მასპინძელთა საჯარიმოში ბურთის დაუფლებას ცდილობდნენ.

ამ სეზონში "ფულჰემის" ყველაზე დიდი პრობლემა ისაა, რომ გუნდი აგებს თამაშებს, რომელშიც ანგარიშს ხსნის. ლონდონელები ვერა და ვერ ახერხებენ უპირატესობის შენარჩუნებას. "ჩელსისთან" მატჩის ჩათვლით, ასეთი ფორმით მათ უკვე 22 ქულა გაანიავეს. შედეგი სავალალოა: "ფულჰემი" გასავარდნ ზონაში იმყოფება. დერბის დასრულებისთანავე ცნობილი გახდა, რომ ჰოჯსონს იანვრის ტრანსფერებისათვის 15 მილიონ გირვანქას გამოუყოფენ. დღესავით ნათელია, რომ გუნდს შემადგენლობის გაძლიერება პაერივით სჭირდება. მხოლოდ ასეა შესაძლებელი პრემიერლიგაში ადგილის შენარჩუნება. აქვე გეტყვით, რომ "ფულჰემს" "ჩელსი" შორეული 1979 წლის შემდეგ არ დაუმარცხებია. ახალი წლის პირველი დღე ამ სერიის დასასრულებლად საუკეთესო დრო იყო. "არისტოკრატები" შესუსტებული შემადგენლობით ასპარეზობდნენ. **ავრამ გრანტს** ოთხი საკვანძო ფეხბურთელი აკლდა: მეკარე **პეტრ ჩეხი**, ცენტრალური მცველი **ჯონ ტერი**, ცენტრალური ნახევარმცველი **ფრენკ ლემპარდი** და საუკეთესო ბომბარდირი **დიდიე დროგბა**. მოგეხსენებათ, ეს მოთამაშეები "ჩელსის" ხერხემალს ქმნიან. "არისტოკრატებმა" სადღესასწაულო დღეებში სამ შეხვედრაში შვიდი ქულა მოიხვეჭეს. ტრავმების გათვალისწინებით, ეს მშვენიერი შედეგია...

"ნიუკასლის" თავკაც **სემ ელერდაისს** უმუშევრად დარჩენა ემუქრება. მისმა შეგირდებმა 2008 წელი წაგებით დაიწყეს. "მანჩესტერ სიტიმ" "სენტ ჯეიმს პარკზე" დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. ჯორდებს შეუძლიათ, მარცხი უიღბლობას დააბრალონ, მაგრამ ეს არავის აინტერესებს. მთავარი შედეგია. ელერდაისის გუნდი შედეგს ვერ აჩვენებს. ამ თამაშამდე "ნიუკასლს" ცხრა შესაძლებლიდან ერთი ქულა ჰქონდა მოპოვებული. არადა, მისი მეტოქეები "დერბი" და "ვიგანი" იყვნენ. "სიტისთან" წაგებამ ძლიერი ნებისყოფით გამორჩეულ თავმჯდომარეს, **მაიკლ ეშლისაც** კი აუვსო მოთმინების ფიალა. ელერდაისი მეორე ტაიმში შეცვლაზე შესულმა **მაიკლ ოუენმაც** ვერ გადაარჩინა. "სიტის" გოლები ბრაზილიელმა ლეგიონერებმა, **ელანომ** და **ჟელსონ ფერნანდესმა** გაიტანეს. საინტერესოა, რომ **სვენ გორან ერიქსონის** შეგირდებმა მეტოქის მოედანზე პირველი ტურის შემდეგ პირველად გაიმარჯვეს. შაბათს "ნიუკასლი" ინგლისის ასოციაციის თასის მესამე რაუნდში "სტოკ სიტის" შეხვდება. წარუმატებლობის შემთხვევაში, დიდი სემი ბარგს ჩაალაგებს. თუ მან ამ გამოცდას გაუძლო, იანვრის მიწურულს და თებერვლის დასაწყისში კრიტიკული დღეებში დაუდგება, რადგან ოთხი წამყვანი ფეხბურთელი აფრიკის თასზე გაემგზავრება. ელერდაისს კი შესუსტებული შემადგენლობით მოუწევს ფონის ძიება...

"ლივერპულმა" "ვიგანს" ვერ მოუგო და ჩემპიონობაზე ფაქტობრივად ხელი ჩაიქნია. მან მეოთხე ადგილი "მანჩესტერ სიტის" გადაულოცა. რაფა ბენიტესის შეგირდები ლიდერ "არსენალს" 12 ქულით ჩამორჩებიან, მაგრამ ერთი თამაში თადარიგში აქვთ. **ფერნანდო ტორესმა** თავის საქმე ისევ ჩინებულად გააკეთა, მაგრამ ტიტუს ბრემბლმა ესპანელ გოლეადორს შრომა წყალში ჩაუყარა. საინტერესო ისაა, რომ "ვიგანის" თავკაცი **სტივ ბრუსი** ბენიტესთან პრემიერლიგაში არასოდეს დამარცხებულა - არც "ბირმინგემის" და ახლა უკვე არც "ვიგანის" მთავარი მწვრთნელის რანგში...

"ასტონ ვილამ" "ტოტენჰემს" თამაშის მიწურულს გატანილი გოლით მოუგო. ბირმინგემელებმა თავიანთი კოზირი, სტანდარტული მდგომარეობები გამოიყენეს. **ოლოფ მელბერგმა** და **მარტინ ლაურსენმა** ორივე გოლი ასე შეაგდეს. "ვილას" 37-დან 18 გოლი სტანდარტული მდგომარეობებიდან აქვს გატანილი. ეს პრემიერლიგაში საუკეთესო შედეგია. სხვა შეხვედრებში "ბლექბერნმა" "სანდერლენდს" მორიგი მარცხი აგემა. **ბენი მაკარტიმ** 10-მატჩიანი შესვენების შემდეგ შეაგდო. "ბოლტონმა" კი "დერბი" დაიბრიყვა. ეს თამაში, ადვილი შესაძლებელია, უკანასკნელი აღმოჩნდეს **ნიკოლა ანელკას** ბოლტონურ კარიერაში. სპეკულაციების თანახმად, დღე-დღეზე ის "ჩელსისთან" გააფორმებს კონტრაქტს.

### მომავალი ტური

12 იანვარი. **არსენალი-ბირმინგემი, ასტონ ვილა-რედინგი, ბოლტონი-ბლექბერნი, ჩელსი-ტოტენჰემი, დერბი-ვიგანი, ევერტონი-მანჩესტერ სიტი, მანჩესტერ იუნ-ნიუკასლი, მიდლსბრო-ლივერპული, სანდერლენდი-პორტსმუთი, ვესტ ჰემი-ფულჰემი.**

### ფულჰემი-ჩელსი 1:2

**ფულჰემი:** ნიემი, ბოკანეგრა, კონჩესკი, ომოზუსი, სტეფანოვიჩი, ვოლცი (68. კი ჰიეონი), საიმონ დევისი (70. სმერტინი), სტივ დევისი, დემპსი, დენი მერფი, დიომანსი კამარა (77. ჰილი).

**ჩელსი:** ილარიო, ალექსი, ბელეტი, ბენ-ჰაიმი, ბრიჯი, ბალაკი, ჯო კოული (90. პაულო ფერეირა), ესიენი, სიდველი (46. ობი მიკელი), რაიტ-ფილიპსი (88. პისარო), სალომონ კალუ.

**გოლები:** 1:0 დენი მერფი (10-პენ), 1:1 კალუ (54), 1:2 ბალაკი (62-პენ).

**გაფრთხილება:** 1-0; **დარტყმა:** 6(2)-13(5); **ჯარიმა:** 7-8; **კუთხური:** 4-8; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 25 357

### არსენალი-ვესტ ჰემი 2:0

**არსენალი:** ალმუნია, კლიში, ებუე (77. გლები), გალასი, ჰოიტი, კოლო ტურე, ფაბრეგასი, ფლამინი, როსიცკი (88. დიაბი), ადებაიორი, ედუარდო (63. უოლკოტი).

**ვესტ ჰემი:** გრინი, ანტონ ფერდინანდი, მაკარტნი, ნილი, პანტსილი, სპექტორი, აპსონი, ლიუნგბერგი (37. კოლისონი), მულინსი (77. ანრი კამარა), ნობლი, კარლტონ კოული (71. ეშტონი).

**გოლები:** 1:0 ედუარდო (2), 2:0 ადებაიორი (18).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 21(13)-15(7); **ჯარიმა:** 5-7; **კუთხური:** 5-7; **ბურთის ფლობა:** 57%-43%.

**მაყურებელი:** 60 102

### მანჩესტერ იუნ.-ბირმინგემი 1:0

**იუნაიტედი:** კუშჩაკი, ევრა (84. ბრაუნი), რიო ფერდინანდი, ოში, ვიდიჩი, ანდერსონი, ქერიკი, ნანი, პარკი (75. ჰარგრივსი), რონალდო, ტევესი (71. საა).

**ბირმინგემი:** მაიკ ტეილორი, ჯაიდი, კელი, კუოდრო, რიჯველი, ლარსონი, მაკშეფრი (67. დე რიდერი), მუამბა, ნაფტი (81. პალასიოსი), ჯერომი (67. ფორსელი), ოკონორი.

**გოლები:** 1:0 ტევესი (25).

**გაფრთხილება:** 1-4; **დარტყმა:** 20(13)-12(4); **ჯარიმა:** 11-8; **კუთხური:** 2-0; **ბურთის ფლობა:** 50%-50%.

**მაყურებელი:** 75 459

### მიდლსბრო-ევერტონი 0:2

**მიდლსბრო:** შვარცერი, ჰუთი, პოგატეცი, ვუდგეიტი, იანგი, არკა, დაუნინგი, ონილი (73. ადამ ჯონსონი), როშემბაკი (84. კატერმოული), ლი (59. ჰატჩინსონი), თუნჯაი.

**ევერტონი:** ტიმ ჰოვარდი, ჰიბერტი, ლესკოტი, ფილ ნევილი, ნუნუ ვალენტე, კარსლი, ჟაგიელკა, პიენაარი (90. ანიჩებე), ენდრიუ ჯონსონი, მაკფადენი (80. ბაინესი), იაკუბუ (87. ვოგანი).

**გოლები:** 0:1 ენდი ჯონსონი (67), 0:2 მაკფადენი (72).

**გაფრთხილება:** 0-1; **დარტყმა:** 7(4)-5(3); **ჯარიმა:** 18-11; **კუთხური:** 5-6; **ბურთის ფლობა:** 45%-55%.

**მაყურებელი:** 27 028

### რედინგი-პორტსმუთი 0:2

**რედინგი:** ჰანემანი, ინგიმარსონი, მერტი, შორი (71. დე ლა კრუსი), სონკო, სისე, კონვეი (7. ბიკი), ჰარპერი, ჰანტი, დოილი (83. ლონგი), კიტსონი.

**პორტსმუთი:** ჯეიმსი, კემპბელი, დესტენი, პრაიდარსონი, გლენ ჯონსონი, დიოპი, ჰიუზი (83. ლორენი), კრანჩარი (89. ტეილორი), მუნტარი, უტაკა, მვარუვარი (63. კანუ).

**გოლები:** 0:1 კემპბელი (9), 0:2 უტაკა (66).

*მე-5 წუთზე კრანჩარმა ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება:** სონკო (3. რედინგი)

**გაფრთხილება:** 3-1; **დარტყმა:** 9(5)-18(13); **ჯარიმა:** 10-6; **კუთხური:** 5-4; **ბურთის ფლობა:** 43%-57%.

**მაყურებელი:** 24 084

### ასტონ ვილა-ტოტენჰემი 2:1

**ვილა:** კარსონი, ბუმა (84. მელონი), კერტის დევისი, ლაურსენი, მელბერგი, ბერი, სტილიან პეტროვი, რეო-კოკერი, აგბონლაორი, მური (74. გარდნერი), იანგი.

**ტოტენჰემი:** რობინსონი, დოსონი, კაბული (57. ოჰარი), ლი, კევინ პრინს ბოატენგი (46. ჰადლსტონი), ჯენასი, ლენონი (54. რობი კინი), მალბრანკი, ზოკორა, ბერბატოვი, დეფო.

**გოლები:** 1:0 მელბერგი (41), 1:1 დეფო (79), 2:1 ლაურსენი (85).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 15(4)-10(6); **ჯარიმა:** 5-16; **კუთხური:** 8-2; **ბურთის ფლობა:** 47%-53%.

**მაყურებელი:** 41 609

### ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი 0:2

**ნიუკასლი:** გივენი, ბეიე, კასაპა, სტივ ტეილორი, ბატი, დაფი (64. ხოსე ენრიკე), ფაიე (73. ემრე), მილნერი, ნზოგბია, მარტინსი (46. ოუენი), ვიდუკა.

**სიტი:** ჰარტი, ბოლი, კორლუკა, დანი, ონუოა, რიჩარდსი, ელანო (71. ეტუჰუ), ჰამანი, ირლანდი (75. ჟელსონი), მარტინ პეტროვი, ვასელი (88. ბიანკი).

**გოლები:** 0:1 ელანო (38), 0:2 ჟელსონი (76).

**გაფრთხილება:** 0-3; **დარტყმა:** 16(10)-14(7); **ჯარიმა:** 8-12; **კუთხური:** 8-7; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 50 956

### ბლექბერნი-სანდერლენდი 1:0

**ბლექბერნი:** ფრიდელი, მოკოენა, ნელსენი, სამბა, უორნოკი, ბენტლი, ემერტონი, თუგაი, პედერსენი, მაკარტი, სანტა კრუსი (46. დერბიშირი/დევიდ დანი).

**სანდერლენდი:** გორდონი, კოლინზი, ჰიგინბოთემი, მაკშეინი, მილერი, რიჩარდსონი (82. ვოგორნი), უოლესი (82. ენდი კოული), უაითჰედი, იორკი, ჯოუნსი (46. ლიდბიტერი), დერილ მერფი.

**გოლები:** 1:0 მაკარტი (57-პენ).

*52-ე წუთზე უაითჰედმა ვერ გაიტანა პენალტი*

**გაძევება:** იორკი (71. სანდერლენდი)

**გაფრთხილება:** 3-4; **დარტყმა:** 11(3)-7(4); **ჯარიმა:** 12-11; **კუთხური:** 7-3; **ბურთის ფლობა:** 58%-42%.

**მაყურებელი:** 23 212

### ბოლტონი-დერბი 1:0

**ბოლტონი:** იაასკელაინენი, მეიტე, ობრაიენი, კამპო, რიკარდო გარდნერი, გუტრი, ნოლანი (82. იანაკოპულოსი), ანელკა, კევინ დევისი (46. ვილჰელმსონი), დიუფი.

**დერბი:** პრაისი, კლოდ დევისი, მაკევილი (21. ჯონსონი), მიერსი, მური, ბარნესი, ლიუისი, ოუკლი, ტილი (65. მაკენი), ფეგანი (85. ფაილჰაბერი), მილერი.

**გოლები:** იანაკოპულოსი (90).

**გაფრთხილება:** 2-3; **დარტყმა:** 12(5)-9(3); **ჯარიმა:** 8-10; **კუთხური:** 11-7; **ბურთის ფლობა:** 55%-45%.

**მაყურებელი:** 17 014

### ლივერპული-ვიგანი 1:1

**ლივერპული:** რეინა, არბელოა, აურელიო, კარაგერი, ფინენი, ალონსო, ჯერარდი, კიუელი (74. ბენაიუნი), მასკერანო (84. კრაუჩი), პენანტი (86. კუიტი), ტორესი.

**ვიგანი:** კირკლანდი, ბრემბლი, მელხიოტი, გარნერი, რაიან ტეილორი (79. კუმასი), მაიკლ ბრაუნი, კილბეინი, ლანდზაატი, ვალენსია, მარკუს ბენტი, ჰესკი (84. სიბირსკი).

**გოლები:** 1:0 ტორესი (49), 1:1 ბრემბლი (80).

**გაფრთხილება:** 2-1; **დარტყმა:** 16(11)-7(1); **ჯარიმა:** 13-16; **კუთხური:** 4-1; **ბურთის ფლობა:** 63%-37%.

**მაყურებელი:** 42 308

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. არსენალი | 21 | 15 | 5 | 1 | 42-16 | 50 |
| 2. მანჩესტერ იუნ. | 21 | 15 | 3 | 3 | 38-11 | 48 |
| 3. ჩელსი | 21 | 13 | 5 | 3 | 33-16 | 44 |
| 4. მანჩესტერ სიტი | 21 | 11 | 6 | 4 | 29-22 | 39 |
| 5. ლივერპული | 20 | 10 | 8 | 2 | 34-13 | 38 |
| 6. ევერტონი | 21 | 11 | 3 | 7 | 37-22 | 36 |
| 7. ასტონ ვილა | 21 | 10 | 6 | 5 | 37-27 | 36 |
| 8. პორტსმუთი | 21 | 9 | 7 | 5 | 31-20 | 34 |
| 9. ბლექბერნი | 21 | 9 | 6 | 6 | 28-28 | 33 |
| 10. ვესტ ჰემი | 20 | 8 | 5 | 7 | 25-19 | 29 |
| 11. ნიუკასლი | 21 | 7 | 5 | 9 | 27-33 | 26 |
| 12. ტოტენჰემი | 21 | 6 | 6 | 9 | 42-38 | 24 |
| 13. რედინგი | 21 | 6 | 4 | 11 | 29-44 | 22 |
| 14. ბოლტონი | 21 | 5 | 5 | 11 | 23-32 | 20 |
| 15. მიდლსბრო | 21 | 5 | 5 | 11 | 18-35 | 20 |
| 16. ბირმინგემი | 21 | 5 | 4 | 12 | 22-32 | 19 |
| 17. ვიგანი | 21 | 4 | 5 | 12 | 21-37 | 17 |
| 18. სანდერლენდი | 21 | 4 | 5 | 12 | 20-40 | 17 |
| 19. ფულჰემი | 21 | 2 | 9 | 10 | 22-37 | 15 |
| 20. დერბი | 21 | 1 | 4 | 16 | 10-46 | 7 |

**ბომბარდირები:** 13 - კრისტიანო რონალდო (მანჩესტერ იუნაიტედი); 12 - ემანუელ ადებაიორი (არსენალი); 10 - ფერნანდო ტორესი (ლივერპული), როკე სანტა კრუსი (ბლექბერნი), რობი კინი (ტოტენჰემი), ნიკოლა ანელკა (ბოლტონი); 9 - ბენჯანი მვარუვარი (პორტსმუთი), იაკუბუ აიეგბენი (ევერტონი); 8 - კარლოს ტევესი (მანჩესტერ იუნაიტედი), დიმიტარ ბერბატოვი (ტოტენჰემი), დეივ კიტსონი (რედინგი).

### ჩემპიონატი. XXVI ტური

**კარდიფი-პლიმუთი** 1:0

გოლი: 1:0 ლედლი (30).

**ბლექპული-ბარნლი** 3:0

გოლები: 1:0 გორკსი (23), 2:0 ბერჯესი (59), 3:0 იორგენსენი (61).

**ბრისტოლი-ქოვენთრი** 2:1

გოლები: 1:0 ბაიფილდი (5), 2:0 ელიოტი (67), 2:1 ადებოლა (72).

**ჩარლტონი-კოლჩესტერი** 1:2

გოლები: 0:1 ლისბი (6-პენ), 0:2 ლისბი (29), 1:2 ვარნი (45).

**კრ.პალასი-ნორვიჩი** 1:1

გოლები: 0:1 რასელი (9), 1:1 მორისონი (50).

**იფსვიჩი-ვესტ ბრომვიჩი** 2:0

გოლები: 1:0 რაიტი (75), 2:0 ვოსი (84).

**ქუინზ პარკი-ლესტერი** 3:1

გოლები: 1:0 სტიუარტი (15), 2:0 ბოლდერი (26), 3:0 ბლექსტოკი (57), 3:1 ჰიუმი (59).

**სკანთორპი-ბარნსლი** 2:2

გოლები: 1:0 მორისი (5), 2:0 იოგა (47), 2:1 მაკენი (74), 2:2 ჰოვარდი (90-პენ).

**შეფილდ უენ.-პრესტონი** 2:1

გოლები: 0:1 ჰოლი (35), 1:1 სოდიე (51), 2:1 ჯეფერსი (82-პენ).

**საუთჰემპტონი-უოტფორდი** 0:3

გოლები: 0:1 ფრენსისი (45), 0:2 კინგი (55), 0:3 ჰენდერსონი (62).

**სტოკი-ჰალი** 1:1

გოლები: 1:0 კორტი (33), 1:1 ფოლანი (61).

**ვულვზი-შეფილდ იუნ.** 0:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. ვესტ ბრომვ. | 26 | 14 | 5 | 7 | 56-31 | 47 |
| 2. უოტფორდი | 26 | 14 | 5 | 7 | 44-34 | 47 |
| 3. ბრისტოლი | 26 | 13 | 8 | 5 | 34-31 | 47 |
| 4. სტოკ სიტი | 26 | 11 | 10 | 5 | 42-33 | 43 |
| 5. ჩარლტონი | 26 | 11 | 7 | 8 | 36-31 | 40 |
| 6. იფსვიჩი | 26 | 11 | 6 | 9 | 43-35 | 39 |
| 7. პლიმუთი | 26 | 10 | 8 | 8 | 35-29 | 38 |
| 8. კრ. პალასი | 26 | 9 | 11 | 6 | 31-27 | 38 |
| 9. ჰალი | 26 | 10 | 8 | 8 | 32-29 | 38 |
| 10. ვულვზი | 26 | 9 | 10 | 7 | 24-23 | 37 |
| 11. კარდიფი | 26 | 9 | 9 | 8 | 33-32 | 36 |
| 12. ბარნლი | 26 | 8 | 10 | 8 | 33-35 | 34 |
| 13. ბარნსლი | 26 | 8 | 10 | 8 | 33-36 | 34 |
| 14. ბლექპული | 26 | 8 | 9 | 9 | 34-31 | 33 |
| 15. საუთჰემპტონი | 26 | 9 | 6 | 11 | 35-44 | 33 |
| 16. შეფილდ იუნ. | 26 | 8 | 8 | 10 | 29-30 | 32 |
| 17. ქოვენთრი | 25 | 9 | 5 | 11 | 29-40 | 32 |
| 18. ქუინზ პარკი | 26 | 7 | 9 | 10 | 30-38 | 30 |
| 19. შეფილდ უენ. | 25 | 8 | 4 | 13 | 28-33 | 28 |
| 20. ნორვიჩი | 26 | 7 | 7 | 12 | 24-34 | 28 |
| 21. ლესტერი | 26 | 5 | 12 | 9 | 25-27 | 27 |
| 22. სკანთორპი | 26 | 6 | 9 | 11 | 28-40 | 27 |
| 23. კოლჩესტერი | 26 | 5 | 10 | 11 | 38-45 | 25 |
| 24. პრესტონი | 26 | 6 | 6 | 14 | 25-33 | 24 |

### I ლიგა

კარლაისლი-ჰარტლპული 4:2, საუთენდი-ბრისტოლი 0:1, სვინდონი-სვონსი 1:1, ბრაიტონი-ბორნმუთი 3:2, ქრუ-ტრანმერი 4:3, ლიდსი-ოლდჰემი 1:3, ლეიტონი-ჯილინგემი 0:0, ლუტონი-იოვილი 1:0, ნორსჰემპტონი-მილუოლი 1:1, ნოტინგემი-ჰადერსფილდი 2:1, უოლსოლი-დონკასტერი 1:1, ჩელტენჰემი-პორტ ვეილი 1:0.

### II ლიგა

აქრინგტონი-ბრედფორდი 0:2, ჩესტერი-გრიმსბი 0:2, ჩესტერფილდი-რექსჰემი 2:1, დაგენჰემი-ბრენტფორდი 1:2, ჰერფორდი-ნოთს ქაუნთი 0:0, ლინკოლნი-ბერი 1:1, მილტონი-მანსფილდი 1:0, პიტერბორო-შრუსბერი 2:1, როჩდეილი-დარლინგტონი 3:1, როტერჰემი-მაკლსფილდი 3:0, სტოკპორტი-მორკომბი 2:1, ვიკომბი-ბარნეტი 0:0.

### კონფერენცია

ტორკი-ექსეტერი 1:0, ოლდერშოტი-ვოკინგი 2:1, ბარტონი-სტაფორდი 2:1, კროლი-ოქსფორდი 2:0, დროილსდენი-იორკი 3:4, ებსფლიტი-გრეისი 4:1, ჰალიფაქსი-ფარსლი 2:0, ჰისტონი-კემბრიჯი 1:0, კიბერმინსტერი-ფორესტ გრინი 1:0, ნორთვიჩი-ოლტრინჩემი 1:2, სტივენიჯი-რაშდენი 2:1, ვეიმუთი-სელისბერი 0:3.

ბაიერნი

# ახლა უკვე ოფიციალურად: ჰიტცფელდი მიდის

## ოტმარმა ჰიონესს და რუმენიგეს სამაგიერო გადაუხადა?



ოტმარ ჰიტცფელდსა და ული ჰიონესს შორის შავმა კატამ გაირბინა...

**საახალწლო** ზეიმმა ჩაიარა და ის, რაც დეკემბრის ბოლო დღეებში დღესავით ნათელი, მაგრამ დაუდასტურებელი იყო, ახლა უკვე ოფიციალურია: მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ ოტმარ ჰიტცფელდი „ბაიერნს" დატოვებს. ასეთი გადაწყვეტილებისკენ მას ბოლოდროინდელმა მოვლენებმა უბიძგა. რეკორდმაისტერი ახალი მწვრთნელის ძებნას ოფიციალურად იწყებს.

ხანგრძლივი დუმილის ან მხოლოდ ალეგორიებით ლაპარაკის შემდეგ, **ოტმარ ჰიტცფელდმა** ყველაფერს ნათელი მოჰფინა. ოთხშაბათს მან გამოცემა „კიკერს" განუცხადა, რომ „ბაიერნთან" კონტრაქტის გაგრძელებას არ აპირებს. მისი თქმით, მან რეკორდმაისტერის ბოსებს ჯერ კიდევ სამი კვირის წინათ აცნობა ამის შესახებ. ამრიგად, გენერალი მიუნხენს ტოვებს, ისევე, როგორც 2004 წელს, ოღონდ ამჯერად სამუდამოდ.

58 წლის სპეციალისტმა მიზეზებზე საუბარი არ ისურვა. მან აღნიშნა, რომ შობა-ახალი წელი ძალიან მშვიდ, ოჯახურ ატმოსფეროში, ჰარმონიულად გაატარა და სრულიად დაივიწყა ის ქაოსი, რაც მის სამსახურში, „ბაიერნში" პირველი წრის მიწურულს სუფევდა და იქვე აღნიშნა, რომ თავს ძალიან კარგად გრძნობს. მიუხედავად იმისა, რომ FCB-მ ბუნდესლიგის პირველი წრე პირველ ადგილზე დაასრულა, უეფას თასის ჯგუფური ეტაპიც გაიარა და გერმანიის თასზეცაა, ბოლო ორი თვე რეკორდმაისტერში მძიმე მდგომარეობა იყო. ჰიტცფელდი არ ამბობს, მაგრამ ფაქტია: ამ პერიოდმა მასზე ძალიან ცუდად იმოქმედა და სწორედ ამ პერიოდმა გადაადგმევინა მას ასეთი ნაბიჯი. ეს დრო „გენერლისთვის" ძალიან ნერვებმომშლელი იყო. სწორედ ამ ორი თვის ბრალია ის, რომ ჰიტცფელდმა საბოლოო გადაწყვეტილება ნაადრევად მიიღო. წესითა და რიგით, მასსა და ხელმძღვანელობას შორის მოლაპარაკებები იანვარში უნდა გამართულიყო, რის შემდეგაც გაირკვეოდა, გააგრძელებდა თუ არეა ოტმარი ხელშეკრულებას, მაგრამ ბოლოდროინდელმა მოვლენებმა ჰიტცფელდს ეს ნაბიჯი გადაადგმევინეს – მან ბოსებს მოლაპარაკებამდე ერთი თვით ადრე შეატყობინა, რომ ახალ კონტრაქტს არ გააფორმებს.

ჰიტცფელდს აღარ სჭირდება ყოველდღიური სტრესი ხელმძღვანელებთან და მედიასთან. მას უნდა, რომ ცხოვრებით დატკბეს – 58 წლისაა! მან თავის სამწვრთნელო კარიერაში საკმარისზე გაცილებით მეტი ტიტული მოიგო და, რაც ყველაზე მთავარია: „ბაიერნიც" თავისი ყოველდღიური წნეხით, ალბათ ყელში ამოუვიდა.

„ჰერტასთან" მატჩამდე, როდესაც გერმანულ საფეხბურთო წრეებში **ოლივერ კანის** დასჯის შესახებ მიდიოდა დისკუსიები, ჰიტცფელდი მენეჯერ **ული ჰიონესთან** მივიდა და უთხრა, წასვლა გადავწყვიტეო. „კიკერის" ინფორმაციით, ული მაქსიმალურად ეცადა, რომ ჰიტცფელდს გადაეფიქრებინა და ცდილობდა, ოტმარი დარჩენაზე დაეთანხმებინა. ჰიონესი ოტმარს ეუბნებოდა, ასე სწრაფად ნუ გადაწყვეტ, მოვიცადოთ, იანვარშიც დავილაპარაკოთო, მაგრამ „გენერალი" შეუვალი აღმოჩნდა – მისი გადაწყვეტილება საბოლოო იყო. მართლაც: ბოლო პერიოდში „ბაიერნის" ხელმძღვანელებმა ძალიან ბევრი რამ „გააფუჭეს". „ბოლტონთან" 2:2-ის შემდეგ (ეს ნოემბრის დასაწყისში იყო) **კარლ-ჰაინც რუმენიგეს** კრიტიკა რომ აშკარად გადაჭარბებული გახლდათ, ეს ცხადზე უცხადესია. მერე იყო დაპირისპირებები **ისმაელთან, სანიოლთან** და კანთან. მუდმივი სპეკულაციები ტელევიზიითა თუ პრესით იმის შესახებ, თუ ვინ ჩაიბარებს „ბაიერნს", იქნებ **მათეუსი** ან იქნებ **მოურინიო** – და ეს იმ დროს, როცა რეკორდმაისტერის მწვრთნელი ჰიტცფელდია. ეს ყველაფერი ოტმარს აღარ უნდოდა.

თუ სპეკულაციებსა და მოსაზრებებში უფრო ღრმად ჩავიძირებით, ასეთ მოსაზრებასაც მივაგნებთ: ჰიტცფელდმა „ბაიერნის" სამაგიერო გადაუხადა! სამაგიერო 2004 წელს მომხდარისთვის, როცა ჰიონესმა და რუმენიგემ ის ფაქტობრივად პოსტიდან დაითხოვეს. ახლა კი ოტმარმა უგანა ულის და კალეს!

ჰიტცფელდს მიმდინარე სეზონის ბოლომდე მიყვანა სურს - „ჯენტლმენი" დაწყებულ საქმეს შუა გზაში არასდროს მიატოვებს. თანაც, ძალიან დიდი შანსია, რომ „ბაიერნის" და საერთოდ გერმანული ფეხბურთის ყველა დროის ყველაზე წარმატებული მწვრთნელი თავის კლუბს ერთბაშად სამი ტიტულით გამოეთხოვოს – FCB-ს ჩინებული შანსი აქვს, რომ გერმანიის ჩემპიონატიც მოიგოს, უეფას თასიცა და გერმანიის თასიც. და ოტმარს სჯერა, რომ გუნდი ბოლომდე გაჰყვება და რომ რეკორდმაისტერი ამ სეზონში სამივე ტიტულს მოიგებს.

ამრიგად, „ბაიერნისთვის" ახალი მწვრთნელის ძებნის პერიოდი უკვე ოფიციალურად დაიწყო. შესაბამისად, დაიწყო სპეკულაციებიც: ვისი გვარი აღარ სახელდება – დაწყებული მოურინიოთი, ვიდრე **კლინსმანამდე, რიიკაარდის, ბენიტესისა** და **კლოპის** გავლით. გარკვეული წრეები ფავორიტად სულაც ჰოლანდიის ნაკრების დამრიგებელ **მარკო ვან ბასტენს** ასახელებენ, ფაქტი კი ის გახლავთ, რომ გადაწყვეტილი და გარკვეული ჯერ არაფერია. ოტმარი მიუნხენში ამ უქმეებზე დაბრუნებდა. ორშაბათს „ბაიერნი" ვარჯიშს იწყებს. მას ძალიან უხარია, რომ კიდევ 5 თვის მანძილზე იმუშავებს „ბაიერნის" მწვრთნელის რანგში. და ამბობს, მერე კი ისევ უკან დავიხევ, ყურადღების ცენტრში აღარ ვიქნებიო. დიდი შანსია, რომ ევროპის ჩემპიონატის შემდეგ „გენერალი" შვეიცარიის ნაკრების დამრიგებელი გახდეს და ეს გუნდი მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატისთვის მოამზადოს. თუმცა ოტმარს ჯერ არ გადაუწყვეტია, ეტყვის თუ არა თანხმობას შვეიცარიელებს. ცნობილია ისიც, რომ მას მოსწონს სატელევიზიო ექსპერტად მუშაობა. 2004 წლის შემდეგ, როცა „ბაიერნიდან" დაითხოვეს, ტელეკომპანია „პრემიერ უორლდის" ექსპერტად მუშაობდა და მას მერე, რაც ისევ „ბაიერნში" არაერთხელ უთქვამს, ამ საქმეს ოდესმე კიდევ დავუბრუნდებიო...

**გოტფრიდ ლენცი**

### მოვა პანდევი? წავა პოდოლსკი!

ჯერ კიდევ 2007 წლის ბოლო ნომერში გაცნობეთ, რომ „ბაიერნი" რომის „ლაციოს" მაკედონიელი თავდამსხმელით, 24 წლის გორან პანდევით დაინტერესდა. რეკორდმაისტერის მთავარი მრჩეველი პაულ ბრაიტნერი და საფეხბურთო აგენტი ჯოვანი ბრანჩინი დიდი ხანია, რაც „ლაციოს" ფორვარდს აკვირდებიან, ფორვარდს, რომელიც მაკედონიაში 2006 და 2007 წლების საუკეთესო ფეხბურთელად იქნა დასახელებული. თუმცა პანდევს რომაულ კლუბთან კონტრაქტი 2011 წლამდე აკავშირებს.

მიუხედავად ამისა, იტალიურ პრესასთან საუბარში პანდევი დაუფარავად აცხადებს, რომ „ბაიერნთან" მოლაპარაკებებს აწარმოებს. *„მოლაპარაკებები ბოლო სტადიაშია. როგორც კი ყველაფერი გაირკვევა, მაშინვე რეკორდმაისტერში გადავალ. აქვე გეტყვით, რომ წინადადებები „ლივერპულიდან" და „ვალენსიიდანაც" მაქვს, მაგრამ „ბაიერნი" ყველაზე მეტად ცდილობს ჩემს გადაბირებას,"* – აცხადებს პანდევი „გაძეტა დელო სპორტისთვის" მიცემულ ინტერვიუში.

„ბილდის" ცნობით, პანდევი დაახლოებით 22 მილიონი ევრო ღირს. „ლაციალეს" შეფები მისი გაყიდვის პერსპექტივით მოხიბლულები ნამდვილად არ არიან. უახლეს პრესრელიზში „ლაციოს" ოფიციოზმა განაცხადა, რომ მაკედონიელი არ იყიდება. მაგრამ ყველასათვის კარგად ცნობილია, რომ „ლაციოს" ვალები აქვს, რაც იმას ნიშნავს, რომ პანდევის სანაცვლოდ აღებული ფული ძალიან გამოადგება.

ლუკა ტონი, მიროსლავ კლოზე და ახლა პანდევი? ცხადია, რომ თუ ეს ტრანსფერიც განხორციელდა, მიუნხენურ კლუბს ლუკას პოდოლსკი უკვე აღარ დასჭირდება. პოლდიმ ამასწინათაც თქვა, თუკი აპრილში ან მაისში ძირითადის ფეხბურთელი არ ვიქნები, „ბაიერნიდან" წასვლაზე სერიოზულად დავფიქრდები და ბოსებთან დავილაპარაკებო. თუკი პანდევი „ბაიერნის" ფეხბურთელი გახდება, პოდოლსკისა და „ბაიერნის" შეფების საუბარი დიდხანს არ გასტანს...



სპეკულაციები

## ჰიტცფელდი შეიძლება ლიპიმ შეცვალოსო...

მოკლედ, გადაწყვეტილია, რომ სეზონის დასრულებისთანავე **ოტმარ ჰიტცფელდი** "ბაიერნს" დატოვებს. ამ თემას იტალიური მედიაც გამოეხმაურა: "გენერლის" ერთ-ერთი ალტერნატივა, შეიძლება, **მარჩელო ლიპიც** იყოსო, - წერს "ჩენელი". რა თქმა უნდა, აქ მხოლოდ ვარაუდებზეა საუბარი. როგორც წესი, ლიპის სახელს მაშინვე უკავშირებენ იმ კლუბს, სადაც სამწვრთნელო გადაადგილება ხდება, ან ახლო მომავალში შეიძლება მოხდეს, თუმც ერთი პირობით - ეს კლუბი აუცილებლად სახელოვანი უნდა იყოს. "ბაიერნს" ნამდვილად არ აკლია რეგალიები, მაგრამ რამდენად რეალურია მიუნხენში ლიპის გამწვრთნელება, ეს ცალკე საკითხია.

59 წლის მსოფლიო ჩემპიონი ბოლო მუნდიალის შემდეგ უმუშევარია. ეს მისი არჩევანია. ამ ხნის განმავლობაში, მარჩელომ არაერთ წინადადებაზე თქვა უარი. შედის თუ არა "ბაიერნი" დიდი მაესტროს გეგმებში, ამაზე მის მიერ კომენტარი ჯერ არ გაკეთებულა. და მაინც, რა ფაქტორები შეიძლება მოქმედებდეს სავარაუდო გარიგების სასარგებლოდ და საწინააღმდეგოდ?

ცხადია, პრესტიჟულობის მხრივ, მხარეებს ერთმანეთთან საპრეტენზიო არაფერი აქვთ. ამას გარდა, ცნობილია, რომ იტალიელ სპეციალისტს შესანიშნავი ურთიერთობები აქვს **ფრანც ბეკენბაუერსა და კარლ-ჰაინც რუმენიგესთან**. სხვათა შორის, "ჩენელისავე" ინფორმაციით, რუმენიგე ლიპის მალე შეხვდება კიდეც.

რაც შეეხება სირთულეებს, აქ უნდა გავიხსენოთ **ჯოვანი ტრაპატონის** ბაიერნული ეპოპეა და ენობრივი ბარიერი, რამაც სახელგანთქმული მწვრთნელი არაერთხელ ჩააგდო უხერხულ მდგომარეობაში და მედიის დასაცინიც გახადა. ანალოგიური პრობლემა ლიპისაც ექნება. საერთოდ კი, იტალიელ მწვრთნელებს ბუნდესლიგაში დიდად არ უმართლებთ. იგივე ტრაპატონიმ "ბაიერნს" ჩემპიონობა მხოლოდ მეორე ცდაზე მოაგებინა. გავიხსენოთ **ნევიო სკალაც**, რომელსაც არაფერი გამოუვიდა დორტმუნდის "ბორუსიაში".

ინტერვიუ ოტმარ ჰიტცფელდთან

# ის, რაც ჩვენთან ხდება, არ არის ნორმალური!

**აქვე გთავაზობთ ოტმარ ჰიტცფელდის ინტერვიუს, რომელშიც მან თავისი გადაწყვეტილება ოფიციალურად გაამხილა.**

**- ჰერ ჰიტცფელდ, აგერ უკვე რამდენიმე კვირაა, რაც თქვენს შესახებ უამრავი ინფორმაცია ვრცელდება. იქნებ გვითხრათ, რა ხდება და გაგვიმხილოთ, რას აპირებთ სინამდვილეში?**

- დიახ, დასამალი აღარაფერია. „ბაიერნის" ხელმძღვანელებს ზუსტად სამი კვირის წინათ ვაცნობე, რომ ახალი კონტრაქტის გაფორმებას არ ვაპირებ.

**- ე.ი. სეზონის დასრულებისთანავე „ბაიერნს" დატოვებთ. რატომ? თუ შეიძლება, ისაუბრეთ მიზეზებზე.**

- მიზეზებზე საუბარი ჯერ არ მინდა და ძალიან გთხოვთ, გამიგოთ, ამაზე დეტალურად ახლა არ ვისაუბრებ. ვფიქრობ, რომ უკვე საკმარისად ვილაპარაკე და მეტიც, საკმარისზე მეტი დაიწერა.

**- რას გულისხმობთ?**

- არ მინდა, რომ პრესა გავაკრიტიკო, მაგრამ ის, რაც ჩვენთან ხდება, მიმაჩნია, რომ არ არის ნორმალური. იმ ყველაფერზე, რაც „ბაიერნში" ხდება, პრესაში თვეების მანძილზე წერენ და იხსენებენ ხოლმე. მაგალითად ის, რომ „ბოლტონთან" მატჩის შემდეგ კარლ-ჰაინც რუმენიგემ გამაკრიტიკა. ჩვენ ეს საკითხი ერთმანეთში მაშინვე მოვაგვარეთ, მაგრამ აი, იმ ამბიდან 2 თვე გავიდა და ეს თემა პრესაში მაინც წამყვანია. თუნდაც ოლივერ კანის დასჯა და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ეს ამბები უკვე ჩავლილია, ჟურნალისტები დღესაც მეკითხებიან ამ თემების შესახებ. მაპატიეთ, მაგრამ ზოგჯერ ჟურნალისტებს ვერ ვუგებ. რატომ ხდება ასე?

**- ამრიგად, „ბაიერნში" ნახევარი სეზონი დაგრჩათ და ითხოვთ, რომ ამ ხნის მანძილზე სიმშვიდე იყოს. შესაძლებელია კი სიმშვიდე ისეთ გუნდში, როგორიც „ბაიერნია"?**

- თუ ყველა კანონებს დაემორჩილება, მაშინ ყველაფერი შესაძლებელია. სწორედ ამიტომ გადავწყვიტე ე.წ. ქცევების კოდექსის შემოღება, რომელსაც ფეხბურთელებს დავურიგებ. მათ უნდა იცოდნენ, რა არის დასაშვები და რა არა.

**- გიხარიათ თუ არა ორშაბათის მოახლოვება, დღისა, როცა „ბაიერნი" ვარჯიშს იწყებს?**

- რა თქმა უნდა! განა ვინმე ფიქრობს, რომ არ მიხარია? „არისთან" 6:0-ის შემდეგ ძალიან სასიამოვნო პაუზა გამომივიდა. შობა-ახალი წელი ლამაზად გავატარე და მიუნხენში დაბრუნება ძალიან მახარებს.

**- როგორია პირველი წრის თქვენეული ბალანსი?**

- ბალანსი აბსოლუტურად ნორმალურია. ჩვენი მიზანი გერმანიის ჩემპიონობაა და რაკი პირველი წრე პირველ ადგილზე დავასრულეთ, ე.ი. ყველაფერი კარგადაა. დასაწყისი ზღაპრული იყო, მერე კი ჩავარდნა გვქონდა, რაც ასევე ნორმალურ ფაქტად მიმაჩნია. იყო მატჩები „აინტრახტთან" და „დუისბურგთან", სადაც უამრავი საგოლე შანსი ვერ გამოვიყენეთ. თუმცა მე ვაფასებ „ვერდერის" წარმატებასაც, ეს გუნდი ჩვენი სერიოზული კონკურენტია, რაც თუნდაც იქიდან ჩანს, რომ პირველ წრეში ბრემენულ კლუბს მხოლოდ ბურთების უკეთესი სხვაობით ვაჯობეთ. ხომ გახსოვთ, როგორ განადგურდა „ვერდერი" ჩვენთან? მაგრამ მას მერე ეს გუნდი ფეხზე წამოდგა. მოკლედ, „ვერდერს" ძალიან ვაფასებ.

**- რა არის პირადად თქვენი მიზანი 2008 წელს?**

- მინდა, რომ „ბაიერნს" ტიტულებით გამოვეთხოვო, იმდენი ტიტულით, რამდენიც შესაძლებელია. მინდა, რომ „ბაიერნის" ქომაგები ძალიან გავახარო. ჯერ-ჯერობით ყველა ფრონტზე წარმატებით ვიბრძვით. ვფიქრობ, კარგი შანსები გვაქვს.

**- მეორე წრისთვის ალბათ ყველა ფეხბურთელი მწყობრში იქნება. ნიშნავს თუ არა ეს ახალ პრობლემებს?**

- პირველ წრეში 16-17 ფეხბურთელი გვყავდა, ახლა კი 22-23 გვეყოლება. შესაბამისად, უკმაყოფილო ფეხბურთელებიც იარსებებენ, რადგან გარკვეულ ნაწილს თამაში არ მოუწევს. ფაქტი ის არის, რომ ძირითად შემადგენლობაში მხოლოდ საუკეთესოები მოხვდებიან. მთავარი ის არის, რომ გუნდის წესებს ყველა მოთამაშე დაემორჩილოს.

**- ბოლოს ვილი სანიოლი გაგიწაწყენდათ. მასთან ყველა პრობლემა მოგვარებულია?**

- ჩვენს შორის უთანხმოება არ ყოფილა. როცა ვილი ჯანმრთელია, „ბაიერნს" ის ძალიან სჭირდება. როცა კარგ ფორმაში არ არის, ცუდი შანსები აქვს. ეს არის და ეს. აქვე მინდა აღვნიშნო, რომ ჩემთვის მისაღები და გასაგებია ის, რომ როცა ფეხბურთელი არ თამაშობს, ამის გამო ძალიან ნერვიულობს. ეს კარგიცაა: ფეხბურთელი სკამზე ჯდომით კმაყოფილი არ უნდა იყოს.

**- სეზონის დასრულების შემდეგ რას აპირებთ? შვეიცარიის ნაკრებს გაწვრთნით?**

- ახლა მხოლოდ „ბაიერნზე" ვარ კონცენტრირებული და ასე იქნება სეზონის ბოლომდე. მერე კი ვნახოთ...

**გოტფრიდ ლენცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ კლაუდიო რანიერისთან

# თუ ინტერი ჩემპიონი ვერ გახდა, მხოლოდ მისი ბრალი იქნება

**"იუვენტუსის" მწვრთნელმა კლაუდიო რანიერიმ გასული წლის შედეგები შეაჯამა. "ტუტოსპორტთან" ინტერვიუში მან ისაუბრა იმაზე, თუ როგორ გადაარჩინა "პარმა" და რატომ მიიღო "იუვენტუსის" წინადადება. ასევე, რანიერიმ ურჩია თავის ფეხბურთელებს, მზად იყვნენ სამსაჯო შეცდომებისთვის...**

**- როგორ შეხვდით შობას?**

- მშვიდად. ეს ჩემი ფეხბურთელების დამსახურებაა. ისინი ბრწყინვალე სეზონს ატარებენ. ყოველთვის უნდა გვქონდეს მხედველობაში ის, თუ საიდან მოდის ეს გუნდი. "იუვენტუსი" ახლა რეფორმაციის სტადიაშია. მოთხოვნები, რომელიც მის მიმართ სერია B-ში იყო, რადიკალურად შეიცვალა გასულ ზაფხულს, როცა გუნდი ჩავიბარე. კარგად მახსოვს, რაოდენ გაურკვეველ სიტუაციაში იყვნენ ფეხბურთელები, მაგრამ დღეს სიტუაცია აბსოლუტურად ნათელია: ძველმა გვარდიამ და ახალგაზრდა მოთამაშეებმა ხელი მოაწერეს კონტრაქტებს, რაც მშვიდად მუშაობის საშუალებას გვაძლევს. ამ ბიჭებმა უმოკლეს ვადაში დააბრუნეს "იუვენტუსი" საკადრის სიმაღლეზე, თუმცა ეს არ არის მაქსიმუმი, ჩვენ გაცილებით დიდი მიზნები გვაქვს დასახული.

**- პირადად თქვენთვის 2007 წელი იღბლიანი იყო?**

- ვიტყოდი, რომ ეს იყო უდავოდ დასამახსოვრებელი წელიწადი. გამიჩნდა შანსი, დავბრუნებულიყავი იტალიურ ფეხბურთში. როცა "პარმის" შეთავაზებას დავთანხმდი, ბევრს გაუკვირდა. მარწმუნებდნენ, რომ მხოლოდ შეშლილი თუ წავიდოდა გუნდში, რომელიც გასავარდნად იყო განწირული. სხვათა შორის, თავიდანვე ვიცოდი, რომ პარმელებს, როგორც კლუბის მფლობელებს, ისე ფეხბურთელებს, ყველანაირი იმედი გადაწურული ჰქონდათ. მართლაც, შანსი ძალიან ცოტა იყო. თუმცა "პარმა" გადარჩა. დიახ, გავრისკე, მაგრამ როგორც ნახეთ, ამ რისკმა გაამართლა. მწვრთნელის საქმიანობა რისკის გარეშე არ არსებობს.

**- მერე მიიღეთ "იუვენტუსის" წინადადება...**

- ...წინადადება, რომელზეც მწვრთნელების 99 პროცენტი ოცნებობს.

**- და რას ფიქრობთ ახლა "მანჩესტერ სიტიზე", რომლის მთავარ მწვრთნელად სწორედ თქვენ მოიაზრებოდით?**

- არც მაშინ დამიმალავს და ახლაც დავადასტურებ, რომ "მანჩესტერ სიტი" ჩემთვის შესანიშნავი შანსი იყო. გამოგიტყდებით და, პრემიერლიგაში დაბრუნების პერსპექტივაც ძლიერ მხიბლავდა. მაგრამ როგორც კი ტურინიდან დამირეკეს, ბევრი აღარ მიფიქრია...

**- "იუვენტუსის" მხრიდან ეს ამპარტავნული წინადადება იყო?**

- გამარჯვებულებს ყოველთვის ჰკიდებენ რაღაც იარლიყებს. ეს იტალიური ფეხბურთის უარყოფითი მხარეა. მე ყოველთვის გავურბოდი ამგვარ შეფასებებს.

**- და როგორია "იუვენტუსი" შიგნიდან?**

- წარმოიდგინეთ, ძალიან მომეწონა კლუბი, სადაც ბევრი ახალგაზრდა ადამიანი მუშაობს და ამ ადამიანებს ერთი იდეა და ენთუზიაზმი აკავშირებთ. წესებიც უბრალოა, ყველას თავისი მოვალეობა აქვს...

**- გულახდილად თქვით: ელოდით, რომ პირველი წრის დამთავრებამდე ორი ტურით ადრე, "იუვენტუსსა" და მეორე ადგილზე მყოფ "რომას" შორის სხვაობა სულ რაღაც ერთი ქულა იქნებოდა?**

- გაცილებით ძნელი დასაჯერებელი იყო სხვა მომენტები. მაგალითად, დარწმუნებული ვიყავი, რომ "პარმას" გადავარჩენდი. "იუვენტუსში" წინასასეზონო შეკრებაც საოცარი ენთუზიაზმით დაიწყო. დღეს ვინმემ მეორე ადგილი რომ შემომთავაზოს, არ დავთანხმდები. დიახ, ჩვენ ვაგრძელებთ ბრძოლას სკუდეტოსთვის. "იუვენტუსის" მწვრთნელი ვარ და მარტო ეს ფაქტი უკმაყოფილების საბაბს არ მაძლევს. მაგრამ ეს ნიშნავს, რომ მუდმივად უნდა გქონდეს დაუკმაყოფილებლობის გრძნობა, უნდა ისახავდე ახალახალ მიზნებს, ყოველთვის მეტზე იფიქრო... ძველი წარმატებებიც ერთგვარმა შიმშილმა მოიტანა. ეს მარჩელო ლიპისგან ვიცი და ისიც ვიცი, რომ მას ეს სიტუაცია ძალიან მოსწონდა.

**- თუმცა "ინტერი" ძალიან ძლიერია...**

- ...მაგრამ ისიც ვთქვათ, რომ "ინტერს" სამი შემადგენლობა ჰყავს, დაახლოებით ერთნაირი ტექნიკური არსენალით. უნდა მივულოცოთ რობერტო მანჩინისა და მთლიანად კლუბის ხელმძღვანელობას იმ სამუშაოს წარმატებით ჩატარება, რასაც ბოლო წლების განმავლობაში ყველა ვხედავდით. იყო დრო, როცა "ინტერი" იმ აეროპორტს ჰგავდა, სადაც ხალხი მიდიოდა და მოდიოდა. ახლა უკვე სახეზეა ბირთვი, რომელსაც ჭეშმარიტი ჩემპიონები ქმნიან. ეს გუნდი ჩემპიონი რომ ვერ გახდეს, მხოლოდ მისი ბრალი იქნება. საჭიროა, რომ "იუვენტუსი" პირველი იყოს, ვინც ამ ხელიდან გაშვებული ნადავლით ისარგებლებს.

**- როგორია დღეს "იუვენტუსისადმი" დამოკიდებულება?**

- რამდენჯერმე ვთქვი, რომ საკამათო მომენტებში მსაჯები გადაწყვეტილებას ყოველთვის მეტოქის სასარგებლოდ იღებენ. თუმცა ამ შემთხვევაში ნამდვილად მიცდია, რომ რაღაც შეთქმულების თეორია ამეგორებინა, ან პრობლემისადმი ყურადღება მიმეპყრო. გასულ წელს, სერია B-ში, "იუვენტუსის" სასარგებლოდ არ ინიშნებოდა ასპროცენტიანი პენალტები და ამის მოწმე თავადაც ვარ. ეს ჩვეულებრივი რამაა "კალჩოპოლის" სკანდალის შემდეგ. ერთი სიტყვით, ამას ველოდით და ფეხბურთელები წინასასეზონო შეკრების დროს გავაფრთხილე კიდეც. დღეს ბევრი ახალგაზრდა, გამოუცდელი მსაჯია. ამიტომ, ეს შეცდომები არ უნდა გვიკვირდეს, თუმცა ამან სისტემატური ხასიათიც არ უნდა მიიღოს.

**- მოდით, თქვენს შეგირდებზე ვილაპარაკოთ. რამდენად საგრძნობია კამორანეზის არყოფნა?**

- იანვარში ის დაბრუნდება და მზად იქნება, თავისი მაღალი კლასის დემონსტრირება მოახდინოს. თავისი ოსტატობით, გადაცემებით, არასტანდარტული სვლებით ის ძალიან დაგვაკლდა... ასე რომ, მაუროს მოუთმენლად ველით.

**- ლეგროტალიემ და კიელინიმ გააკვირვეს ექსპერტები დამაჯერებელი თამაშით...**

- ლეგროტალიემ მეორედ აღმოაჩინა საკუთარი თავი და იმ ფეხბურთელად იქცა, ვისაც ტრაპატონი თავის დროზე ნაკრებში იძახებდა. კიელინი კი "იუვენტუსის" მენტალიტეტისა და სულის ჭეშმარიტი გამოვლინებაა. ის არასოდეს დათმობს ბრძოლას...

**- ალმირონსა და ტიაგოს წარუმატებელ პროექტად თვლით?**

- სულაც არა. ალმირონმა კარგად დაიწყო, მაგრამ მერე მოუკლო. მას აქვს მისწრაფება იმპროვიზაციისკენ, მაგრამ როცა 4-4-2 სქემით თამაშობ, მკაცრი ტაქტიკური დისციპლინაა საჭირო. რაც შეეხება ტიაგოს, აშკარაა, რომ ის უკვე ეგუება იტალიური ფეხბურთის თავისებურებებს.

**- გაგიმართლათ, რომ იაკუინტა და დელ პიერო მაღალი ადამიანური თვისებებით გამოირჩევიან, რაკი მათ შორის როტაცია კონფლიქტურ სიტუაციას არ იწვევს...**

- მოიცათ, მოიცათ... თქვენ ახლა საუბრობთ ორ მსოფლიო ჩემპიონზე, რომლებმაც იციან, რომ ძირითადში ადგილი ეკუთვნის იმას, ვინც კონკრეტული მომენტისთვის ყველაზე კარგადაა მზად, ვინც ბოლომდე დაიხარჯა ვარჯიშებზე და ასე შემდეგ. ხოლო ის, ვინც სათადარიგოთა სკამზე რჩება, დეპრესიაში არ უნდა ჩავარდეს და სკანდალები არ უნდა მოაწყოს. ნამდვილი ჩემპიონი ისაა, ვინც ნებისმიერ მომენტში მზადაა, გავიდეს მოედანზე, ალღო აუღოს თამაშის რიტმს და... გნებავთ, საჭირო გოლიც გაიტანოს.



კლაუდიო რანიერი სკუდეტოზე უარს არ ამბობს

**- როგორი იქნება კლუბის სატრანსფერო პოლიტიკა მომავალში?**

- ძველისგან განსხვავებული. ერთი თვის განმავლობაში უნდა ჩამოვყალიბდეთ და განვსაზღვროთ გუნდის სუსტი პოზიციები, უნდა დავსახოთ ამ სისუსტეების დაძლევის გზები, თან ისე, რომ ერთი შეცდომაც არ უნდა დავუშვათ, რადგან ამ შეცდომის უფლება არ გვაქვს. უნდა მოვნახოთ ის მოთამაშეები, რომლებიც ოსტატობის დანაკლისს შეავსებენ.

**- იყიდით რომელიმე ვარსკვლავურ ნახევარმცველს?**

- ვნახოთ. არცთუ ისე დიდი ხნის წინ პრესა წერდა იმაზე, თუ როგორ გვიჭირდა დაცვაში. თქვენც და ყველა ეს ადამიანიც დღეს ხედავს, რომ ამ მხრივ დიდი პრობლემები აღარ გვაქვს. ნებისმიერ შემთხვევაში, ყურადღებით ვაკვირდები ჩვენს ახალგაზრდა მოთამაშეებს. პირველ რიგში, უპირატესობას მათ მივანიჭებთ.

**- პოტენციურ ახალწვეულთა სიაში ლემპარდი პირველია?**

- ამ მომენტისთვის ის "ჩელსიშია" და არა მგონია, აბრამოვიჩმა გაუშვას. ამას გარდა, ინგლისური და ესპანური კლუბებისგან განსხვავებით, იტალიური კლუბები დღეს გაცილებით მკაცრ ფინანსურ ჩარჩოებში არიან. მაგალითად, ესპანეთში პირველ კონტრაქტზე გადასახადი 25 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე იტალიაში. მოკლედ, აქაც სერიოზული ბრძოლა გვაქვს გადასატანი. ამას გარდა, ბევრი ბრიტანელი იტალიაში ვერ ახერხებს თავის გამოჩენას, მეტწილად, სამშობლოსადმი ნოსტალგიის გამო. მაგალითები გნებავთ? ბრეიდი, საუნესი, ფრენსისი...

**- როგორც ამბობენ, ვან დერ ვაარტის ყიდვა გადაწყვეტილი გაქვთ. მართლია?**

- ეს მართლაც შესანიშნავი მოთამაშეა. ოდნავადაც არ ვაჭარბებ...

**- როგორი იქნება სასელექციო პოლიტიკა?**

- სურვილი მაქვს, ვიმუშაო იმ ფეხბურთელებთან, ვისზეც არჩევანი შევაჩერე. ამას გარდა, საჭიროა, ჰარმონიული ურთიერთობა მქონდეს სპორტულ დირექტორ სეკოსთან და გენერალურ მენეჯერ ბლანთან. დანარჩენს ერთად მივხედავთ.

---



იყიდება თუ არა რონალდინიო?

ბარსელონა

# რონალდინიო არ იყიდება

გასული წლის მიწურულს **რონალდინიოსთან** დაკავშირებით დიდი აჟიოტაჟი ატყდა. სუპერკლასიკოში განცდილი მარცხით სასოწარკვეთილმა გულშემატკივრებმა, ფაქტობრივად ყველა უბედურებაში სწორედ გაუჩო დაადანაშაულეს. უკმაყოფილებამ იმდენად მასშტაბური ხასიათი შეიძინა, რომ უკლებლივ ყველა გაზეთი ბრაზილიელის "ბარსელონიდან" წასვლის გარდაუვალობაზე ალაპარაკდა. ახლა კი ირკვევა, რომ დასკვნები ძალიან ნაჩქარევი იყო. საქმეში უკეთ გარკვევით მიზნით **ჩიკი ბეგირისტაინის** განცხადებას შემოგთავაზებთ: *"ირონიული და ცინიკურია, რომ ახალი წელიც ამ ისტორიით დაიწყო. რამდენჯერ უნდა განვაცხადო, რომ რონალდინიოს არ ვყიდით?! ცდება ის ვინც ფიქრობს, რომ "რეალთან" მან წაგვაგებინა. პასუხისმგებლობა ყველამ თანაბრად უნდა იტვირთოს. ბრაზილიელი ყველაფერს აკეთებს რათა გუნდს დაეხმაროს. არანაირი პირობა არ არსებობს იმისთვის, რომ რონალდინოს გაყიდვაზე ვიფიქროთ. ის გუნდს ჰაერივით სჭირდება. ასე რომ, ყველას ვთხოვ, ხელოვნურ აჟიოტაჟს ნუ მოაწყობს."*

ბეგირისტაინი არ ტყუის, რონალდინიო "ბარსელონას" მართლაც ჰაერივით სჭირდება. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ **სამუელ ეტოო** აფრიკის თასზე სათამაშოდ წასვლას აპირებს. **ტიერი ანრის** კი ზურგის ტრავმა ხშირად ახსენებს თავს.

აქვე კიდევ ერთი ინფორმაცია კატალონიელთა ბანაკიდან. ესპანური გაზეთი "სპორტი" იუწყება, რომ "ბარსას" საზაფხულო ტრანსფერების სია უკვე მზად აქვს. მას "ბაიერნის" განაპირა მცველების, **ფილიპ ლამისა** და **ვილი სანიოლის**, აგრეთვე "არსენალის" ნახევარმცველების, **ფრანსესკ ფაბრეგასისა** და **ალექსანდრ გლების**, ან ლივერპულელი ნახევარმცველის, **ჩაბი ალონსოს** შეძენა სურს. ამ ფეხბურთელებს **ჯანლუკა ძამბროტას, სილვინიოსა** და **დეკუს** შემცვლელებად განიხილავენო, წერს **"სპორტი".**

## ჰამბურგის ახალი შენაძენი

„ჰამბურგმა" მომავალი სეზონისთვის ერთი ახალი ფეხბურთელი უკვე დაიბევა. გადაწყვეტილია, რომ ზაფხულში „ფრაიბურგის" მარჯვენა ნახევარმცველი **ჯონათან პიტროიპა** HSV-ს მოთამაშე გახდება. მხარეებმა უკვე გააფორმეს წინასწარი კონტრაქტი, 21 წლის პიტროიპა „ჰამბურგს" 2012 წლამდე დაეხმარება. „ძალიან გახარებულები ვართ. პიტროიპას დიდი ხანია ვაკვირდებით და მიხარია, რომ ეს ტრანსფერი განვახორციელეთ," – ეს „ჰამბურგის" სპორტული დირექტორის, **დიტმარ ბაიერსდორფერის** სიტყვებია. პიტროიპა, რომელიც ბურკინა ფასოს ნაკრების შეუცვლელი წევრია, HSV-ს უფასოდ მიაშურებს, რადგან „ფრაიბურგთან" მას კონტრაქტი უმთავრდება.

## ბოსინგვა 22 მილიონად?

"მანჩესტერ იუნაიტედს" "პორტუს" ნახევარმცველ **ჟოზე ბოსინგვას** შეძენა სურს, 22 მილიონი ევროს გადახდა მოუხდება. ამ ინფორმაციას პორტუგალიური გაზეთი "ა ბოლა" ავრცელებს. პორტუგალიურმა გრანდმა 25 წლის ფეხბურთელის სანაცვლოდ სწორედ ეს თანხა მოითხოვეს. ბოსინგვას ქვეყნის ეროვნული ნაკრების წევრია. მისი შეძენა კიდევ ერთ ინგლისურ კლუბს, "ასტონ ვილას" სურს, თუმცა უცნობია, ჭკუაში დაუჯდებათ თუ არა ინგლისელებს მოთამაშის ამ ფასად ყიდვა.

## ვინ შეცვლის ლემანს?

**"არსენალი"** **იენს ლემანის** შემცვლელს ეძებს. "დეილი მეილს" თუ დავუჯერებთ, "მეთოფეებმა" ესპანურ ბაზარს მიაპყრეს მზერა. **არსენ ვენგერის** ყურადღება ფართო საზოგადოებისათვის უცნობმა გოლკიპერმა, **ფაბრისიომ** მიიპყრო. ფაბრისიო 21 წლისაა და "დეპორტივოს" შემადგენლობაში ირიცხება. ინგლისურ კლუბებს წესად ექცათ იმედისმომცემი ესპანელი ფეხბურთელების იაფად შეძენა და მათი მსოფლიოს დონის ვარსკვლავებად ქცევა. "არსენალის" კიდევ ერთი სამიზნე ესპანეთის ახალგაზრდული ნაკრებისა და "ესპანიოლის" კარის დარაჯი **კიკო კასილიასი.** ამ უკანასკნელმა ბოლო ორი სეზონი "რეალის" მეორე გუნდს "კასტილიაში" გაატარა.

## მადურო: იტალია თუ მანჩესტერი?

"მანჩესტერ სიტიმ" "აიაქსისა" და ჰოლანდიის ნაკრების საყრდენ ნახევარმცველ **ჰედვიგეს მადუროს** დაადგა თვალი. ამ ფეხბურთელს "ინტერი" და "იუვენტუსი" აკვირდებიან. იტალიური გრანდები მოლაპარაკებების დაწყებას ზაფხულამდე არ აპირებენ. "სიტიმ" გადაწყვიტა, მათი ტაიმ აუტით ისარგებლოს და ამსტერდამელებს სარფიანი გარიგება შესთავაზოს. მადუროს "აიაქსთან" კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში ეწურება. თუ ის ხელშეკრულებას არ გააგრძელებს, სეზონის მიწურულს ტრანსფერზე დაყენება ისედაც არ ასცდება. მოსალოდნელი გარიგების ფინანსური დეტალები უცნობია.

## ბენზემა მილანში 35 მილიონად?

"მილანს" "ლიონისა" და საფრანგეთის ნაკრების თავდამსხმელის, **ქარიმ ბენზემას** შეძენა სურს. საფრანგეთის ჩემპიონები გარიგებაზე თანახმანი არიან, მაგრამ კომპენსაციის სახით, 35 მილიონ ევროს ითხოვენ. ფრანგული სააგენტოების ცნობით, "ლიონს" ასტრონომიული ფასით სურს კონკურენტების ჩამოშორება. ლიონელები ბენზემასთან გამოთხოვებას არ აპირებენ და ყველანაირი ხერხით შეეცდებიან მის შენარჩუნებას. "გაძეტა დელო სპორტის", "მილანმა" "არსენალის" ახალგაზრდა შემტევ ნახევარმცველებს, **თეო ულკოტსა** და **დენილსონსაც** დაადგა თვალი.

## იუვენტუსი: დიდი გარიგება პალერმოსთან

"იუვენტუსი" "პალერმოსთან" ხმაურიანი გარიგებისათვის ემზადება. "ბებერ ქალბატონს" სიცილიელთა ორი ლიდერის, ცენტრალური მცველის, **ანდრეა ბარძალისა** და თავდამსხმელის, **ამაურის** შეძენა სურს. "კორიერე დელო სპორტის" თანახმად, "იუვე" მეტოქეს ამ ორი მოთამაშის სანაცვლოდ ოთხს შესთავაზებს. ამას გარდა, რამდენიმე მილიონი ევროსაც მიუთვლის. ტურინელებს "პალერმოში" გასაშვებად ემეტებათ მცველი **დომენიკო კრიშიტო**, ნახევარმცველები **სერხიო ალმირონი** და **მარკო მარკიონი**, აგრეთვე თავდამსხმელი **რაფაელე პალადინო.** მოსალოდნელ ტრანსფერებთან დაკავშირებით ოფიციალური კომენტარები არ გაკეთებულა.

## ინტერი ეძებს ნახევარმცველს

"ინტერი" ბაიერნისა და გერმანიის ნაკრების ნახევარმცველით, **ბასტიან შვაინშტაიგერით** დაინტერესდა. 23 წლის ვარსკვლავს მიუნხენური კონტრაქტი 2009 წლის ზაფხულში უმთავრდება. "ნერაძურის" ეს გარემოება მხედველობიდან არ გამორჩენია. "ინტერს" ნახევარდაცვის გასაძლიერებლად კიდევ ერთი კანდიდატი ჰყავს შეგულებული: 28 წლის კალიარელი **ანდრეა პაროლი.** მას დაშავებული **პატრიკ ვიეირას** შეცვლა შეუძლია.

ეროვნული

## იანვარი

| | |
|---|---|
| 31.12-06.01 | **ჩოგბურთი**. ATP. NEXT GENERATION. ადელაიდა (ავსტრალია). $465,000 |
| 31.12-06.01 | **ჩოგბურთი**. ATP. კატარის ღია პირველობა. დოჰა (კატარი). $1,049,000 |
| 31.12-06.01 | **ჩოგბურთი**. ATP. CHENNAI OPEN. ჩენაი (ინდოეთი). $436,000 |
| 31.12-06.01 | **ჩოგბურთი**. WTA. MONDIAL AUSTRALIAN WOMEN'S HARDCOURTS. გოლდ კოუსტი (ავსტრალია). $175,000 |
| 31.12-06.01 | **ჩოგბურთი**. WTA. ASB CLASSIC. ოკლენდი (ახალი ზელანდია). $145,000 |
| 01.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. გარმიში (გერმანია) |
| 02.01-05.01 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. ობერჰოფი (გერმანია) |
| 02.01-09.01 | **აფროსნობა**. მსოფლიო ჩემპიონატი. ვიქტორია (ავსტრალია) |
| 04.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ინსბრუკი (ავსტრია) |
| 05.01-06.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ქალები. შპინდლერუვი (ჩეხეთი) |
| 05.01-06.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ადელბოდენი (შვეიცარია) |
| 05.01-06.01 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. შონახი (გერმანია) |
| 05.01-20.01 | **ავტოსპორტი**. დაკარის რალი |
| 06.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ბისხოფშოფენი (ავსტრია) |
| 07.01-13.01 | **ჩოგბურთი**. ATP. HEINEKEN OPEN. ოკლენდი (ახალი ზელანდია). $464,000 |
| 07.01-13.01 | **ჩოგბურთი**. ATP. MEDIBANK INTERNATIONAL. სიდნეი (ავსტრალია). $465,000 |
| 07.01-13.01 | **ჩოგბურთი**. WTA. MEDIBANK INTERNATIONAL. სიდნეი (ავსტრალია). $600,000 |
| 07.01-13.01 | **ჩოგბურთი**. WTA. MOORILLA HOBART INTERNATIONAL. ჰობარტი (ავსტრალია). $170,000 |
| 08.01-11.01 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. რუჰპოლდინგი (გერმანია) |
| 09.01-13.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ვენგენი (შვეიცარია) |
| 10.01-13.01 | **ჰოკეი**. IIHF-ის ევროპის ჩემპიონთა თასი. სანკტ პეტერბურგი (რუსეთი) |
| 12.01-13.01 | **ციგურებით სირბილი**. ევროპის ჩემპიონატი. კოლომნა (რუსეთი) |
| 12.01-13.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ქალები. მარიბორი (სლოვენია) |
| 12.01-13.02 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ვალ დი ფიემი (იტალია) |
| 12.01-13.02 | **სათხილამურო ორ იდი**. მსოფლიო თასი. ვალ დი ფიემი (იტალია) |
| 14.01-27.01 | **ჩოგბურთი**. ავსტრალიის ღია პირველობა. მელბურნი. $20,600,000 |
| 15.01-20.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კიტცბუელი (ავსტრია) |
| 16.01-19.01 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. ანტოლცი (იტალია) |
| 17.01-20.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ქალები. კორტინა დ'ამპეცო (იტალია) |
| 17.01-27.01 | **ხელბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. მამაკაცები. ნორვეგია |
| 18.01-20.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ჰარახოვი (ჩეხეთი) |
| 19.01-20.01 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო ჩემპიონატი. სპრინტი. ჰერენვეენი (ჰოლანდია) |
| 19.01-20.01 | **სათხილამურო ორ იდი**. მსოფლიო თასი. კლინგენტალი (გერმანია) |
| 21.01-27.01 | **ფიგურული სრიალი**. ევროპის ჩემპიონატი. ზაგრები (ხორვატია) |
| 22.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. შლადმინგი (ავსტრია) |
| 22.01-26.01 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. კანმორი (კანადა) |
| 22.01-27.01 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. TOUR DOWN UNDER . ავსტრალია |
| 24.01-27.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. შამონი (საფრანგეთი) |
| 24.01-27.01 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. I ეტაპი. მონტე კარლო |
| 25.01-26.01 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ზაკოპანე (პოლონეთი) |
| 26.01-27.01 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ქალები. ოფტერშვანგი (გერმანია) |
| 26.01-27.01 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. ზიფელდი (ავსტრია) |
| 28.01-03.02 | **ჩოგბურთი**. ATP. MOVISTAR OPEN. ვინა დელ მარი (ჩილე). $462,000 |
| 30.01-03.02 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ვალ დ'იზერი (საფრანგეთი) |
| 30.01-03.02 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ქალები. სტ. მორიტცი (საფრანგეთი) |

## თებერვალი

| | |
|---|---|
| 02.02-03.02 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. I ტური (*ირლანდია-იტალია; შოტლანდია-საფრანგეთი; ინგლისი-უელსი*) |
| 02.02-03.02 | **ჩოგბურთი**. ფედერაციის თასი. 1/4 ფინალი (*ისრაელი-რუსეთი, აშშ-გერმანია, ჩინეთი-საფრანგეთი, იტალია-ესპანეთი*) |
| 02.02-03.02 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. საპორო (იაპონია) |
| 02.02-03.02 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ბასელია დე პინე (იტალია) |
| 04.02-10.02 | **ჩოგბურთი**. WTA. OPEN GAZ DE FRANCE. პარიზი (საფრანგეთი). $600,000 |
| 04.02-10.02 | **ჩოგბურთი**. WTA. PATTAYA WOMEN'S OPEN. პატაია (ტაილანდი). $170,000 |
| 05.02-10.02 | **ბობსლეი/სკელეტონი**. მსოფლიო ჩემპიონატი. ალტენბერგი (გერმანია) |
| 06.02 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*ავსტრია-გერმანია, ხორვატია-ჰოლანდია, კვიპროსი-უკრაინა, ინგლისი-შვეიცარია, ირლანდია-ბრაზილია, ისრაელი-რუმინეთი, იტალია-პორტუგალია, პოლონეთი-ჩეხეთი, სლოვენია-დანია, ესპანეთი-საფრანგეთი, თურქეთი-შვედეთი*) |
| 06.02-10.02 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ქალები. სესტრიერი (იტალია) |
| 08.02-10.02 | **ჩოგბურთი**. დევისის თასი. 1/8 ფინალი (*რუსეთი-სერბეთი, ჩეხეთი-ბელგია, არგენტინა-ბრიტანეთი, ისრაელი-შვედეთი, გერმანია-კორეა, პერუ-ესპანეთი, რუმინეთი-საფრანგეთი, ავსტრია-აშშ*) |
| 08.02-10.02 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. II ეტაპი. შვედეთი |
| 08.02-09.02 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| 09.02-10.02 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. II ტური (*უელსი-შოტლანდია; საფრანგეთი-ირლანდია; იტალია-ინგლისი*) |
| 09.02 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. გარმიში (გერმანია) |
| 09.02-10.01 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ოტეპაა (ესტონეთი) |
| 09.02-10.02 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო ჩემპიონატი. მრავალ იდი. ბერლინი (გერმანია) |
| 1.02-17.02 | **ჩოგბურთი**. ATP. OPEN 13. მარსელი (საფრანგეთი). 534,000 ევრო |
| 1.02-17.02 | **ჩოგბურთი**. ATP. DELRAY BEACH INTERNATIONAL. დელრეი ბიჩი (აშშ). $436,000 |
| 1.02-17.02 | **ჩოგბურთი**. ATP. ბრაზილიის ღია პირველობა. კოსტა დო საუიპე (ბრაზილია). $485,000 |
| 11.02-17.02 | **ჩოგბურთი**. WTA. PROXIMUS DIAMOND GAMES. ანტვერპენი (ბელგია). $600,000 |
| 11.02-17.02 | **ჩოგბურთი**. WTA. CACHANTUN CUP. ვინია დელ მარი (ჩილე). $200,000 |
| 13.02-14.02 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. 1/16 ფინალი. პირველი მატჩები (*აბერდინი-ბაიერნი, აეკ-ხეტაფე, ბოლტონი-ატლეტიკო, ზენიტი-ვილიარეალი, გალათასარაი-ლევერკუზენი, ანდერლეხტი-ბორდო, ბრანი-ევერტონი, ციურიხი-ჰამბურგი, რეინჯერსი-პანათინაიკოსი, ეინდჰოვენი-ჰელსინგბორგი, სლავია-ტოტენჰემი, რუსენბორგი-ფიორენტინა, სპორტინგი-ბაზელი, ვერდერი-ბრაგა, ბენფიკა-ნიურნბერგი, მარსელი-სპარტაკი*) |
| 15.02-17.02 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ქალები. ზაგრები (ხორვატია) |
| 15.02-17.02 | **სათხილამურო ორ იდი**. მსოფლიო თასი. ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| 16.02-17.02 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ლიბერეცი (ჩეხეთი) |
| 16.02-17.02 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ვილინგენი (გერმანია) |
| 16.02-17.02 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ინცელი (გერმანია) |
| 17.02 | **კალათბურთი**. NBA-ის ყველა ვარსკვლავის მატჩი. ნიუ ორლეანი |
| 18.02-24.02 | **ჩოგბურთი**. ATP. ABN/AMRO WORLD TENNIS TOURNAMENT. როტერდამი (ჰოლანდია). 824,000 ევრო |
| 18.02-24.02 | **ჩოგბურთი**. ATP. COPA TELEMEX. ბუენოს აირესი (არგენტინა). $466,000 |
| 18.02-24.02 | **ჩოგბურთი**. ATP. SAP OPEN. სან ხოსე (აშშ). $436,000 |
| 18.02-24.02 | **ჩოგბურთი**. WTA. QATAR TOTAL OPEN. დოჰა (კატარი). $2,500,000 |
| 18.02-24.02 | **ჩოგბურთი**. WTA. COPA COLSANITAS. ბოგოტა (კოლუმბია). $185,000 |
| 19.02-24.02 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ქალები. ვისტლერი (კანადა) |
| 19.02-20.02 | **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები (*შალკე-პორტუ, რომა-რეალი, ოლიმპიაკოსი-ჩელსი, ლივერპული-ინტერი, სელტიკი-ბარსელონა, ლიონი-მანჩესტერ იუნაიტედი, ფენერბაჰჩე-სევილია, არსენალი-მილანი*) |
| 21.02 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. 1/16 ფინალი. საპასუხო მატჩები (*ბაიერნი-აბერდინი, ხეტაფე-აეკ, ატლეტიკო-ბოლტონი, ვილიარეალი-ზენიტი, ლევერკუზენი-გალათასარაი, ბორდო-ანდერლეხტი, ევერტონი-ბრანი, ჰამბურგი-ციურიხი, პანათინაიკოსი-რეინჯერსი, ჰელსინგბორგი-ეინდჰოვენი, ტოტენჰემი-სლავია, ფიორენტინა-რუსენბორგი, ბაზელი-სპორტინგი, ბრაგა-ვერდერი, ნიურნბერგი-ბენფიკა, სპარტაკი-მარსელი*) |
| 22.02-25.02 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. პიონჩანგი (ჩრ. კორეა) |
| 23.02 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. III ტური (*უელსი-იტალია; ირლანდია-შოტლანდია; საფრანგეთი-ინგლისი*) |
| 23.02-24.02 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ფალუნი (შვედეთი) |
| 23.02-24.02 | **სათხილამურო ორ იდი**. მსოფლიო თასი. ზაკოპანე (პოლონეთი) |
| 24.02-02.03 | **მაგიდის ჩოგბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი. გუანგჯოუ (ჩინეთი) |
| 25.02-02.03 | **ჩოგბურთი**. ATP. REGIONS MORGAN KEEGAN CHAMPIONSHIPS. მემფისი (აშშ). $769,000 |
| 25.02-02.03 | **ჩოგბურთი**. ATP. ABIERTO MEXCICANO TELCEL. აკაპულკო (მეხიკო). $794,000 |
| 25.02-02.03 | **ჩოგბურთი**. ATP. PBZ ZAGREB INDOORS. ზაგრები (ხორვატია). 370,000 ევრო |
| 25.02-02.03 | **ჩოგბურთი**. WTA. BARCLAYS DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS. დუბაი (საემიროები). $1,500,000 |
| 25.02-02.03 | **ჩოგბურთი**. WTA. ABIERTO MEXICANO TELCEL. აკაპულკო (მექსიკა). $180,000 |
| 25.02-02.03 | **ჩოგბურთი**. WTA. REGIONS MORGAN KEEGAN CHAMPIONSHIPS. მემფისი (აშშ). $175,000 |
| 27.01 | **ჰოკეი**. NHL-ის ყველა ვარსკვლავის მატჩი. ატლანტა |
| 27.02-02.03 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კვიტფიელი (ნორვეგია) |
| 27.02 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. სტოკჰოლმი (შვედეთი) |
| 28.02-02.03 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. III ეტაპი. მექსიკა |
| 29.02-01.03 | **სათხილამურო ორჭიდი**. მსოფლიო თასი. ლაჰტი (ფინეთი) |

## მარტი

| | |
|---|---|
| 01.03-02.03 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ქალები. არბერი (გერმანია) |
| 01.03-02.03 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ლაჰტი (ფინეთი) |
| 01.03-02.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ლაჰტი (ფინეთი) |
| 03.03-09.03 | **ჩოგბურთი**. ATP. DUBAI TENNIS CHAMPIONSHIPS. დუბაი (საემიროები). $1,426,000 |
| 03.03-09.03 | **ჩოგბურთი**. ATP. TENNIS CHANNEL OPEN. ლას ვეგასი (აშშ). $436,000 |
| 03.03-09.03 | **ჩოგბურთი**. WTA. BANGALORE OPEN. ბანგალორი (ინდონეზია). $600,000 |
| 04.03-05.03 | **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები (*პორტუ-შალკე, რეალი-რომა, ჩელსი-ოლიმპიაკოსი, ინტერი-ლივერპული, ბარსელონა-სელტიკი, მანჩესტერ იუნაიტედი-ლიონი, სევილია-ფენერბაჰჩე, მილანი-არსენალი*) |
| 04.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. კუოპიო (ფინეთი) |
| 04.03-08.03 | **მშვილდოსნობა**. ევროპის ჩემპიონატი დარბაზებისთვის. ტურინი (იტალია) |
| 05.03-09.03 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ქალები. კრანს-მონტანა (შვეიცარია) |
| 05.03-08.03 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. ხანტი-მანსიისკი (რუსეთი) |
| 05.03 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. დრამენი (ნორვეგია) |
| 06.03 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. 1/8 ფინალი. პირველი მატჩები |
| 06.03-09.03 | **ციგურებით სირბილი**. მსოფლიო ჩემპიონატი ცალკეულ დისციპლინებში. ნაგანო (იაპონია) |
| 07.03-09.03 | **მძლეოსნობა**. მსოფლიო ჩემპიონატი (დარბაზში). ვალენსია (ესპანეთი) |
| 07.03-09.03 | **შორტ-ტრეკი**. მსოფლიო ჩემპიონატი. განგნეუნგი (ჩრ. კორეა) |
| 07.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ლილეჰამერი (ნორვეგია) |
| 08.03-09.03 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. IV ტური (*ირლანდია-უელსი; შოტლანდია-ინგლისი; საფრანგეთი-იტალია*) |
| 08.03-09.03 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. მამაკაცები. კრანსკა გორა (სლოვენია) |
| 08.03 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ოსლო (ნორვეგია) |
| 08.03-09.03 | **სათხილამურო ორ იდი**. მსოფლიო თასი. ოსლო (ნორვეგია) |
| 09.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. ოსლო (ნორვეგია) |
| 09.03 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. I ეტაპი. კატარის გრან-პრი. ლოსაილი |
| 10.03-16.03 | **მთის თხილამურები**. მსოფლიო თასი. ფინალი. მამაკაცები. ქალები. ბორმიო (იტალია) |
| 10.03-23.03 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. PACIFIC LIFE OPEN. ინდიან უელსი (აშშ). $3,589,000 |
| 10.03-23.03 | **ჩოგბურთი**. WTA. PACIFIC LIFE OPEN. ინდიან უელსი (აშშ). $2,100,000 |
| 12.03-13.03 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. 1/8 ფინალი. საპასუხო მატჩები |
| 12.03-15.03 | **ბიატლონი**. მსოფლიო თასი. ჰოლმენკოლენი (ნორვეგია) |
| 14.03-16.03 | **თხილამურებით სირბილი**. მსოფლიო თასი. ბორმიო (იტალია) |
| 14.03-16.03 | **ტრამპლინიდან ხტომა**. მსოფლიო თასი. პლანიცა (სლოვენია) |
| 15.03 | **რაგბი**. ექვსი ერის თასი. V ტური (*იტალია-შოტლანდია; ინგლისი-ირლანდია; უელსი-საფრანგეთი*) |
| 16.03 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. I ეტაპი. ავსტრალიის გრან-პრი. მელბურნი |
| 17.03-23.03 | **ფიგურული სრიალი**. მსოფლიო ჩემპიონატი. გიოტებორგი (შვედეთი) |
| 23.03 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. II ეტაპი. მალაიზიის გრან-პრი. სეპანგი |
| 24.03-06.04 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. SONY ERICSSON OPEN. მაიამი (აშშ). $3,770,000 |
| 24.03-06.04 | **ჩოგბურთი**. WTA. SONY ERICSSON OPEN. მაიამი (აშშ). $3,770,000 |
| 26.03 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*უკრაინა-თურქეთი, შვეიცარია-გერმანია, ესპანეთი-იტალია, სლოვაკეთი-ისლანდია, პორტუგალია-მექსიკა, ლუქსემბურგი-უელსი, საფრანგეთი-ინგლისი, ეგვიპტე-არგენტინა, დანია-ჩეხეთი, ბელგია-კონგო, ავსტრია-ჰოლანდია*) |
| 27.03-30.03 | **ველოსპორტი**. ტრეკი. მსოფლიო ჩემპიონატი. მანჩესტერი (ინგლისი) |
| 27.03-30.03 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. IV ეტაპი. არგენტინა |
| 29.03 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. I ეტაპი. INDY 300. მაიამი (აშშ) |
| 30.03 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. II ეტაპი. ესპანეთის გრან-პრი. ხერესი |

## აპრილი

| | |
|---|---|
| 01.04-02.04 | **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები |
| 03.04 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. 1/4 ფინალი. პირველი მატჩები |
| 05.04-13.04 | **ქიორლინგი**. მსოფლიო ჩემპიონატი. მამაკაცები. გრანდ ფოლკსი (აშშ) |
| 06.04 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. III ეტაპი. ბაჰრეინის გრან-პრი. სახირი |
| 06.04 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. II ეტაპი. HONDA GRAND PRIX OF ST. PETERSBURG. სტ.პეტერბურგი (აშშ) |
| 06.04 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. ფლანდრიის ტური. ბელგია |
| 07.04-12.04 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. ბასკეთის ტური. ესპანეთი |
| 07.04-13.04 | **ჩოგბურთი**. WTA. BAUSCH & LOMB CHAMPIONSHIPS . ამელია აილენდი (აშშ). $600,000 |
| 08.04-09.04 | **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები |
| 09.04-13.04 | **ცურვა**. მსოფლიო ჩემპიონატი (25-მეტრიანი აუზი). მანჩესტერი (ინგლისი) |
| 09.04 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. გენტი-ვეველგემი. ბელგია |
| 10.04 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. 1/4 ფინალი. საპასუხო მატჩები |
| 10.04-13.04 | **კალათბურთი**. ULEB-ის თასი. რვათა ფინალი. ტურინი (იტალია) |
| 11.04-13.04 | **კალათბურთი**. FIBA-ს ევროლიგა. ქალები. ოთხთა ფინალი |
| 11.04-13.04 | **ჩოგბურთი**. დევისის თასი. 1/4 ფინალი. |
| 11.04-20.04 | **ძალოსნობა**. ევროპის ჩემპიონატი. ლინიანო (იტალია) |
| 13.04 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. III ეტაპი. პორტუგალიის გრან-პრი. ეშტორილი |
| 14.04-20.04 | **ჩოგბურთი**. ATP. ESTORIL OPEN. ეშტორილი (პორტუგალია). 370,000 ევრო |
| 14.04-20.04 | **ჩოგბურთი**. ATP. US MEN'S CLAY CHAMPIONSHIPS. ჰიუსტონი (აშშ). $436,000 |
| 14.04-20.04 | **ჩოგბურთი**. ATP. OPEN DE TENIS COMUNIDAD VALENCIANA. ვალენსია (ესპანეთი). 370,000 ევრო |
| 14.04-20.04 | **ჩოგბურთი**. WTA. FAMILY CIRCLE CUP. ჩარლსტონი (აშშ). $1,340,000 |
| 14.04-20.04 | **ჩოგბურთი**. WTA. ESTORIL OPEN. ეშტორილი (პორტუგალია). $145,000 |
| 17.04-22.04 | **ჭიდაობა**. ევროპის ჩემპიონატი. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილი. სოფია (ბულგარეთი) |
| 18.04-20.04 | **კალათბურთი**. FIBA-ს ევროპის თასი. ოთხთა ფინალი |
| 19.04 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. III ეტაპი. INDY JAPAN 300. მოტეგი (იაპონია) |
| 20.04 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. I ეტაპი. TOYOTA GRAND PRIX. ლონგ ბიჩი (აშშ) |
| 20.04 | **ფეხბურთი**. ოლიმპიადის საფეხბურთო ტურნირის წილისყრა. პეკინი (ჩინეთი) |
| 20.04 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. ამსტელ გოლდ რეისი. ჰოლანდია |
| 21.04-27.04 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. მონტე კარლო. 2,270,000 ევრო |
| 22.04-23.04 | **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები |
| 24.04 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. 1/2 ფინალი. პირველი მატჩები |
| 24.04-27.04 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. V ეტაპი. იორდანია |
| 26.04-27.04 | **ჩოგბურთი**. ფედერაციის თასი. 1/2 ფინალი |
| 27.04 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. IV ეტაპი. ესპანეთის გრან-პრი. ბარსელონა |
| 27.04 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. II ეტაპი. GRAND PRIX OF HOUSTON. ჰიუსტონი (აშშ) |
| 27.04 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. IV ეტაპი. KANSAS LOTTERY INDY 300. კანზას სიტი (აშშ) |
| 28.04-04.05 | **ჩოგბურთი**. ATP. OPEN SEAT 2008. ბარსელონა (ესპანეთი). 888,000 ევრო |
| 28.04-04.05 | **ჩოგბურთი**. ATP. BMW OPEN. მიუნხენი (გერმანია). 370,000 ევრო |
| 28.04-04.05 | **ჩოგბურთი**. WTA. GRAND PRIX DE SAR. ფესი (მაროკო). $145,000 |
| 28.04-04.05 | **ჩოგბურთი**. WTA. ECM PRAGUE OPEN. პრაღა (ჩეხეთი). $145,000 |
| 29.04-30.04 | **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები |
| 29.04-04.05 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. რომანდიის ტური. შვეიცარია |

## მაისი

| | |
|---|---|
| 01.05 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. 1/2 ფინალი. საპასუხო მატჩები |
| 02.05-18.05 | **ჰოკეი**. მსოფლიო ჩემპიონატი. კვებეკ სიტი, ჰალიფაქსი (კანადა) |
| 03.05-10.05 | **ცურვა**. მსოფლიო ჩემპიონატი (ღია წყალი). სევილია (ესპანეთი) |
| 04.05-06.05 | **კალათბურთი**. ULEB-ის ევროლიგა. ოთხთა ფინალი. მადრიდი (ესპანეთი) |
| 04.05 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. IV ეტაპი. ჩინეთის გრან-პრი. შანხაი |
| 05.05-11.05 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. INTERNAZIONALI BNL D'ITALIA. რომი (იტალია). 2,270,000 ევრო |
| 05.05-11.05 | **ჩოგბურთი**. WTA. QATAR TELECOM GERMAN OPEN. ბერლინი (გერმანია). $1,340,000 |
| 05.07-27.07 | **ველოსპორტი**. ტურ დე ფრანსი |
| 08.05-11.05 | **სპორტული ტანვარჯიში**. ევროპის ჩემპიონატი. ლოზანა (შვეიცარია) |
| 09.05 | **მძლეოსნობა**. QATAR IAAF WORLD SUPER TOUR 2008 (IAAF-ის სუპერგრან-პრი). დოჰა (კატარი) |
| 10.05-01.06 | **ველოსპორტი**. ჯირო დ'იტალია |
| 11.05 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. V ეტაპი. თურქეთის გრან-პრი. სტამბოლი |
| 12.05-18.05 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. ჰამბურგი (გერმანია). 2,270,000 ევრო |
| 12.05-18.05 | **ჩოგბურთი**. WTA. INTERNAZIONALI BNL D'ITALIA. რომი (იტალია). $1,340,000 |
| 12.05-19.05 | **მშვილდოსნობა**. ევროპის ჩემპიონატი. ვიტელი (საფრანგეთი) |
| 14.05 | **ფეხბურთი**. უეფას თასი. ფინალი. მანჩესტერი (ინგლისი) |
| 16.05-18.05 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. VI ეტაპი. იტალია |
| 18.05 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. V ეტაპი. საფრანგეთის გრან-პრი. ლე მანი |

# 2008 წლის სპორტული კალენდარი

| | |
|---|---|
| 18.05 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. III ეტაპი. GRAND PRIX AT MAZDA. ლაგუნა სეკა (აშშ) |
| 19.05-25.05 | **ჩოგბურთი**. ATP. GRAN PRIX HASSAN II. კასაბლანკა (მაროკო). 370,000 ევრო |
| 19.05-25.05 | **ჩოგბურთი**. ATP. THE HYPO GROUP TENNIS INTERNATIONAL. პორტშახი (ავსტრია). 370,000 ევრო |
| 19.05-25.05 | **ჩოგბურთი**. ATP. მსოფლიოს გუნდური პირველობა (გერმანია). 1,500,000 ევრო |
| 19.05-25.05 | **ჩოგბურთი**. WTA. INTERNATIONAUX DE STRASBOURG. სტრასბური (საფრანგეთი). $175,000 |
| 19.05-25.05 | **ჩოგბურთი**. WTA. ISTANBUL CUP. სტამბოლი (თურქეთი). $200,000 |
| 19.05-25.05 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. კატალონიის ტური. ესპანეთი |
| 21.05 | **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ფინალი. მოსკოვი (რუსეთი) |
| 22.05-25.05 | **მხატვრული ტანვარჯიში**. ევროპის ჩემპიონატი. ტურინი (იტალია) |
| 24.05 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*ირლანდია-სერბეთი, ჰოლანდია-უკრაინა*) |
| 25.05 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. VI ეტაპი. მონაკოს გრან-პრი. მონტე კარლო |
| 25.05 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. V ეტაპი. THE 92ND INDIANAPOLIS 500. ინდიანაპოლისი (აშშ) |
| 26.05-08.06 | **ჩოგბურთი**. საფრანგეთის ღია პირველობა. პარიზი |
| 27.05 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*ავსტრია-ნიგერია, გერმანია-ბელარუსი*) |
| 28.05-29.05 | **ფეხბურთი**. ფიფას 58-ე კონგრესი. სიდნეი (ავსტრალია) |
| 29.05 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*ჰოლანდია-დანია*) |
| 29.05-01.06 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. VII ეტაპი. საბერძნეთი |
| 30.05 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*ავსტრია-მალტა*) |
| 31.05 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*გერმანია-სერბეთი*) |

## ივნისი

| | |
|---|---|
| 01.06 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*ჰოლანდია-უელსი*) |
| 01.06 | **მძლეოსნობა**. IAAF-ის „ოქროს ლიგა". I ეტაპი. ISTAF. ბერლინი (გერმანია) |
| 01.06 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. VI ეტაპი. იტალიის გრან-პრი. მუგელო |
| 01.06 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. IV ეტაპი. ბელგიის გრან-პრი. ცოლდერი (ბელგია) |
| 01.06 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. VI ეტაპი. ABC SUPPLY. მილუოკი (აშშ) |
| 06.06 | **მძლეოსნობა**. IAAF-ის „ოქროს ლიგა". II ეტაპი. EXXON MOBIL BISLETT GAMES. ოსლო (ნორვეგია) |
| 07.06-29.06 | **ფეხბურთი**. ევრო 2008. ფინალური ტურნირი. ავსტრია/შვეიცარია |
| 07.06 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. VII ეტაპი. BOMBARDIER LEARJET 550. ტეხასი (აშშ) |
| 08.06 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. VII ეტაპი. კანადის გრან-პრი. მონრეალი |
| 08.06 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. VII ეტაპი. კატალონიის გრან-პრი. ბარსელონა |
| 08.06 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. V ეტაპი. ესპანეთის გრან-პრი. ხერესი (ესპანეთი) |
| 08.06-15.06 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. DAUPHINE LIBERE. |
| 09.06-15.06 | **ჩოგბურთი**. ATP. THE ARTOIS CHAMPIONSHIPS. ლონდონი (ინგლისი). 713,000 ევრო |
| 09.06-15.06 | **ჩოგბურთი**. ATP. GERRY WEBER OPEN. ჰალე (გერმანია). 713,000 ევრო |
| 09.06-15.06 | **ჩოგბურთი**. ATP. ORANGE PROKOM OPEN. სოპოტი (პოლონეთი). 425,000 ევრო |
| 09.06-15.06 | **ჩოგბურთი**. WTA. DFS CLASSIC. ბირმინგემი (ინგლისი). $200,000 |
| 09.06-15.06 | **ჩოგბურთი**. WTA. TORNEO BARCELONA KIA. ბარსელონა (ესპანეთი). $145,000 |
| 13.06-15.06 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. VIII ეტაპი. თურქეთი |
| 13.06-20.07 | **ფრენბურთი**. მსოფლიო ლიგა. მამაკაცები. ჯგუფური ეტაპი |
| 14.06-22.06 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. შვეიცარიის ტური. |
| 16.06-22.06 | **ჩოგბურთი**. ATP. ORDINA OPEN. ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). 370,000 ევრო |
| 16.06-22.06 | **ჩოგბურთი**. ATP. THE NOTTINGHAM OPEN. ნოტინგემი (ინგლისი). 370,000 ევრო |
| 16.06-22.06 | **ჩოგბურთი**. WTA. INTERNATIONAL WOMEN'S OPEN. ისტბურნი (ინგლისი). $600,000 |
| 16.06-22.06 | **ჩოგბურთი**. WTA. ORDINA OPEN. ს. ჰერტოგენბოში (ჰოლანდია). $175,000 |
| 20.06-06.07 | **ფრენბურთი**. გრან-პრი. ქალები. ჯგუფური ეტაპი |
| 22.06 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. VIII ეტაპი. საფრანგეთის გრან-პრი. მანი-კური |
| 22.06 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. VIII ეტაპი. ბრიტანეთის გრან-პრი. დონინგტონი |
| 22.06 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. VI ეტაპი. GRAND PRIX OF CLEVELAND. კლივლენდი (აშშ) |
| 22.06 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. VIII ეტაპი. IOWA CORN INDY 250. აიოვა (აშშ) |
| 22.06 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. გუნდური რბოლა გამოდევნებით. ეინდჰოვენი (ჰოლანდია) |
| 24.06-06.07 | **ჩოგბურთი** უიმბლდონი. ლონდონი. ინგლისი |
| 28.06 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. IX ეტაპი. ჰოლანდიის გრან-პრი. ასენი |
| 28.06 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. IX ეტაპი. SUNTRUST INDY CHALLENGE. რიჩმონდი (აშშ) |
| 29.06 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. VII ეტაპი. MONT-TREMBLANT. კვებეკი (კანადა) |

## ივლისი

| | |
|---|---|
| 06.07 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. IX ეტაპი. ბრიტანეთის გრან-პრი. სილვერსტოუნი |
| 06.07 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. VIII ეტაპი. GRAND PRIX OF TORONTO. ტორონტო (კანადა) |
| 06.07 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. X ეტაპი. CAMPING WORLD WATKINS GLEN GRAND PRIX. უოტკინს გლენი (აშშ) |
| 07.07-13.07 | **ჩოგბურთი**. ATP. MERCEDESCUP. შტუტგარტი (გერმანია). 568,000 ევრო |
| 07.07-13.07 | **ჩოგბურთი**. ATP. ALLIANZ SUISSE OPEN. გშტაადი (შვეიცარია). 389,000 ევრო |
| 07.07-13.07 | **ჩოგბურთი**. ATP. CAMPBELL'S HALL OF FAME TENNIS CHAMPIONSHIPS. ნიუპორტი (აშშ). $385,000 |
| 07.07-13.07 | **ჩოგბურთი**. ATP. შვედეთის ღია პირველობა. ბასტადი (შვედეთი). 326,000 ევრო |
| 07.07-13.07 | **ჩოგბურთი**. WTA. GAZ DE FRANCE GRAND PRIX. ბუდაპეშტი (უნგრეთი). $175,000 |
| 07.07-13.07 | **ჩოგბურთი**. WTA. INTERNAZIONALI FEMMINILI DI TENNIS DI PALERMO. პალერმო (იტალია). $145,000 |
| 08.07-13.07 | **ფრენბურთი**. გრან-პრი. ქალები. ფინალი |
| 11.07 | **მძლეოსნობა**. IAAF-ის „ოქროს ლიგა". III ეტაპი. GOLDEN GALA. რომი (იტალია) |
| 12.07 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. XI ეტაპი. FIRESTONE INDY 200. ნეშვილი (აშშ) |
| 13.07 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. X ეტაპი. გერმანიის გრან-პრი. საქსენრინგი |
| 14.07-20.07 | **ჩოგბურთი**. ATP. AUSTRIAN OPEN. კიტცბუელი (ავსტრია). 571,000 ევრო |
| 14.07-20.07 | **ჩოგბურთი**. ATP. DUTCH OPENT TENNIS. ამერსფოორტი (ჰოლანდია). 326,000 ევრო |
| 14.07-20.07 | **ჩოგბურთი**. ATP. INDIANAPOLIS TENNIS CHAMPIONSHIPS. ინდიანაპოლისი (აშშ). $525,000 |
| 14.07-20.07 | **ჩოგბურთი**. ATP. STUDENA CROATIA OPEN. უმაგი (ხორვატია). 326,000 ევრო |
| 14.07-20.07 | **ჩოგბურთი**. WTA. BANK OF THE WEST CLASSIC. სტენფორდი (აშშ). $600,000 |
| 14.07-20.07 | **ჩოგბურთი**. WTA. GASTEIN LADIES. ბად გაშტაინი (ავსტრია). $175,000 |
| 17.07-27.07 | **პლაჟის ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი. მარსელი (საფრანგეთი) |
| 18.07 | **მძლეოსნობა**. IAAF-ის „ოქროს ლიგა". IV-ეტაპი. GAZ DE FRANCE. სენ-დენი (საფრანგეთი) |
| 20.07 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. X ეტაპი. გერმანიის გრან-პრი. ჰოკენჰაიმი |
| 20.07 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. XI ეტაპი. აშშ-ს გრან-პრი. ლაგუნა სეკა |
| 20.07 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. IX ეტაპი. REXALL GRAND PRIX OF EDMONTON. ედმონტონი (კანადა) |
| 20.07 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. XII ეტაპი. THE HONDA 200. ოჰაიო (აშშ) |
| 21.07-27.07 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. ROGERS CUP. ტორონტო (კანადა). $2,615,000 |
| 21.07-27.07 | **ჩოგბურთი**. WTA. BANK OF THE WEST CLASSIC. ლოს ანჯელესი (აშშ). $600,000 |
| 21.07-27.07 | **ჩოგბურთი**. WTA. BANKA KOPER SLOVENIA OPEN. პორტოროჟი (სლოვენ). $145,000 |
| 22.07 | **მძლეოსნობა**. DN GALAN (IAAF-ის სუპერგრან-პრი). სტოკჰოლმი (შვედეთი) |
| 23.07-27.07 | **ფრენბურთი**. მსოფლიო ლიგა. მამაკაცები. ფინალი |
| 25.07-26.07 | **მძლეოსნობა**. NORWICH UNION SUPER GRAND PRIX (IAAF-ის სუპერგრან-პრი). ლონდონი (ბრიტანეთი) |
| 27.07 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. X ეტაპი. GRAND PRIX OF PORTLAND. პორტლენდი (აშშ) |
| 27.07-03.08 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. WESTERN & SOUTHERN FINANCIAL GROUP MASTERS. ცინცინატი (აშშ). $2,615,000 |
| 28.07-03.08 | **ჩოგბურთი**. WTA. ROGERS CUP. მონრეალი (კანადა). $1,340,000 |
| 28.07-03.08 | **ჩოგბურთი**. WTA. NORDEA NORDIC LIGHT OPEN. სტოკჰოლმი (შვედეთი). $145,000 |
| 29.07 | **მძლეოსნობა**. HERCULIS (IAAF-ის სუპერგრან-პრი). მონაკო |
| 31.07-03.08 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. IX ეტაპი. ფინეთი |

## აგვისტო

| | |
|---|---|
| 02.08 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. სან სებასტიანის კლასიკური. ესპანეთი |
| 03.08 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. XI ეტაპი. უნგრეთის გრან-პრი. ჰუნგარორინგი |
| 04.08-10.08 | **ჩოგბურთი**. ATP. COUNTRYWIDE CLASSIC. ლოს ანჯელესი (აშშ). $475,000 |
| 06.08-24.08 | **ოლიმპიადა 2008**. პეკინი (ჩინეთი) |
| 09.08 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. XIII ეტაპი. MEIJER INDY 300. კენტუკი (აშშ) |
| 10.08 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. XI ეტაპი. ROAD AMERICA GRAND PRIX. ელხარტ ლეიკი (აშშ) |
| 11.08-17.08 | **ჩოგბურთი**. ATP. LEGG MASON TENNIS CLASSIC. ვაშინგტონი (აშშ). $508,000 |
| 11.08-17.08 | **ჩოგბურთი**. WTA. WESTERN & SOUTHERN FINANCIAL GROUP WOMEN'S OPEN. ცინცინატი (აშშ). $175,000 |
| 15.08-17.08 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. X ეტაპი. გერმანია |
| 17.08 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. XII ეტაპი. ჩეხეთის გრან-პრი. ბრნო |
| 18.08-24.08 | **ჩოგბურთი**. ATP. PILOT PEN TENNIS. ნიუ ჰევენი (აშშ). $708,000 |
| 18.08-24.08 | **ჩოგბურთი**. WTA. PILOT PEN TENNIS. ნიუ ჰევენი (აშშ). $600,000 |
| 18.08-24.08 | **ჩოგბურთი**. WTA. FOREST HILLS CLASSIC. ფორესტ ჰილსი (აშშ). $74,800 |
| 20.08 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*დანია-ესპანეთი, რუსეთი-ჰოლანდია, შვედეთი-საფრანგეთი, უელსი-საქართველო*) |
| 20.08-27.08 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. ენეკოს ტური |
| 24.08 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. XII ეტაპი. ევროპის გრან-პრი. ვალენსია |
| 24.08 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. XIV ეტაპი. MOTOROLA INDY 300. სონომა (აშშ) |
| 25.08 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. GP OUEST FRANCE. პლუეი (საფრანგეთი) |
| 25.08-07.09 | **ჩოგბურთი**. აშშ-ს ღია პირველობა. ნიუ იორკი |
| 28.08-31.08 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. XI ეტაპი. ახალი ზელანდია |
| 29.08 | **მძლეოსნობა**. IAAF-ის „ოქროს ლიგა". V ეტაპი. WEITKLASSE ZURICH. ციურიხი (შვეიცარია) |
| 29.08-06.09 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. გერმანიის ტური. გერმანია |
| 30.08-21.09 | **ველოსპორტი**. ვუელტა |
| 31.08 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. XIII ეტაპი. სან მარინოს გრან-პრი. მიზანო |
| 31.08 | ავტოსპორტი. ინდიკარის სერია. XV ეტაპი. DETROIT INDY GRAND PRIX. დეტროიტი (აშშ) |

## სექტემბერი

| | |
|---|---|
| 02.09 | **მძლეოსნობა**. ATHLETISSIMA (IAAF-ის სუპერგრან-პრი). ლოზანა (შვეიცარია) |
| 05.09 | **მძლეოსნობა**. IAAF-ის „ოქროს ლიგა". VI ეტაპი. MEMORIAL VAN DAMME. ბრიუსელი (ბელგია) |
| 06.09 | **ფეხბურთი**. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი |
| 07.09 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. XIII ეტაპი. ბელგიის გრან-პრი. სპა |
| 07.09 | **ავტოსპორტი**. ინდიკარის სერია. XVI ეტაპი. PEAK ANTIFREEZE INDY 300. ჯოლიეტი (აშშ) |
| 07.09 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. VATTENFALL CYCLASSICS. გერმანია |
| 08.09-14.09 | **ჩოგბურთი**. ATP. BCR OPEN ROMANIA. ბუქარესტი (რუმინეთი). 370,000 ევრო |
| 08.09-14.09 | **ჩოგბურთი**. WTA. COMMONWEALTH BANK TENNIS CLASSIC. ბალი (ინდონეზია). $225,000 |
| 10.09 | **ფეხბურთი**. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი |
| 13.09-14.04 | **ჩოგბურთი**. ფედერაციის თასი. ფინალი |
| 13.09-14.09 | **მძლეოსნობა**. IAAF-ის გრან-პრის ფინალი. შტუტგარტი (გერმანია) |
| 14.09 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. XIV ეტაპი. იტალიის გრან-პრი. მონცა |
| 14.09 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. XIV ეტაპი. აშშ-ის გრან-პრი. ინდიანაპოლისი |
| 14.09 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. XII ეტაპი. ჰოლანდიის გრან-პრი. ასენი (ჰოლანდია) |
| 14.09-20.09 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. პოლონეთის ტური |
| 15.09-21.09 | **ჩოგბურთი**. ATP. MUMBAI OPEN. მუმბაი (ინდოეთი). $436,000 |
| 15.09-21.09 | **ჩოგბურთი**. WTA. TORAY PAN PACIFIC OPEN. ტოკიო (იაპონია). $1,340,000 |
| 15.09-21.09 | **ჩოგბურთი**. WTA. INTERNATIONAL WOMEN'S OPEN. გუანგჯოუ (ჩინეთი). $175,000 |
| 17.09-23.09 | **ჭიდაობა**. მსოფლიო ჩემპიონატი. თავისუფალი და ბერძნულ-რომაული სტილი. ბაქო (აზერბაიჯანი) |
| 19.09-21.04 | **ჩოგბურთი**. დევისის თასი. 1/2 ფინალი. |
| 22.09-28.09 | **ჩოგბურთი**. ATP. THAILAND OPEN. ბანგკოკი (ტაილანდი). $576,000 |
| 22.09-28.09 | **ჩოგბურთი**. ATP. CHINA OPEN. შანხაი (ჩინეთი). $524,000 |
| 22.09-28.09 | **ჩოგბურთი**. WTA. CHINA OPEN. პეკინი (ჩინეთი). $600,000 |
| 22.09-28.09 | **ჩოგბურთი**. WTA. „HANSOL KOREA OPEN". სეული (კორეა). $145,000 |
| 24.09-28.09 | **ველოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. ვარეზე (ესპანეთი) |
| 27.09-04.10 | **ძალოსნობა**. მსოფლიო ჩემპიონატი. არგოსლოლი (საბერძნეთი) |
| 28.09 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. XV ეტაპი. სინგაპურის გრან-პრი. სინგაპური |
| 28.09 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. XV ეტაპი. იაპონიის გრან-პრი. მოტეგი |
| 29.09-05.10 | **ჩოგბურთი**. ATP. AIG JAPAN OPEN. ტოკიო (იაპონია). $869,000 |
| 29.09-05.10 | **ჩოგბურთი**. ATP. OPEN DE MOSELLE. მეცი (საფრანგეთი). 370,000 ევრო |
| 29.09-05.10 | **ჩოგბურთი**. WTA. PORSCHE TENNIS GRAND PRIX. შტუტგარტი (გერმანია). $650,000 |
| 29.09-05.10 | **ჩოგბურთი**. WTA. AIG JAPAN OPEN TENNIS CHAMPIONSHIPS. ტოკიო (იაპონია). $175,000 |
| 29.09-05.10 | **ჩოგბურთი**. WTA. TASHKENT OPEN. ტაშკენტი (უზბეკეთი). $145,000 |

## ოქტომბერი

| | |
|---|---|
| 02.10-05.10 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. XII ეტაპი. ესპანეთი |
| 03.10-12.10 | **მაგიდის ჩოგბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. სტ-პეტერბურგი (რუსეთი) |
| 05.10 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. XVI ეტაპი. ავსტრალიის გრან-პრი. ფილიპ აილენდი |
| 05.10 | **ველოსპორტი**. PROTOUR-ის სერია. ფინალი |
| 06.10-12.10 | **ჩოგბურთი**. ATP. BA-CA TENNIS TROPHY. ვენა (ავსტრია). 674,000 ევრო |
| 06.10-12.10 | **ჩოგბურთი**. ATP. IF STOCKHOLM OPEN. სტოკჰოლმი (შვედეთი). 713,000 ევრო |
| 06.10-12.10 | **ჩოგბურთი**. ATP. KREMLIN OPEN. მოსკოვი (რუსეთი). $1,049,000 |
| 06.10-12.10 | **ჩოგბურთი**. WTA. KREMLIN CUP. მოსკოვი (რუსეთი). $1,340,000 |
| 06.10-12.10 | **ჩოგბურთი**. WTA. „SUNFEAST OPEN". კალკუტა (ინდოეთი). $175,000 |
| 10.10-12.10 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. XIII ეტაპი. საფრანგეთი |
| 11.10 | **ფეხბურთი**. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი |
| 11.10-30.10 | **ჭადრაკი**. მატჩი მსოფლიო ჩემპიონის ტიტულისთვის. ვიშვანატან ანანდი-ვლადიმერ კრამნიკი. ბონი (გერმანია) |
| 12.10 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. XVI ეტაპი. იაპონიის გრან-პრი. ფუჯი |
| 13.10-19.10 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. MUTUA MADRILENA MASTERS. მადრიდი (ესპანეთი). 2,270,000 ევრო |
| 13.10-19.10 | **ჩოგბურთი**. WTA. ZURICH OPEN. ციურიხი (შვეიცარია). $600,000 |
| 15.10 | **ფეხბურთი**. 2010 წლის მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი |
| 19.10 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. XVII ეტაპი. ჩინეთის გრან-პრი. შანხაი |
| 19.10 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. XVII ეტაპი. მალაიზიის გრან-პრი. სეპანგი |
| 20.10-26.10 | **ჩოგბურთი**. ATP. DAVIDOFF SWISS INDOORS. ბაზელი (შვეიცარია). 891,000 ევრო |
| 20.10-26.10 | **ჩოგბურთი**. ATP. GRAND PRIX DE TENNIS DE LYON. ლიონი (საფრანგეთი). 713,000 ევრო |
| 20.10-26.10 | **ჩოგბურთი**. ATP. ST.PETERSBURG OPEN. სტ.პეტერბურგი (რუსეთი). $1,049,000 |
| 20.10-26.10 | **ჩოგბურთი**. WTA. GENERALI LADIES. ლინცი (ავსტრია). $600,000 |
| 20.10-26.10 | **ჩოგბურთი**. WTA. FORTIS CHAMPIONSHIPS. ლუქსემბურგი. $225,000 |
| 24.10-26.10 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. XIV ეტაპი. იაპონია |
| 26.10 | **მოტოსპორტი**. მსოფლიო ჩემპიონატი. XVIII ეტაპი. ვალენსიას გრან-პრი. რიკარდო ტორმო |
| 26.10 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. XIII ეტაპი. INDY 300. გოლდ კოუსტი (ავსტრალია) |
| 27.10-02.11 | **ჩოგბურთი**. ATP. მასტერსი. BNP PARIBAS MASTERS. პარიზი (საფრანგეთი). 2,270,000 ევრო |
| 27.10-02.11 | **ჩოგბურთი**. WTA. BELL CHALLENGE. კვებეკი (კანადა). $175,000 |

## ნოემბერი

| | |
|---|---|
| 02.11 | **ავტოსპორტი**. ფორმულა 1. XVIII ეტაპი. ბრაზილიის გრან-პრი. ინტერლაგუში |
| 03.11-08.11 | **ჩოგბურთი**. WTA-ჩემპიონატი. დოჰა (კატარი). $4,450,000 |
| 09.11-16.11 | **ჩოგბურთი**. მასტერსის თასი. შანხაი (ჩინეთი). $3,700,000 |
| 09.11 | **ავტოსპორტი**. კარტის სერია. XIV ეტაპი. GRAN PREMIO TECATE. მეხიკო (მექსიკა) |
| 12.11-25.11 | **ჭადრაკი**. 38-ე ოლიმპიადა. დრეზდენი (გერმანია) |
| 16.11-30.11 | **მინი-ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი. ბრაზილია |
| 19.11 | **ფეხბურთი**. ამხანაგური მატჩები (*საფრანგეთი-ურუგვაი, ჰოლანდია-შვედეთი*) |
| 21.11-23.11 | **ჩოგბურთი**. დევისის თასი. ფინალი. |
| 28.11-30.11 | **ავტოსპორტი**. რალი. მსოფლიო ჩემპიონატი. XV ეტაპი. დიდი ბრიტანეთი |

## დეკემბერი

| | |
|---|---|
| 02.12-14.!2 | **ხელბურთი**. ევროპის ჩემპიონატი. ქალები. მაკედონია |
| 12.12-21.12 | **ფეხბურთი**. მსოფლიო ჩემპიონატი კლუბებს შორის. იაპონია |

რეალი

# მილანმა მადრიდელებს ცხოვრება გაურთულა

## რა მოხდება, თუ სერხიო რამოსს ხელფასს არ გაუზრდიან?



სერხიო რამოსი (მარჯვნივ)

გასული წლის დეკემბერში "მილანისა" და "რეალის" უმაღლესმა ხელისუფალმა პირებმა თავდაუსხმელობის აქტს მოაწერეს ხელი. **რამონ კალდერონმა** და **ადრიანო გალიანიმ** პირობა დადეს, რომ ერთმანეთს კორექტულად მოეპყრობიან და ფეხბურთელების გადაბირების სურვილის ასრულებას ნებისმიერ ფასად არ იკადრებენ. ერთი შეხედვით არანაირი პირობა არ არსებობს იმისთვის, რომ ევროპული გრანდების პრეზიდენტების პატიოსნებაში ვინმემ ეჭვი შეიტანოს, თუმცა თანამედროვე კონკურენტული საფეხბურთო ცხოვრება იმდენად დაუნდობელია, რომ ვაჟკაცურ სიტყვას დიდი ფასი აღარ აქვს. თავად განსაჯეთ, იგივე გალიანიმ "ბარსელონასთანაც" გააფორმა თავდაუსხმელობის აქტი, რომლითაც ის პირობას დებდა, რომ კატალონიურ გრანდს **რონალდინიოს** გადაბირებაზე ზრუნვით არ შეაწუხებდა. დაგვეთანხმებით, იტალიელმა **ჟოან ლაპორტას** არაერთხელ უტეხა პირი. გალიანიმ ამჯერად რამონ კალდერონსაც აწყენინა. "მილანმა" სამეფო კლუბის ხელმძღვანელების გაუფრთხილებლად **სერხიო რამოსის** შეძენის სრუვული გამოთქვა. იტალიური პრესა გვარწმუნებს, რომ სინიორ გალიანი უახლოეს დღეებში ახალგაზრდა ესპანელ მცველს თავბრუდამხვევი წინადადებით მიმართავს. აღსანიშნავია, რომ რამოსი აპენინელების კონკრეტულ შეთავაზებას არ დაელოდა და "რეალის" ხელმძღვანელობას სრულიად მოულოდნელი შეტყობინება გაუგზავნა. აბსოლუტურად ყველა დარწმუნებული იყო, რომ სერხიო "მილანს" პირველივე დღეს თავაზიანი უარით გაისტუმრებდა, თუმცა ფეხბურთელმა შექმნილი სიტუაციის მისთვის საკეთილდღეოდ გამოყენება ამჯობინა. "დიარიო მარკას" ინფორმაციით სერხიო რამოსის მენეჯერმა რამონ კალდერონს საკუთარი კლიენტის მოთხოვნა გააცნო. ფეხბურთელი პრეზიდენტისგან ხელფასის გაზრდას ითხოვს. მართალია, ურთიერთობას ულტიმატუმის ხასიათი არ მიუღია, მაგრამ ამის გარეშეც ნათელია თუ რას გულისხმობს სერხიო - აგერ "მილანი" ზღაპრულ წინადადებას მთავაზობს, თქვენ თუ ჯამაგირს არ გამიზრდით, კაცმა არ იცის, მოვლენები როგორ განვითარდებაო. ცნობილია, რომ რამოსი სამეფო კლუბის ძირითადი შემადგენლობის მოთამაშეთაგან ყველაზე დაბალ ხელფასს იღებს. ეს ფაქტი მას დისკრიმინაციად მიაჩნია და ფიქრობს, რომ არავის არაფრით ჩამოუვარდება: "შესაძლოა, ვინმე გავალიზიანო, მაგრამ საკუთარი შესაძლებლობებიდან გამომდინარე თავს უფლებას ვაძლევ განვაცხადო, რომ უკეთეს ხელფასს ვიმსახურებ. რატომღაც დღემდე ისე ხდება, რომ ყველაზე ცოტას მე მიხდიან. არადა, არავიზე ნაკლებს არ ვშრომობ. ჩემს მენეჯერს ხელმძღვანელობასთან შეხვედრის წინ დიდხანს ვესაუბრე. მან ჩემი მოსაზრებები დირექტორატის ყველა მალალჩინოსანს გააცნო. ახლა ჯერი მათზეა. იმედია, სამართლიან გადაწყვეტილებას მიიღებენ."

2007 წელი განსაკუთრებული კაცის თვალით

# ჟოზე მოურინიო: აბრამოვიჩმა გასასვლელში პალტო ჩამაცვა, კენიონმა კი ჩანთა მომაწოდა

## ინგლისელები ჩემს გარეშე ვერ ძლებენ, მაგრამ ახლაც ტახტზე ვნებივროზ და ისევ გაუპარსავი ვარ...


ჟოზე მოურინიო მეუღლესთან ერთად

**"ჩელსის" ყოფილი მწვრთნელი დღესაც ყურადღების ცენტრშია. ეს მისი პიროვნების დამსახურებაა, პიროვნებისა, რომელიც ბევრს დღესაც ხიბლავს, მაგრამ ბევრსაც აღიზიანებს. მან ჩვეულ სტილში, თვეების მიხედვით შეაფასა 2007 წლის განმავლობაში მომხდარი საინტერესო ამბები...**

### იანვარი

- ინგლისმა კრიკეტში 0:5 წააგო ავსტრალიასთან. ეს არის სპორტის სახეობა, რომელშიც თითქმის ყველაფერი დაწვებულია: შეგიძლია არბიტრს ბევრი უყვირო, იყო აგრესიული და უხეში მეტოქესთან დამოკიდებულებაში, თან ათასგვარი ჟესტიკულაციაც გამოიყენო თუნდაც გულშემატკივრების მიმართ... მაგრამ რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, ეს სახეობა არანაირად არ მაინტერესებს. ამავდროულად, მე, ჟოზე მოურინიო, აღმოვჩნდი 38-ე ადგილზე ყველაზე სექსუალური მამაკაცების სიაში, თანაც პრინც უილიამის შემდეგ...

### თებერვალი

- "ჩელსიმ" თავისი გვირგვინი კიდევ ერთი ბრილიანტით შეამკო, მოიგო რა ლიგის თასი. მიუხედავად ამისა, ეს დღე ჩემთვის სულაც არ ყოფილა იდეალური: ერთ-ერთ ფოტოზე თმები უცნაურად "ამიჩეჩეს"... ამავე დროს, "ლივერპული" ორმა ამერიკელმა მილიარდერმა იყიდა. ყოველთვის ცუდია, როცა სახელოვანი კლუბი თავის სახელს ფულის ტომრებზე ყიდის. ანალოგიური რამ აბრამოვიჩსაც ვუთხარი...

### მარტი

- ინგლისის ნაკრებმა ანდორას 3:0 მოუგო და ევრო 2008-ზე მოხვედრის შანსები გაიუმჯობესა. ამავდროულად, მტრებმა დამადანაშაულეს იმაში, რომ "ტოტენჰემთან" ინგლისის თასის მატჩის დროს არბიტრ მაიკ რაილის ბოზი ვუწოდე. რომანი ძალიან გაბრაზდა და ჩვენ სერიოზულად ვიკამათეთ.

### აპრილი

- მოსაწყენი თვე იყო. ავსტრალიამ კრიკეტში მსოფლიო თასი მოიგო, რამაც ძალიან გამახარა, თუმცა არ ვიცი, რატომ. კრისტიანო რონალდო სეზონის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს. ნათელია, რომ ძალიან მიხაროდა ახალგაზრდა და სიმპათიური პორტუგალიელის აღიარება, მიუხედავად იმისა, რომ მას დასანახად ვერ ვიტან.

### მაისი

- "ჩელსიმ" ინგლისის თასი მოიგო. ფინალში "მანჩესტერ იუნაიტედი" 1:0 დავამარცხეთ. ეს იყო ბრწყინვალე მატჩი. ახლა, იმისთვის, რომ ჩამოვთვალო მოგებული ტიტულები, ერთი ხელი აღარ მეყოფა. რა თქმა უნდა, მხედველობაში მაქვს ინგლისის სუპერთასიც. ამავე დროს, "მანჩესტერ იუნაიტედს" ხელი ვერ შევუშალეთ ჩემპიონობის მოპოვებაში. არც ერთ გუნდს არ გაუშვია ხელიდან ოქროს მედლები, ესოდენ ცოტა მარცხით. მე ვიყავი ჩემპიონი, მაგრამ ახლა ხელმოცარული ვარ... მერე "ლივერპულს" მივეცით ჩემპიონთა ლიგის ფინალში გასვლის უფლება... სხვა საზრუნავიც მქონდა. მაგალითად, "ჩელსის" მტრები ჩემს ძაღლს ემუქრებოდნენ, მაგრამ მე ისინი მოვიგერიე, თუმც პოლიციისგან გაფრთხილება მივიღე.

### ივნისი

- შავგვრემანმა და მუდამ ჩაფიქრებულმა (არ ვიცი, რატომ მიყვარს?) როჯერ ფედერერმა "უიმბლდონი" მეხუთედ მოიგო. მისმა მიღწევამ მეორე პლანზე გადაწია ამბავი იმის თაობაზე, რომ ბრძენმა და ეშმაკმა "ჩელსიმ" კონტრაქტი გაუფორმა სტივ სიდუელს. ტონი ბლერი პრემიერ-მინისტრის პოსტიდან გადადგა. როგორც იქნა, ამას მივაღწიე დიდ ბრიტანეთში სამწლიანი მუშაობის შედეგად. ესეც კიდევ ერთი პატარა ტრიუმფია.

### ივლისი

- აი, რას იტყოდა მავანი მოხუცი პორტუგალიელი იმაზე, რაც ივლისში მოხდა: "მას, ვინც ახალგაზრდა და ფოტოგენურ მწვრთნელს ხელს უშლის კარგი მარჯვენაფლანგელის ყიდვაში, ელოდება გრძელი ზამთარი, მიუხედავად იმისა, თუ რა ზომისაა მისი ხომალდი". ჩემს შემდეგ მეორე სიმპათიურ ადამიანს საფეხბურთო სამყაროში, დევიდ ბექჰემს, დებიუტი ჰქონდა "ლოს ანჯელს გალაქსიში".

### აგვისტო

- ტაისონ გეიმ მოიგო სამი ოქროს მედალი მძლეოსანთა მსოფლიო ჩემპიონატზე. კრისტინ ოჰურუგუმ მოიგო ოქრო 400-მეტრიან დისტანციაზე... საკუთარ თავს კი ოქროს მედალი მივაკუთვნე ახალი ვარცხნილობისთვის, ევროპული კურორტის სასტუმროს ოფიციანტის სტილში.

### სექტემბერი

- გადავწყვიტე, დამეტოვებინა "ჩელსი" ურთიერთშეთანხმების საფუძველზე. "ეს ჩემი სურვილია", - ვუთხარი რომანს, რომელმაც გასასვლელში პალტო დამიჭირა. "თქვენ არჩევანის საშუალება არ დამიტოვეთ" - გავაფრთხილე პიტერ კენიონი, რომელმაც ჩანთა მომაწოდა. თავიდან, მოთამაშეები sms-ებით ჩავაყენე საქმის კურსში. ბევრი ისე განაწყენდა, პასუხიც ვერ მომწერა. მიუხედავად ამისა, ITV-მ ჩემი გადადგომის ამბავი საღამოს საინფორმაციო გამოშვების მხოლოდ მეორე ბლოკში გაუშვა. აღმაშფოთებელია! მანამდე ჯორჯ ბუშზე ლაპარაკობდნენ. კი მაგრამ, ვინ არის ეს კაცი?

### ოქტომბერი

- ლუის ჰემილტონმა წააგო ფორმულა 1-ის ჩემპიონატი, დაუთმო რა ერთი ქულა მეტოქეს. დემონსტრირება იმისა, თუ როგორ შეიძლება ჩამოართვა გამარჯვება სიმპათიურ უცხოელს, რომელსაც უყვარს ყელსახვევის ტარება, უბრალოდ ამაზრზენია. ამას გარდა, სამხრეთმა აფრიკამ რაგბიში მსოფლიო თასი მოიგო. მე კი გავაუმჯობესე საკუთარი რეკორდი, როცა დღეების განმავლობაში გაუპარსავი ვიწექი ტახტზე და ბონ ჯოვის ვუსმენდი.

### ნოემბერი

- იმის გამო, რომ ბევრი ფეხბურთელი თავს იმტვრევდა იმ ტექსტზე, რითიც მათ "ჩელსიდან" წასვლის შემდეგ მივმართე, ინგლისმა ხორვატიასთან "უემბლიზე" წააგო და ევრო 2008-ის მიღმა აღმოჩნდა. ვეცადე, ფეხბურთელებისთვის დაძაბულობა მომეხსნა და დარტყმა საკუთარ თავზე ამეღო. ამისათვის, ვეჩხუბე პატარა ბიჭუნას, რომელიც ჩემი გოგონას კლასელია, მაგრამ უკვე გვიან იყო. მცირე ნუგეში სტივ მაკლარენისა და მისი შეგირდებისთვის: ბიჭუნამ ძალიან ბევრი იტირა.

### დეკემბერი

- რიკი ჰატონმა ლას-ვეგასში ფლოიდ მეივეზერთან წააგო. ვიღაცამ დამირეკა, რათა ინგლისის ნაკრების მწვრთნელის პოსტზე ფაბიო კაპელოს დანიშვნა ეცნობებინა. თუმცა ეს ინფორმაციები მეორე პლანზე გადავიდა მას შემდეგ, რაც საფეხბურთო ასოციაციას მოკრძალებით განაცხადა, რომ ცდილობდა, ამ თანამდებობაზე ჟოზე მოურინიოც ეხილა. როგორც ხედავთ, ჩემს გარეშე ვერ ძლებენ. ახლა ისევ ჩემს ტახტზე ვწევარ და ისევ გაუპარსავი ვარ...

# ირლანდია უნდა დაგვემარცხებინა!


ირაკლი მაჩხანელი

**ირაკლი მაჩხანელი**
დაიბადა: 18.07.1981 წელი
სიმაღლე: 188 სმ
წონა: 101 კგ
განათლება: უმაღლესი
კლუბები: დინამო, აკადემია, უნივერსიტეტი, შატორუ, ბეზიე, მონ დე მარსანი.
ჰობი: ნადირობა

**საქართველოს მორაგბეთა ნაკრების გარემარბი ირაკლი მაჩხანელი სპორტულ ჟურნალისტთა გამოკითხვის შედეგად 2007 წლის საუკეთესო ქართველ მორაგბედ დასახელდა. გულღია, მუდამ მომღიმარი, უღალატო - მოკლედ, ასე შეიძლება მისი დახასიათება. თავმდაბლობაც, ისე როგორც თითქმის ყველა მორაგბისთვის, მისთვისაც დამახასიათებელი თვისებაა - ასეთ აღიარებაზე არც უოცნებია.**

- ჩემთვის მოულოდნელი იყო 2007 წლის საუკეთესო ქარველ მორაგბედ დასახელება. - გვეუბნება ირაკლი - ეს ჩემთვის დიდი პატივია, დიდი მიღწევაა. ვერასდროს ვიფიქრებდი, რომ როდესმე მსგავსი რამ მოხდებოდა. მთელი ცხოვრება უბრალოდ ვვარჯიშობდი, ვთამაშობდი, იმიტომ, რომ ძალიან მომწონდა სპორტის ეს სახეობა. საუკეთესოდ დამასახელეს? ეს ჩემთვის მნვერვალია. ამასთან, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ ნაკრების მოთამაშეები, ვინც ჩემს გვერდში იდგა, თავდადებით იბრძოდა, ჩემთვის ყველა საუკეთესოა. გვერდში დგომა, თავდადება, ეს ქართველებისთვის დამახასიათებელი თვისებაა და ნამდვილად საამაყოა.

**- როგორ შეხვდნენ ამ ამბავს თქვენს ფრანგულ კლუბში „მონ დე მარსანში"?**

- ჯერ არ იციან. ისიც არ ვიცი, რა რეაქცია ექნებათ. ყოველ შემთხვევაში, მე არ ვაპირებ. რომ ვუთხრა. ჯობია, თვითონ შეიტყონ, რომელიმე საინფორმაციო წყაროდან.

**- წლევანდელი სეზონი ალბათ ერთ-ერთი საუკეთესო იყო ქართული რაგბის ისტორიაში. ბორჯღალოსნების გამოსვლამ საფრანგეთის სარაგბო სტადიონებზე საყოველთაო მოწონება დაიმსახურა..**

- დიახ, საფრანგეთში საქართველოს ნაკრების ასპარეზობა იყო ჩვენი უდიდესი წარმატება. ჩვენმა თამაშმა მსოფლიო რაგბის სამყაროს ინტერესი ქართული რაგბის მიმართ ბევრად უფრო გაზარდა. ამასთან, თუ გასულ სეზონზე ვმსჯელობთ არ უნდა დავივიწყოთ შინაური ამბებიც. მე, სამი წელია წასული ვარ საზღვარგარეთ და გარედან რომ ვხედავ, ვამჩნევ, რომ რაგბი საქართველოში აღმასვლობის გზაზეა. ჩემ დროს მხოლოდ ორი ნაკრები იყო, ჭაბუკთა და ეროვნული. ახლა თითქმის ყველა ასაკში ნაკრები გვყავს, მორაგბეები თითქმის ყველა ასაკში კომპლექსურ მომზადებას გადიან. ადრე ასე არ იყო. რაგბის კავშირში ბევრი ახალი, ენერგიული ადამიანი მოვიდა, რომლებიც გულით უდგებიან საქმეს. ძალიან კარგი და ბევრი გეგმები აქვთ, რისი განხორციელებაც უდავოდ ქართული რაგბის საკმაოდ წინსვლას გამოიწვევს.

**- რა იყო განვლილ სეზონში ისეთი, რაზეც გული გწყდებათ?**

- გული მწყდება, რომ ირლანდიას ვერ მოვუგეთ. ბოლომდე არ გვქონდა გაცნობიერებული საკუთარი ძალა. შეიძლება ითქვას, გულის სიღრმეში არ გვჯეროდა, ირლანდიასთან მოგება თუ შეიძლებოდა. არადა, როგორც თამაშმა დაგვანახა, ეს სულაც არ იყო უტოპია. ირლანდია უნდა დაგვემარცხებინა.

გული მწყდება, რომ ადამიანებმა, ვის გვერდითაც გავიზარდე და რაგბის თამაში ვისწავლე, ნაკრებიდან წასვლა გადაწყვიტეს - პალიკო ჯიმშელაძე, ილია ზედგინიძე, ვიქტორ დიდებულიძე, ზურაბ მჭედლიშვილი, ილია მაისურაძე საქართველოს ნაკრების ბირთვი, წამყვანი მოთამაშეები იყვნენ. ისინი ძალიან დაგვაკლდებიან.

**- მომავალი წლიდან სახელმწიფო რაგბთან დაკავშირებით საკმაოდ მასშტაბური პროექტების განხორციელებას გეგმავს...**

- დიახ, მსმენია ამის შესახებ. საფრანგეთში ჩვენი თამაშის სანახავად მიხეილ სააკაშვილიც იყო ჩამოსული. რა თქმა უნდა, მიხვდნენ, რომ რაგბი ჩვენი, ქართული სპორტია. როგორც ჩვენმა ფიზმომზადების მწვრთნელმა, ნიკოლა ფულკიემ თქვა, აქაურ მორაგბეებს ისეთი მონაცემები აქვთ, ნორმალური პირობები რომ ჰქონდეთ, საქართველო მეორე ზელანდია იქნებოდაო.

**- იქნებ თქვენი საკლუბო კარიერის შესახებაც გვიამბოთ.**

- „მონ დე მარსანი" პროფესიონალური, მე-2 დივიზიონის კლუბია. ძალიან კარგი, მეგობრული ატმოსფეროა, კმაყოფილი ვარ. სეზონის წინ პროგნოზები კეთდებოდა, რომლის მიხედვითაც ჩვენი გუნდი ბოლოსწინა, მე- 15 ადგილზე გაიყვანეს, ჩვენ კი აგერ მეორეზე ვართ და „ტულონის" გარდა ყველა ფავორიტი უკან მოვიტოვეთ. მწვრთნელი საფრანგეთის ნაკრების ყოფილი კვაჭი მარკ დალმაზოა, რომელიც ძალიან კარგი პიროვნება აღმოჩნდა. მინდა, რომელიმე ჩვენი მწვრთნელი „მონ დე მარსანში" სტაჟირებაზე მივიწვიო. სავარაუდოდ, ეს ალბათ „აკადემიის" ახალგაზრდა მწვრთნელი ზურაბ ამონაშვილი იქნება. დალმაზოს უკვე ვესაუბრე და თანხმობა მივიღე. ვფიქრობ ერთი თვის მანძილზე „მონ დე მარსანში" სტაჟი ზურასთვის სასარგებლო იქნება.

**- თქვენ „მონ დე მარსანის" ბოლო სამ თამაშში არ გითამაშიათ. რა არის ამის მიზეზი?**

- საკმაოდ სერიოზული მუხლის ტრავმა მივიღე. ექიმებმა ასეთი დიაგნოზი დამისვეს: მუხლის შიდა მყესის მაქსიმალური დაჭიმულობა. მკურნალობას სამი თვე დასჭირდება. თუმცა, იმედი მაქვს, რომ რუმინეთთან 9 თებერვალს გასამართი შეხვედრისთვის ჯანმრთელი ვიქნები და თამაშს შევძლებ.

**- ნაკრებს მალე ახალი მწვრთნელი, ავსტრალიელი ტიმ ლეინი ეყოლება. რა აზრის ხართ მასზე?**

- მისი ბიოგრაფიიდან გამომდინარე, ჩანს, რომ კვალიფიციური სპეციალისტია. თუმცა გააჩნია, ჩვენ რა ტაქტიკას შემოგვთავაზებს, რა გეგმები აქვს, როგორ ააწყობს ურთიერთობას მოთამაშეებთან. ეს უკანასკნელი ფაქტორი სხვა დანარჩენებზე არანაკლებ მნიშვნელოვანია.

**ბესიკ ჯანგავაძე**

ავტოსპორტი

საქართველოს ჩემპიონატი. დაჯილდოვება

# დღესასწაული ასტრა-პარკში

30 დეკემბერს, „ასტრა-პარკის" კარტინგ-ცენტრში საქართველოს ავტოსპორტის ფედერაციამ ჩემპიონატის პრიზიორთა დაჯილდოვება მოაწყო.

ავტომრბოლებისთვის ეს სეზონი სავსე იყო გამარჯვებით გამოწვეული სიხარულით, მარცხის სინანულით და პატარა სკანდალითაც კი. თუმცა ახალი, 2008 წლის პირველ დღეებში უსიამოვნო მოგონებები იქით გადავდოთ და გადავხედოთ გასულ ჩემპიონატს, რომელშიც ერთნაირად საინტერესოდ მიმდინარეობდა როგორც პროფესიონალების, ისე მოყვარულების შეჯიბრებებიც. ზოგჯერ ვეტერანებიც კი გამოდიოდნენ საასპარეზოდ და ახალგაზრდული შემართებით ებმებოდნენ ბრძოლაში.

და, აი, დადგა დღე, როცა ყველას უნდა მიელო ის, რაც დაიმსახურა, რისთვისაც იშრომა, ბევრი საბურავი გაცვითა და დიდძალი საწვავი დახარჯა.

სალამოს წამყვანის როლი ითავა **ზურაბ ბაბუციძემ**, რომელიც წელს **ზურაბ ალნიაშვილის** შტურმანი გახლდათ და რომელმაც შესანიშნავად შეასრულა თავისი მოვალეობა.

ბაბუციძემ ჯერ მოყვარულ ავტომრბოლებს გადასცა პრიზები და დიპლომები. აქ ადგილები ასე განაწილდა: **1. გოგა არჯევანიძე; 2. ქეთი ბოჭოიძე; 3. ირაკლი მეძმარიაშვილი.** განსაკუთრებით სასიხარულო იყო ვაჟის გაჩემპიონება ოთარ არჯევანიძისთვის, ვეტერანი ავტომრბოლი, როგორც სალამოს წამყვანმა განაცხადა, ტრასაზე „ვოლგას" „ამღერებდა".

ქალ ავტომრბოლებს შორის საერთო გამარჯვება **სალომე აბულაძემ** მოიპოვა. მეორე ადგილზე აქაც **ქეთი ბოჭოიძე** გავიდა, მესამეზე კი - **ნუცა ზურაბიშვილი.**

დაჯილდოვების ცერემონიალზე რამდენიმეწუთიანი შესვენება გამოცხადდა. „ასტრა-პარკის" ხელმძღვანელობამ საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორებს კარტინგით ასპარეზობაზე უხმო. პროფესიონალებს შორის აქაც უძლიერესი და უსწრაფესი იყო **არჩილ ბიძინაშვილი**, რომელმაც ავტოფედერაციის ეგიდით ჩატარებული წრიული რბოლების ჩემპიონის ტიტული მოიპოვა, აბსოლუტურშიც ტრიუმფატორი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ავტოფედერაციის ხელმძღვანელობამ მას ლიცენზია ყოველგვარი არგუმენტის გარეშე ჩამოართვა, ქულები გაუუქმა და აბსოლუტურში სამეულმა ასეთი სახე მიიღო: **1. ოთარ თავართქილაძე; 2. გიორგი ოგბაიძე; 3; დათა ქაჯაია.**

სალამოს დასკვნით ნაწილში პროფესიონალი ავტომრბოლების დაჯილდოვება მოეწყო. რალიში საქართველოს თასის მფლობელი **ბესიკ ბოჭორიშვილისა** და **სანდრო ფხაკაძის** ეკიპაჟი გახდა. ვიცე-ჩემპიონის ტიტული **ანდრო ბრეგვაძის** და **ლაშა მუსერიძის** ეკიპაჟმა მოიპოვა. მესამე ადგილზე **არჩილ ბიძინაშვილისა** და **მერაბ შენგელიას** ეკიპაჟი გავიდა.


გამარჯვებულ გოგონათა სამეული

გალა-დაჯილდოვებაზე საპატიო სტუმრებს შორის იყვნენ ქართული ავტოსპორტის ცოცხალი ლეგენდა, წრიულ რბოლაში სსრ კავშირის მრავალგზის პრიზიორი, **გურამ დგებუაძე** და მუსიკოსი, მომღერალი, „დიელოს" ხელმძღვანელი, **სოსო ებრალიძე**, ავტოსპორტის დიდი მოყვარული.

დაბოლოს, პატარა დეტალი. „ასტრა-პარკში" ცოტათი ადრე მისული ამ სტატიის ავტორი, კარტინგისტთა კლუბის წევრი გახდა, რბოლაშიც მოსინჯა ძალ-ღონე და მე-9 ადგილის მიუხედავად, უდიდესი სიამოვნება მიიღო. ყველას გირჩევთ მიაკითხოთ „ასტრა-პარკს". მერწმუნეთ, არ წააგებთ.

**დავით ჩუბინიძე**

# თამაშობენ ნაკრების ყოფილი მწვრთნელები: ქართველი–უცხოელი 3:3

საქართველოს ნაკრების მწვრთნელი კენ შილდსი ჩვენს გუნდთან მუშაობას რომ არ გააგრძელებდა, შესარჩევი ციკლის წარუმატებლად დასრულებისთანავე გაცხადდა. კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელებმა ოფიციალურად გამოაცხადეს, რომ გაისად ეროვნულს ახალი უცხოელი გაწვრთნის.

„ახალი უცხოელი" საქართველოს ნაკრების მეშვიდე მწვრთნელი იქნება გუნდის არსებობის ისტორიაში - 1994 წლიდან დღემდე.

გუნდმა თავისი არსებობის მანძილზე ყველაზე მეტს ბესიკ ლიპარტელიანის ხელმძღვანელობით (1994-1997 წლებში) მიაღწია - ორი საკვალიფიკაციო ეტაპი დაძლია და შესარჩევი ტურნირის სათამაშოდ საქართველოში არაერთი ევროგრანდი ჩამოვიდა - იტალია, თურქეთი, ისრაელი, საბერძნეთი...

მას შემდეგ ლეგიონერთა რიცხვი მატულობს, ხოლო შედეგიანობა კლებულობს. ვერც ლევან მოსეშვილმა, ვერც ზურაბ ტომარაძემ, ვერც დრაჟენ ბრაიკოვიჩმა, ვერც გორდონ ჰერბერტმა და ვერც კენ შილდსმა ვერ მოახერხეს საკვალიფიკაციო ეტაპზე გადაბიჯება.

...და რას იზამს „ახალი უცხოელი"?

მოდით ეს კითხვა დროებით გვერდზე გადავდოთ, დღეს ნაკრების ყოფილ მწვრთნელებზე ვისაუბროთ, ისტორიის მეშვეობით გამოვიყვანოთ ფორმულა, როგორი უნდა იყოს ნაკრების მომავალი დამრიგებელი და „ახალ უცხოელზე" ხვალ ვისაუბროთ.

## 1994-97

1994-97 წლებს **ბესიკ ლიპარტელიანის** ეპოქა დავარქვათ. საინტერესო გამოდგა პირველი მწვრთნელის არჩევის ამბავი: ფედერაციამ წინასწარ განაცხადა, რომ ეროვნული გუნდის მთავარ მწვრთნელად ის დაინიშნებოდა, ვისი კლუბიც 1994 წელს საქართველოს ჩემპიონი გახდებოდა. ფინალურ სერიაში ბესიკ ლიპარტელიანის „ვითამ" ნოდარ ქორქიას „თბილისი" 2:1 (77:74, 76:80, 78:74) დაამარცხა და ნაკრების პირველი მწვრთნელიც ბესიკ ლიპარტელიანი გახდა.

ახალგაზრდა მწვრთნელმა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო კალათბურთელები შეკრიბა და ინგლისში გამართული საკვალიფიკაციო ეტაპი წარმატებით გაიარა. შეიძლება გაგიკვირდეთ, მხოლოდ შიდა ჩემპიონატის რესურსით ფონს როგორ გავიდაო, მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ 1994 წელი ძალიან ახლოსაა სსრ კავშირის ეპოქასთან და ნაკრების ყველა წევრს ახალგაზრდულ ასაკში საბჭოთა ჩემპიონატებში ჰქონდა მიღებული გამოცდილება, ხოლო ძირითად ბირთვს სსრკ უმაღლესი ლიგა ჰქონდა ნათამაშები. 1994 წლის ეროვნულ ნაკრებში 1982 წლის მსოფლიო ჩემპიონი **ნიკოლოზ დერიუგინიც** თამაშობდა.

თუ ევრო-1997-ის შესარჩევში ბოსნია, ბელორუსი და სლოვაკეთი დავამარცხეთ, ხოლო თურქეთსა და ისრაელს თანაბრად ვებრძოლეთ, ევრო-1999-ის შესარჩევ ეტაპზე ერთი მატჩიც არ მოგვიგია. მანამდე წარმატებულ მწვრთნელს ბესიკ ლიპარტელიანს მეორე შესარჩევში საწყისი სამი წაგება არ აპატიეს და მის ნაცვლად ლევან მოსეშვილი დანიშნეს.

## 1997-2003

გამოცდილმა **ლევან მოსეშვილმა** აქცენტი გაახალგაზრდავებაზე გადაიტანა. მის ხელში ნაკრებში პირველად გამოჩნდნენ **ნიკა ცქიტიშვილი, ვლადიმერ ბოისა...**

გაახალგაზრდავებულმა გუნდმა შედეგი ვერ მოიმკო - ევრო-2001 წლის საკვალიფიკაციო ეტაპზე შვეიცარიასთან, დანიასთან და ბელგიასთან დავმარცხდით და როცა ასეთ გუნდებს ვერ უგებ, შესარჩევ ტურნირშიც არაფერი გესაქმება.

აქვე ისიც უნდა დავამატოთ, რომ ლევან მოსეშვილი ნაკრებში იმ პერიოდში მუშაობდა, როცა ეროვნულის მოსამზადებლად მინიმალური პირობებიც არ იყო.

ევრო-2003-ის პირველი საკვალიფიკაციო ტურის წინ თავკაცის პოსტზე ლევან მოსეშვილი ზურაბ ტომარაძემ შეცვალა, მაგრამ არაფერი შეცვლილა ნაკრებისადმი მიდგომა. ტომარაძის ხელში მიაღწია გაჭირვებამ აპოგეას.

**ვატო ნაცვლიშვილის** ნინამძღოლობით ქართველებმა პირველი ეტაპი რის ვაი-ვაგლახით გადალახეს, თუმცა პირველი მატჩი ლუქსემბურგთან 71:92 დათმეს. სწორედ ამ შეხვედრაში ჰქონდა დებიუტი გუნდის ამჟამინდელ ლიდერ **ზაზა ფაჩულიას** (8 ქულა, 9 მოხსნა).

მეორე საკვალიფიკაციო ეტაპი კარგად დავიწყეთ, შინ ბულგარეთსა და ბელორუსს მოვუგეთ, მაგრამ გასვლაზე ორივესთან წავაგეთ და **ზურაბ ტომარაძის** ერაც ხანმოკლე გამოდგა.

ნაკრების მოსამზადებელ პირობებზე ნათელ წარმოდგენას თავად ტომარაძის მონათხრობი შეგვიქმნის: ბულგარეთ-ბელორუსში წასასვლელად საჭირო თანხა არ გვქონდა, მაგრამ გამგზავრება მაინც მოვახერხეთ. გაჭირვების გამო მოგვიხდა ავტობუსებისა და ტაქსების გამოცვლა. სხვა გზა რომ არ გვქონდა, „კომეტაც" გამოვიძახეთ... მოკლედ, ცხენის გარდა ყველა ტრანსპორტით ვიმგზავრეთო.

პირობების არქონეს ისიც ემატებოდა, რომ ნაკრებს ვლადიმერ სტეფანია ვერ ეხმარებოდა, საქართველოს ჩემპიონატის დონე კი ნელ-ნელა ეცემოდა და მხოლოდ ადგილობრივებით წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლებოდა.

## 2003-2007

2001 წელს კალათბურთის ფედერაციის ხელმძღვანელად ყოფილი მწვრთნელი **ბესიკ ლიპარტელიანი** აირჩიეს. მას კარგად მოეხსენება, რომ ვიდრე ნაკრებს შედეგს მოსთხოვ ჯერ სათანადო მწვრთნელი უნდა მიუჩინო და მოსამზადებლად შესაბამისი პირობა შეუქმნა. ფედერაციის ამჟამინდელი ხელმძღვანელობა ეროვნულ გუნდს ყოველ ზაფხულს მინიმუმ ორ საერთაშორისო ტურნირზე უშვებს. ქართველებმა ბოლო 3 წელიწადში რუსეთთან, იტალიასთან, გერმანიასთან, საბერძნეთთან და სხვა ელიტარულ გუნდებთან ითამაშეს...

ფედერაციას უნდა დავეთანხმოთ იმაშიც, რომ ამ ეტაპზე მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული მოთამაშეების შესაკვრელად უცხოელი მწვრთნელია საჭირო, მაგრამ არა ისეთი როგორიც **დრაჟენ ბრაიკოვიჩი, გორდონ ჰერბერტი, ან კენ შილდსი...**

ხორვატ ბრაიკოვიჩს კონფლიქტი ჰქონდა მეორე მწვრთნელ ზურაბ ტომარაძესთან, თამაშის წაყვანაც უჭირდა და ვადაზე ადრე მასთან კონტრაქტის გაწყვეტა მისაღები იყო.

გორდონ ჰერბერტს შედარებით მეტი ავტორიტეტი აქვს, მაგრამ იგი ორი კურდღლის დევნას გადაჰყვა - საქართველოს ნაკრების პარალელურად ფრანგულ „პო ორტეზში" მუშაობდა. საბოლოოდ რა დაიჭირა თავადაც ნახეთ: „პო" ფლეი ოფშიც ვერ გაიყვანა, ხოლო ნაკრებთან ერთად ფინეთში ორი მატჩი წააგო. გორდონი ამ ზაფხულს ჩამოვიდა და გვითხრა - მხოლოდ ნაკრებთან ვაპირებ მუშაობასო, მაგრამ თურმე ამ სიტყვებს რომ ამბობდა ბერძნულ „არისთან" შეთანხმება მიღწეული ჰქონდა და ნაკრები კრიტიკულ მომენტში მიატოვა.

ჰერბერტის ნაცვლად შილდსის დანიშვნას სიხარულით შევხვდით, რადგან სანაკრებო დონეზე კენს უფრო მეტი ჰქონდა მიღწეული (1988-94 წლებში კანადის ეროვნულ გუნდს ხელმძღვანელობდა და მსოფლიო ჩემპიონატზე მეშვიდე ადგილი დააკავებინა). ...მაგრამ შილდსის ნაკრებში დისციპლინა ნულზე იყოო, - გვითხრა კაპიტანმა ვახტანგ ნაცვლიშვილმა. დისციპლინის გარეშე არათუ ევროპის ჩემპიონატზე, ლოკალურ წარმატებაზე ფიქრიც არ შეიძლება.

ასე და ამგვარად, შილდსი კარგი კაცი იყო, მაგრამ კალათბურთელებს „სმენაზე" ვერ აყენებდა. გორდონ ჰერბერტი ორ კურდღელს დასდევდა, ხოლო დრაჟენ ბრაიკოვიჩს კომპეტენცია არ ჰყოფნიდა. დიდი სურვილი მაქვს მხოლოდ მწვრთნელებს არაფერი დავაბრალო, მაგრამ „მესამე ეპოქაში" ხელშეწყობაც იყო, მოთამაშეებიც, მაგრამ შედეგი ვერ მივიღეთ. ზოგი ამბობს კალათბურთელების ბრალიაო, როცა იმ კალათბურთელს, მოთოკავ რომელიც გუნდში საქმეს აფუჭებს მწვრთნელი მაშინა ხარ.

1994-97 წლებში, ბესიკ ლიპარტელიანის მწვრთნელობისას ნაკრების შემადგენლობა როგორიც იყო, ისეთ შედეგს მივაღწიეთ - ორი საკვალიფიკაციო ტური გადავლახეთ,

მოსეშვილი-ტომარაძის პერიოდში პირობების არქონას საქართველოს ჩემპიონატის დონის დაწევა მოჰყვა და მწვრთნელების მუშაობაც ძნელი შესაფასებელია. ხოლო, მესამე ერაში, როცა პირობებიც გაუმჯობესდა და შემადგენლობაშიც ევროკლასის კალათბურთელები მომრავლდნენ, შედეგი მაინც არ ჩანს. დაგვეთანხმებით, რომ ასეთ დროს დიდი მნიშვნელობა ენიჭება ნაკრების მესაჭის სწორად შერჩევას. „ახალ უცხოელს" რა თვისებები უნდა ჰქონდეს და ვინ შეიძლება იყო ახალი მწვრთნელი, ამის შესახებ ხვალ გესაუბრებით.

ვაჟა სიმონიშვილი



**ბესიკ ლიპარტელიანი:**
21 მატჩი, 8 მოგება, 13 წაგება

### ევრო 1997

I საკვალიფიკაციო ეტაპი
ინგლისი

| | |
|---|---|
| 24.05.1995 | |
| საქართველო-პოლონეთი | 68:91 |
| 25.05.1995 | |
| საქართველო-დანია | 97:86 |
| 26.05.1995 | |
| საქართველო-ინგლისი | 74:84 |
| 27.05.1995 | |
| საქართველო-უელსი | 101:73 |
| 28.05.1995 | |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 81:64 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. პოლონეთი | 5 | 0 | 10 |
| 2. ინგლისი | 4 | 1 | 9 |
| 3. საქართველო | 3 | 2 | 8 |
| 4. დანია | 2 | 3 | 7 |
| 5. ლუქსემბურგი | 1 | 4 | 6 |
| 6. უელსი | 0 | 5 | 5 |

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| 08.10.1995. მუკაჩევო | |
| სლოვაკეთი-საქართველო | 82:73 |
| 11.10.1995. თბილისი | |
| საქართველო-ბოსნია | 77:66 |
| 12.11.1995. თბილისი | |
| საქართველო-ისრაელი | 84:89 |
| 15.11.1995. მინსკი | |
| ბელარუსი-საქართველო | 102:76 |
| 28.02.1996. ათენი | |
| საბერძნეთი-საქართველო | 100:66 |
| 30.10.1996. თბილისი | |
| საქართველო-სლოვაკეთი | 91:71 |
| 27.11.1996. ბერლინი | |
| ბოსნია-საქართველო | 80:71 |
| 19.12.1996. თელ ავივი | |
| ისრაელი—საქართველო | 86:74 |
| 29.01.1997. თბილისი | |
| საქართველო-ბელარუსი | 80:78 |
| 26.02.1997. თბილისი | |
| საქართველო-საბერძნეთი | 61:65 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. საბერძნეთი | 9 | 1 | 19 |
| 2. ბოსნია | 7 | 3 | 17 |
| 3. ისრაელი | 6 | 4 | 16 |
| 4. ბელარუსი | 4 | 6 | 14 |
| 5. საქართველო | 3 | 7 | 13 |
| 6. სლოვაკეთი | 1 | 9 | 11 |

საქართველო ვერ გავიდა შემდეგ ეტაპზე.

### ევრო-1999

I საკვალიფიკაციო ეტაპი
კვიპროსი

| | |
|---|---|
| 23.05.1997 | |
| საქართველო-ჩეხეთი | 71:79 |
| 24.05.1997 | |
| საქართველო-კვიპროსი | 72:69 |
| 25.05.1997 | |
| საქართველო-ავსტრია | 67:60 დ.დ. |

**სატურნირო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. ჩეხეთი | 3 | 0 | 6 |
| 2. საქართველო | 2 | 1 | 5 |
| 3. ავსტრია | 1 | 2 | 4 |
| 4. კვიპროსი | 0 | 3 | 0 |

საქართველო შემდეგ ეტაპზე გავიდა.

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| 26.10.1997. თბილისი | |
| საქართველო-ჩეხეთი | 68:70 |
| 29.10.1997. უპსალა | |
| შვედეთი-საქართველო | 89:85 |
| 03.12.1997. თბილისი | |
| საქართველო-თურქეთი | 73:76 |



**ლევან მოსეშვილი:**
12 მატჩი, 2 მოგება, 10 წაგება

| | |
|---|---|
| 25.02.1998. ვენტსპილსი | |
| ლატვია-საქართველო | 99:63 |
| 28.02.1998. სიენა | |
| იტალია-საქართველო | 90:43 |
| 25.11.1998. ოპავა | |
| ჩეხეთი-საქართველო | 81:74 |
| 28.11.1998. თბილისი | |
| საქართველო-შვედეთი | 59:82 |
| 02.12.1998. ბურსა | |
| თურქეთი-საქართველო | 103:60 |
| 24.02.1999. თბილისი | |
| საქართველო-ლატვია | 96:98 |
| 27.02.1999. თბილისი | |
| საქართველო-იტალია | 64:105 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. იტალია | 8 | 2 | 18 |
| 2. თურქეთი | 8 | 2 | 18 |
| 3. ჩეხეთი | 6 | 4 | 16 |
| 4. შვედეთი | 5 | 5 | 15 |
| 5. ლატვია | 3 | 7 | 13 |
| 6. საქართველო | 0 | 10 | 10 |

საქართველო შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა.

### ევრო-2001

I საკვალიფიკაციო ეტაპი
შვეიცარია

| | |
|---|---|
| 19.05.1999 | |
| საქართველო-შვეიცარია | 66:85 |
| 20.05.1999 | |
| საქართველო-ირლანდია | 80:78 |
| 21.05.1999 | |
| საქართველო-ბელგია | 63:76 |
| 22.05.1999 | |
| საქართველო-პორტუგალია | 75:65 |
| 23.05.1999 | |
| საქართველო-დანია | 78:109 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. ბელგია | 5 | 0 | 10 |
| 2. პორტუგალია | 3 | 2 | 8 |
| 3. შვეიცარია | 3 | 2 | 8 |
| 4. საქართველო | 2 | 3 | 7 |
| 5. ირლანდია | 1 | 4 | 6 |
| 6. დანია | 1 | 4 | 6 |

საქართველო შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა.



**ზურაბ ტომარაძე:**
11 მატჩი, 6 მოგება, 5 წაგება

### ევრო-2003

I საკვალიფიკაციო ეტაპი
დანია

| | |
|---|---|
| 17.05.2000 | |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 71:92 |
| 18.05.2000 | |
| საქართველო-რუმინეთი | 69:71 |
| 19.05.2000 | |
| საქართველო-დანია | 67:62 |
| 20.05.2000 | |
| საქართველო-კვიპროსი | 75:80 |
| 21.05.2000 | |
| საქართველო-ირლანდია | 95:80 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. დანია | 4 | 1 | 9 |
| 2. კვიპროსი | 4 | 1 | 9 |
| 3. საქართველო | 2 | 3 | 7 |
| 4. რუმინეთი | 2 | 3 | 7 |
| 5. ირლანდია | 2 | 3 | 7 |
| 6. ლუქსემბურგი | 1 | 4 | 6 |

საქართველო შემდეგ ეტაპზე გავიდა.

**II საკვალიფიკაციო ეტაპი**

| | |
|---|---|
| 03.06.2001. თბილისი | |
| საქართველო-ბულგარეთი | 91:75 |
| 06.06.2001. თბილისი | |
| საქართველო-ბელარუსი | 83:78 |
| 09.06.2001. ბაქო | |
| აზერბაიჯანი-საქართველო | 61:101 |
| 25.08.2001. ჯამბოლი | |
| ბულგარეთი-საქართველო | 85:66 |
| 29.08.2001. გომელი | |
| ბელარუსი-საქართველო | 95:65 |
| 02.09.2001. თბილისი | |
| საქართველო-აზერბაიჯანი | 103:43 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. ბულგარეთი | 4 | 2 | 10 |
| 2. ბელარუსი | 4 | 2 | 10 |
| 3. საქართველო | 4 | 2 | 10 |
| 4. აზერბაიჯანი | 0 | 6 | 6 |

საქართველო შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა



**დრაჟენ ბრაიკოვიჩი**
3 მატჩი, 2 მოგება, 1 წაგება

### ევრო-2005

B დივიზიონი

| | |
|---|---|
| 11.09.2004. თბილისი | |
| საქართველო-ფინეთი | 85:78 |
| 15.09.2004. სკოპიე | |
| მაკედონია-საქართველო | 81:77 |
| 18.09.2004. სოლევრი | |
| ლუქსემბ.-საქართველო | 61:87 |



**გორდონ ჰერბერტი:**
7 მატჩი, 5 მოგება, 2 წაგება

| | |
|---|---|
| 03.09.2005. ჰელსინკი | |
| ფინეთი-საქართველო | 87:79 |
| 07.09.2005. თბილისი | |
| საქართველო-მაკედონია | 73:60 |
| 10.09.2005. თბილისი | |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 87:65 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. მაკედონია | 5 | 1 | 11 |
| 2. საქართველო | 4 | 2 | 10 |
| 3. ფინეთი | 3 | 3 | 9 |
| 4. ლუქსემბურგი | 0 | 6 | 6 |

საქართველო შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა.

### ევრო-2007

B დივიზიონი

| | |
|---|---|
| 03.09.2006. თბილისი | |
| საქართველო-ლუქსემბურგი | 86:44 |
| 06.09.2006. ობერვარტი | |
| ავსტრია-საქართველო | 63:68 |
| 09.09.2006. თბილისი | |
| საქართველო-ისლანდია | 80:65 |
| 13.09. ჰელსინკი | |
| ფინეთი-საქართველო | 91:81 |



**კენ შილდსი:**
4 მატჩი, 3 მოგება, 1 წაგება

| | |
|---|---|
| 21.08.2007 | |
| ლუქსემბურგი-საქართველო | 60:88 |
| 25.08.2007. თბილისი | |
| საქართველო-ავსტრია | 85:74 |
| 29.08.2007 | |
| ისლანდია-საქართველო | 76:75 |
| 02.09.2007. თბილისი | |
| საქართველო-ფინეთი | 77:76 |

**საბოლოო მდგომარეობა**

| გუნდი | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|
| 1. ფინეთი | 7 | 1 | 15 |
| 2. საქართველო | 6 | 2 | 14 |
| 3. ისლანდია | 4 | 4 | 12 |
| 4. ავსტრია | 3 | 5 | 11 |
| 5. ლუქსემბურგი | 0 | 8 | 8 |

საქართველო შემდეგ ეტაპზე ვერ გავიდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები NBA-ში

# ზაზამ ხუთი ააცილა



ზაზა ფაჩულია

**ზაზა ფაჩულიამ**, ერთადერთმა ქართველმა ლეგიონერმა NBA-ში, 2008 წელი ცუდად დაიწყო, მისი „ჰოუკსი“ კლივლენდში ადგილობრივ „კავალიერსთან“ 94:98 დამარცხდა, ხოლო ზაზამ მოედანი უქულოდ დატოვა. რომ არა **ლებრონ ჯეიმსი**, რომელმაც თავისი 36 ქულიდან 32 მეორე ნახევარში ჩააგდო, „ატლანტა“ გაიმარჯვებდა. ზაზამ კი სასტარტოში ადგილი უკვე „მყარად“ დაკარგა. ახლა ის შეცვლებზეც ვერ ყოჩაღობს. **მაიკ ვუდსონმა** ფაჩულია პირველი მეოთხედის მეორე ნახევარში შეუშვა მოედანზე და ქართველმა ცენტრმა ზედიზედ ხუთი სროლა გააცუდა, ის ერთი მოხსნაც მან საკუთარი ნასროლის ფარზე მოპოვებით მიითვალა. ვუდსონმა მეოთხედის მიწურულს ზაზა სათადარიგოთა სკამზე დასვა და მთელი მატჩი აღარ გახსენებია.

ამასობაში გამოქვეყნდა „ყველა ვარსკვლავის“ მატჩის მორიგი შედეგები. აღმოსავლეთის კონფერენციაში ზაზამ 43 ათასი ხმა მიიღო, ნომინანტთა შორის მან მხოლოდ **ედი კარის** (ნიუ იორკი) გაასწრო - 37 ათასი ხმა. ამ სეზონში ფაჩულიას მოკრძალებული სტატისტიკა აქვს - 5,5 ქულა და 4,1 მოხსნა თამაშში.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

**კლივლენდი-ატლანტა 98:94**

(22:19, 15:19, 32:30, 29:26)

კლივლენდი: **ჯეიმსი 36, ჰიუზი 14, გუდენი 13, ჯიბსონი 11, ვარეჟაო 8**

ატლანტა: **ჯ. ჯონსონი 24, სმიტი 20, მ. უილიამსი 16, ჩილდრესი 13, ლიუ, ჰორფორდი 8-8. ზაზა ფაჩულია: 4:23 წუთი - 0 ქულა, 1 მოხსნა.**

| I მეოთხედი |
| --- |
| 5:09: ჰორფორდი შეცვალა. |
| 3:09: ორქულიანი ააცილა. |
| 2:48: ორქულიანი ააცილა. |
| 2:45: შეტევაში მოხსნა. |
| 2:45: ორქულიანი ააცილა. |
| 1:13: ორქულიანი ააცილა. |
| 0:53: ორქულიანი ააცილა. |
| 0:45: უილიამსმა შეცვალა |

ლეგიონერები

# 13 აპენინებიდან და 20 პირინეიდან

საქართველოს ეროვნული ნაკრების კალათბურთელებმა - **ნიკოლოზ ცქიტიშვილმა და ტაირონ ელისმა** წინასაახალწლოდ თითო მატჩი გამართეს და 2007 წელი დახურეს. თუკი მხოლოდ ჩვენი კალათბურთელების შედეგიანობაზეა ლაპარაკი, აპენინებიდანაც და პირინეიდანაც სასიხარულო ამბებია, მაგრამ ცუდი ის არის, რომ ელისის თავგამოდებამ ვერაფერი უშველა მის მაჩანჩალა „კახასოლს“.

ტაირონ ელისი და მისი „კახასოლი“ ესპანეთის ჩემპიონატის 15-ე ტურში, ვალენსიაში ჩავიდნენ, სადაც ადგილობრივ „პამესასთან“ 88:79 წააგეს. მართალია, „კახასოლმა“ ბოლო ორი მეოთხედი მოიგო, მაგრამ საწყის ოცწუთიან მონაკვეთში უხეიროდ გარჯის შედეგად მიღებული 18-ქულიანი ჩამორჩენა ვერ გააბათილა.

საქართველოს ნაკრების ამერიკელ გამთამაშებელს 32 წუთი გამოუყვეს მწვრთნელებმა და ჩვენებურმა 20 ქულა ჩააგდო, რითაც ვალენსიელი დუგლასის შემდეგ (24 ქულა), საუკეთესო იყო მოედანზე მყოფთაგან. ელისმა 4-დან 3 ორქულიანი ჩააგდო, 5-დან 3 სამქულიანი და 6-დან 5 ჯარიმა. ამას გარდა, მის აქტივშია 4 პასი და 1 ჩაჭრა.

15 ტურის შემდეგ, „კახასოლს“ მხოლოდ 4 მოგება აქვს და 18-გუნდიან ჩემპიონატში 16-ე ადგილზეა. თუკი ელისს წინასაახალწლო განწყობა წაუხდა, ზამთრის არდადეგებზე კარდინალურად განსხვავებული ხასიათით გავიდნენ ნიკოლოზ ცქიტიშვილი და მისი „ტერამო“. ტერამოელებმა ახლო წარსულში მრისხანე, მაგრამ ბოლო ხანს გვარიანად დასუსტებულ „ბენეტონს“ უმასპინძლეს და უპრობლემოდ დაამარცხეს - 92:76.

ნიკოლოზ ცქიტიშვილმა 24 წუთი ითამაშა და საკმაოდ ნაყოფიერად გაისარჯა. მან 4-დან 3 ორქულიანი და 2-დან 1 ჯარიმა ჩააგდო. რაც შეეხება სამქულიანებს, „სკიტამ“ უჩვეულოდ ბევრი - 6 სამქულიანი ისროლა და ორჯერ უნია მიზანს. საბოლოოდ, მან 13 ქულით დამთავრა თამაში. ამას გარდა, ქართველმა კალათბურთელმა 5 მოხსნაც დააგროვა.

ამჟამად „ტერამოს“ 8 მოგება და 9 წაგება აქვს, რითაც სამ გუნდთან ერთად, 8-11-ე ადგილებს იყოფს.

**კობა ხატისაშვილი**



ნიკოლოზ ცქიტიშვილი

ჭიდაობა

# ედიშერ მაჩაიძე ხუთ რჩეულშია

დღეს, 4 იანვარს, ბაქოში დაიწყება და 8 იანვარს დასრულდება აზერბაიჯანის ეროვნული ჩემპიონატი თავისუფალ და ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. „ლელოსთვის“ ცნობილი გახდა, რომ აზერბაიჯანის მთავრობამ არაორდინარული გადაწყვეტილება მიიღო და ჩემპიონატის სამსაჯოდ მსოფლიოში ცნობილი რამდენიმე არბიტრი მიიწვია. მათ შორის ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციის (ფილა) ექსტრაკლასის მსაჯი ედიშერ მაჩაიძე.

გუშინ, ქართველ არბიტრს, რომელიც უკვე ბაქოში მიემგზავრებოდა, მობილური ტელეფონით ხმა გზაში მივაწვდინეთ და ზემოხსენებულ ფაქტთან დაკავშირებით ვთხოვეთ კომენტარი.

„ასეთი რამ ჯერ არ მომხდარა. ფილასთან შეთანხმებით, აზერბაიჯანის ეროვნულ ჩემპიონატში სამსაჯოდ მსოფლიოში აღიარებული არბიტრები მიიწვიეს. შეთანხმება ფილას ხელმძღვანელობასა და აზერბაიჯანის პრეზიდენტს შორის შემდგარა“ - გვითხრა ე. მაჩაიძემ.

**- რას უნდა მივაწეროთ, თქვენი აზრით, აზერბაიჯანელთა ასეთი გადაწყვეტილება?**

- დასამალი არაფერია. პეკინის ოლიმპიური თამაშებისთვის ქვეყნის ეროვნული ნაკრების კანდიდატებიდან ღირსეულთა შერჩევა სურთ უმაღლეს დონეზე, ეს არის და ეს.

**- ფილას არბიტრების შერჩევა რა პრინციპით მოხდა?**

- აზერბაიჯანის პრეზიდენტმა ი. ალიევმა 20 საუკეთესო მსაჯის სია სთხოვა ფილას და მათგან 5 თავად შეურჩევია აზერბაიჯანელ სპეციალისტებთან ერთად.

**- თქვენს გარდა, ვინ არის კიდევ ის ოთხი?**

- კონკრეტული გვარები ჯერ არ ვიცი. გავიგე მხოლოდ ის, რომ თითო მსაჯია რუსეთიდან, ბულგარეთიდან, შვეიცარიიდან და თურქეთიდან.

**- უპირატესობა შერჩევაში, ალბათ, იმათ მიანიჭეს, ვინც პეკინში იმსაჯებს...**

- შესაძლებელია...

**- თქვენ გარანტირებული გაქვთ წლევანდელ ოლიმპიადაზე მსაჯობა?**

- ყველაფერი გადაწყდება აპრილში, ტამპერეში, ევროპის ჩემპიონატზე.

**- რამდენადაც ვიცით, მსაჯთა შერჩევის პროცესი კარგა ხანია მიმდინარეობს.**

- გეთანხმებით. თავიდან დასახელდა მსოფლიოში ყველაზე ცნობილი და მაღალკვალიფიციური 100 კანდიდატურა. მერე ეს რაოდენობა 80-მდე დავიდა, რაც ტამპერეში კიდევ ათით შემცირდება, საბოლოოდ დარჩება 60. აქედან 36 მსაჯი იქნება ევროპელი.

**- წარმატებას გისურვებთ...**

- დიდი მადლობა.

ესაუბრა

**თენგიზ თომაშვილი**

*P.S. ჩვენი საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ, ბატონი ედიშერი თავად შეგვეხმიანა და გვითხრა, რომ აზერბაიჯანის ჩემპიონატი ქვეყნის პრეზიდენტის პირადი პატრონაჟობით ტარდება და მთავარი ჯილდოც პრეზიდენტის თასი იქნება.*

თარიღი



**ვაჟა კაჭარავა** . 02.01.1937, თბილისი. ფრენბურთი. თამაშობდა თბილისის “ბურევესტნიკსა” (1955-64) და მოსკოვის “დინამოში” (1965-71), იყო ამ გუნდების კაპიტანი, თამაშობდა სსრკ ნაკრებში (1959-67). 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი, ევროპის ჩემპიონი (1967) და მესამე პრიზიორი (1963), მსოფლიოს თასის მფლობელი (1965), მსოფლიო უნივერსიადის ორგზის ჩემპიონი (1963, 65), სსრკ ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (1965), სსრკ ხალხთა სპარტაკიადების ორგზის მეორე (1967, 71) და მესამე (1963) პრიზიორი. იყო მოსკოვის ბაუმანის სახელობის ტექნიკური სასწავლებლის გუნდის (1973-81 წლებში თამაშობდა სსრკ უმაღლეს ლიგაში), სსრკ ახალგაზრდული ნაკრების (1976-77), სსრკ სტუდენტური ნაკრების (1977) და საქართველოს ნაკრების (1984—94) მთავარი მწვრთნელი. სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი, რუსეთის ფედერაციისა და სსრკ დამსახურებული მწვრთნელი. 1990 წელს დაასახელეს სსრკ საუკეთესო მწვრთნელთა შორის. ღირსების, ვახტანგ გორგასლის II ხარისხისა და სეოკ-ის ორდენების კავალერი.

**როლანდ ხომერიკი** . დაიბადა 02.01.1934, ოზურგეთი. კალათბურთი, მსაჯი, მწვრთნელი. სსრკ ჩემპიონი იუნიორთა შორის (1952). საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი (1973). მსაჯობა დაიწყო 20 წლის ასაკში. 1956 წლიდან მსაჯობდა სსრკ უმაღლესი ლიგის მატჩებს. იმსაჯა ქალთა ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის შეხვედრები (1976), მათ შორის მატჩი III ადგილისთვის, ევროტურნირების მრავალი შეხვედრა, როგორც ვაჟთა, ისე ქალთა გუნდებს შორის. საქართველოს სპორტკომიტეტის კალათბურთის სახელმწიფო მწვრთნელი (1972-76), საქართველოს ქალთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი (1976-81), სპორტკომიტეტის სპორტთამაშების სამმართველოს უფროსი (1981-91), საქართველოს კალათბურთის ფედერაციის პირველი ვიცე-პრეზიდენტი (1991-99) და საშეჯიბრებო კომიტეტის თავმჯდომარე (2001 წლიდან). ღირსების ორდენის კავალერი.

**მერაბ გაგუნაშვილი** . 03.01.1985, თბილისი. ჭადრაკი. საერთაშორისო დიდოსტატი (2002). ჭაბუკთა მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადის მეორე პრიზიორი (1999). 20-წლამდე ასაკის ჭაბუკთა მსოფლიო პირველობის მეორე პრიზიორი (2001). შავი ზღვის აუზის ქვეყნების ჩემპიონატის მეორე პრიზიორი (2002). ამავე შეჯიბრებაში 2003 წელს II-V ადგილები გაიყო. ვროპის გუნდური ჩემპიონატის მესამე პრიზიორი (2003, თავის დაფაზე მოიპოვა მცირე ვერცხლის მედალი). მსოფლიოს საჭადრაკო ოლიმპიადების მონაწილე (2000, 04. 2000 წელს თავის დაფაზე მოაგროვა 8-დან 6,5 ქულა).



**დავით გობეჯიშვილი**. 03.01.1963, ხურუთი, ონი. თავისუფალი ჭიდაობა (130 კგ). 1988 წლის სეულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი და 1992 წლის ბარსელონის ოლიმპიური თამაშების მესამე პრიზიორი. მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი (1985, 90) და მეორე პრიზიორი (1986), მსოფლიოს თასის სამგზის მფლობელი (1986, 87, 88), ევროპის ჩემპიონი (1985), კეთილი ნების თამაშების ჩემპიონი (1990). სსრკ ხალხთა IX სპარტაკიადის ჩემპიონი (1986), სსრკ სამგზის ჩემპიონი (1985, 86, 88), ორგზის მეორე (1987, 89) და მესამე (1990) პრიზიორი, დსთ-ის ჩემპიონი (1992). საქართველოს ორგზის წლის საუკეთესო სპორტსმენი (1985-90). სსრკ სპორტის დამსახურებული ოსტატი. საქართველოს ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი (1994-200), საქართველოს სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარის მოადგილე(2002-04). ფიზკულტურულ-სპორტულ საზოგადოება „დინამოს“ აღმასრულებელი დირექტორი 2004 წლიდან. ღირსების და ვახტანგ გორგასლის II ხარისხის ორდენების კავალერი.

საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტი დაბადების დღეს ულოცავენ ოლიმპიურ ჩემპიონებს **ვაჟა კაჭარავას** და **დავით გობეჯიშვილს.**

## 30 დეკემბერი

**ფლორიდა-ფილადელფია 0:1**

0:0, 0:0, 0:1

გოლი: დ. პეტჩერი-2 (ს. რუჟიჩკა-1, ს. კაპანენი-1).

**ჩიკაგო-ლოს ანჯელესი 2:3 (ო)**

0:0, 1:0, 1:2, 0:1

გოლები: 1:0 ტეევზი-15 (სიბრუკი-7, კეინი-27), 2:0 დოუელი-2 (მ. ლაპოინტი-4, ბარიში-3), 2:1 დ. ბრაუნი-17 (ნადი-13), 2:2 კალდერი-5 (პრისინგი-8, ნადი-14), 2:3 დ. ბრაუნი-18 (პრისინგი-9).

**რეინჯერსი-მონრეალი 4:3 (ო)**

2:1, 0:2, 1:0, 1:0

გოლები: 1:0 ჟირარდი-7 (გომესი-26, სტრაკა-10), 1:1 ა. კოსტიცინი-8 (პლეკანეცი-19, კოვალიოვი-18), 2:1 იაგრი-11 (გომესი-27, როჟსივალი-15), 2:2 ა. კოსტიცინი-9 (პლეკანეცი-20, კოვალიოვი-19), 2:3 პლეკანეცი-12 (ა. კოსტიცინი-12, ს. კოსტიცინი-4), 3:3 დრური-10 (ეივერი-9, მარა-7), 4:3 შენეჰანი-14 (დრური-18, ჟირარდი-7).

**ვანკუვერი-ანაჰაიმი 2:1**

1:0, 1:0, 0:1

გოლები: 1:0 დ. სედინი-17 (ჰ. სედინი-31, ნესლუნდი-21), 2:0 კუკი-6 (ჰ. სედინი-32), 2:1 გეტცლაფი-14 (ს. ნიდერმაიერი-3, ბერტუცი-8).

## 31 დეკემბერი

**ბოსტონი-ატლანტა 5:2**

0:2, 3:0, 2:0

გოლები: 0:1 ჰოლიკი-5 (ი. კოვალჩუკი-21, ენსტრიომი-20), 0:2 კ. სტიუარტი-1 (ტ. უაიტი-14, მაკარტი-4), 1:2 ვიდემანი-5 (კობესოუ-7, ფერენსი-8), 2:2 აქსელსონი-8 (ხარა-17), 3:2 მ. სტიუარტი-2 (მეფერი-12, მეტროპოლიტი-9), 4:2 კესელი-11 (ფერენსი-9, კრეისი-4), 5:2 ლეშოფი-1 (ხარა-18, სავარი-34).

**კოლამბუსი-ედმონტონი 4:2**

1:0, 1:2, 2:0

გოლები: 1:0 ნოვოტნი-7 (ჟერდიოვი-17, ჩიმერა-11), 1:1 მორო-1 (პისანი-3, კოლიაინო-12), 2:1 ნეში-19 (ჰეინსი-18, ნოვოტნი-10), 2:2 სტაიოსი-4 (მორო-2, სურეი-5), 3:2 ნეში-20 (ვესკოტი-3, ლინდსტრიომი-1), 4:2 ნეში-21 (ჟერდიოვი-18, ფუტი-6).

**მინესოტა-სან ხოსე 2:3**

0:1, 0:1, 2:1

გოლები: 0:1 ბერნიე-10 (ჯ. ტორნტონი-32, მ. მიხალეკი-9), 0:2 მაკლარენი-1 (მ. მიხალეკი-10, ჯ. ტორნტონი-33), 1:2 მური-1 (ვეილო-3, კ. იონსონი-11), 2:2 პერიში-9 (გაბორიკი-17, ბელანჟე-17), 2:3 ჩიჩუ-5 (დ. მიურეი-5, ტ. მიტჩელი-7).

**დეტროიტი-სენტ ლუისი 0:2**

0:0, 0:0, 0:2

გოლები: 0:1 ე. ჯონსონი-3 (ბოიესი-11), 0:2 სტემპნიაკი-8 (მეიერსი-6, მაკკი-2).

**ფინიქსი-კოლორადო 4:3 (ბ)**

0:1, 3:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ვოლსკი-13 (ბრუნეტი-20, რიჩარდსონი-2), 1:1 ვრბატა-15 (ჰანზალი-17, სიოსტრიომი-6), 2:1 რაინპრეხტი-8 (იორკი-5, ჯოვანოვსკი-20), 3:1 ვრბატა-16 (მიულერი-9, დოუნი-20), 3:2 ბ. კლარკი-4 (ლაპერიერი-7, შჩასტნი-29), 3:3 მაკლეოდი-2 (გიტი-8, ლაპერიერი-8).

ბულიტები გაიტანეს: მიულერი (ფინიქსი), ვრბატა (ფინიქსი).

**კაროლინა-აილენდერსი 1:4**

0:0, 1:4, 0:0

გოლები: 0:1 მ-ა. ბერჟერონი-5 (ვაშიჩეკი-7, ჰანტერი-12), 0:2 გერინი-13 (კომრი-19, მ-ა. ბერჟერონი-8), 0:3 ფედოტენკო-7 (ჰილბერტი-5, ჯეკმენი-3), 1:3 კ. ადამსი-2 (კომოდორი-6), 1:4 მ-ა. ბერჟერონი-6 (კომრი-20).

**დალასი-ნეშვილი 0:1**

0:0, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 დუმონი-12 (რადულოვი-16, არნოტი-18).

**კალგარი-ვანკუვერი 2:1**

1:1, 1:0, 0:0

გოლები: 0:1 დ. სედინი-18 (ჰ. სედინი-33, ა. მილერი-5), 1:1 ნოლანი-7 (ლენგკოუ-19, ტანგეი-23), 2:1 ჰუსელიუსი-17 (ლენგკოუ-20, ა. ერიქსონი-7).

## 1 იანვარი

**ბაფალო-პიტსბურგი 1:2 (ბ)**

0:1, 1:0, 0:0, 0:0

გოლები: 0:1 კ. არმსტრონგი-6 (კროსბი-37), 1:1 ბ. კემპბელი-4 (ტ. კონოლი-23, პეი-11).

ბულიტები გაიტანეს: კოტალიკი (ბაფალო), ლეტანგი (პიტსბურგი), კროსბი (პიტსბურგი).

**ტორონტო-ტამპა ბეი 4:3 (ბ)**

0:1, 3:1, 0:1, 0:0

გოლები: 0:1 ა. კარლსონი-1 (პლავაჩი-7, ო'ბრაიენი-11), 1:1 ჯ. ბლეიკი-6 (კუბინა-14, ტ. კაბერლე-21), 2:1 სუნდინი-18 (ჯ. ბლეიკი-17), 2:2 სენტ ლუისი-14 (პროსპალი-21, ლეკავალიე-31), 3:2 გილი-2 (ჯ. ბლეიკი-18, კუბინა-15), 3:3 რეინჯერი-7 (პროსპალი-22, ლეკავალიე-32).

ბულიტები გაიტანეს: ლეკავალიე (ტამპა ბეი), ტ. კაბერლე (ტორონტო), სუნდინი (ტორონტო).

**ვაშინგტონი-ოტავა 6:3**

4:2, 1:0, 1:1

გოლები: 0:1 ნილი-4 (შუბერტი-11, მაკამონდი-8), 0:2 მაკამონდი-3 (ნილი-8, ჰიტლი-30), 1:2 ვიქ. კოზლოვი-4 (ბექსტრიომი-22, ოვეჩკინი-19), 2:2 ნიულანდერი-10 (შულტცი-3, ლეიჩი-5), 3:2 მ. გრინი-9, 4:2 ლეიჩი-7 (ბრაშირი-3, გორდონი-4), 5:2 მ. გრინი-10 (ნიულანდერი-23, ოვეჩკინი-20), 5:3 მეზაროში-6 (ფიშერი-13, ალფრედსონი-28), 6:3 გორდონი-3 (ბრედლი-6, მ. გრინი-11).

**ლოს ანჯელესი-ჩიკაგო 9:2**

4:2, 2:0, 3:0

გოლები: 0:1 მ. ლაპოინტი-3 (რ. ბურკი-6), 1:1 პრისინგი-5 (ნადი-15, ფროლოვი-20), 1:2 შარპი-20 (კეინი-28, ბიფიგლიონი-10), 2:2 ნადი-6, 3:2 ო'სალივანი-10 (დ. ბრაუნი-15, ვიშნოვსკი-20), 4:2 ნადი-7 (პრისინგი-10, ბ. სტიუარტი-7), 5:2 ფროლოვი-5 (ბ. სტიუარტი-8), 6:2 ფროლოვი-6 (კალდერი-7, ნადი-16), 7:2 ნადი-8 (ფროლოვი-21), 8:2 დ. ბრაუნი-19, 9:2 ვიშნოვსკი-4 (კალდერი-8, ფროლოვი-22).

## 2 იანვარი

**ნიუ ჯერსი-ფლორიდა 3:2**

2:0, 0:1, 1:1

გოლები: 1:0 ლანგენბრუნერი-6 (ზუბრუსი-13, ზაიაცი-11), 2:0 ნ. კლარკი-1 (კლარკსონი-6, მოტო-7), 2:1 ბუტი-9 (ვეისი-16, ჰორტონი-16), 3:1 ჯონტა-12 (პარიზე-22, ლანგენბრუნერი-12), 3:2 ბოუმისტერი-6 (ო. იოკინენი-20, ჰორტონი-17).

**კაროლინა-ატლანტა 4:5 (ო)**

1:2, 0:1, 3:1, 0:1

გოლები: 0:1 ვიაჩ. კოზლოვი-12 (ლარსენი-3, ჰაველიდი-11), 1:1 რეი უიტნი-19 (გლისონი-8, ე. კოული-18), 1:2 კოვალჩუკი-33, 1:3 რეკი-8 (კოვალჩუკი-22, ტ. უაიტი-15), 2:3 ე. სტაალი-21 (რეი უიტნი-22, ფ. კაბერლე-9), 3:3 ლედი-4 (ს. უოკერი-8, ბრინდამორი-21), 3:4 ჰოლიკი-6 (კოვალჩუკი-23, რეკი-12), 4:4 ე. კოული-9 (ფ. კაბერლე-10, ე. სტაალი-16), 4:5 მარიან ჰოსა-14 (კოვალჩუკი-24, ენსტრიომი-21).

**დეტროიტი-დალასი 4:1**

1:0, 1:0, 2:1

გოლები: 1:0 კლირი-13 (ფილპულა-9, ზეტერბერგი-26), 2:0 ფრანცენი-7 (დოუნი-1, ჩელიოსი-5), 3:0 დრეიკი-1 (ზეტერბერგი-27, ლიდსტრიომი-33), 4:0 დაციუკი-16 (ლიდსტრიომი-34, კლირი-13), 4:1 ლ. ერიქსონი-3 (ლუნდკვისტი-4, ფისტრიჩი-1).

**სენტ ლუისი-ედმონტონი 2:3 (ო)**

1:0, 0:1, 1:1, 0:1

გოლები: 1:0 პერონი-8 (ბეკმენი-7, მაკლემანი-5), 1:1 გილბერტი-7 (ტორესენი-1), 1:2 პენერი-11 (რ. ნილსონი-13, პიტკანენი-6), 2:2 ბეკსი-4 (მაიერსი-7, ბრიუერი-8), 2:3 პენერი-12 (სტოლი-12, ჰოპკოფი-19).

**კოლორადო-ფინიქსი 2:5**

1:2, 1:0, 0:3

გოლები: 0:1 რაინპრეხტი-9 (დოუნი-21, ჯოვანოვსკი-21), 0:2 რაინპრეხტი-10 (იენდლი-, იორკი-6), 1:2 სვატოსი-14 (ჰლინკა-10, კამისკი-5), 2:2 სვატოსი-15 (ბრუნეტი-21, ჰლინკა-11), 2:3 დოუნი-10 (რაინპრეხტი-14, ვრბატა-13), 2:4 ვრბატა-17 (დოუნი-22), 2:5 რაინპრეხტი-11 (დოუნი-23).

**კალგარი-რეინჯერსი 4:3**

1:0, 1:1, 2:2

გოლები: 1:0 ა. ოკუანი-7 (ჰუსელიუსი-23, კონროი-14), 2:0 იგინლა-28 (ფანოფი-22, ჰუსელიუსი-24), 2:1 როჟსივალი-10 (გომესი-28, იაგრი-24), 3:1 იგინლა-29 (ჰუსელიუსი-25, კონროი-15), 3:2 დუბინსკი-4 (ეივერი-10, ჟირარდი-8), 4:2 ჰუსელიუსი-18, 4:3 შენეჰანი-15 (გომესი-29, იაგრი-25).

**ანაჰაიმი-კოლამბუსი 2:1**

1:1, 1:0, 0:0

გოლები: 1:0 გეტცლაფი-15 (ბოშემენი-13, პრონგერი-23), 1:1 ე. მიურეი-1 (ფიოდოროვი-13), 2:1 პრონგერი-8 (ბერტუცი-9, გეტცლაფი-27).

ახალი ამბები

## კვირის სამი ვარსკვლავი

ტრადიციულად, კვირის შედეგები შეაჯამა და სამი საუკეთესო ჰოკეისტი გამოავლინა ჰოკეის ეროვნულმა ლიგამ.

პირველი ვარსკვლავი გახდა „ვაშინგტონ კეპიტალზის" რუსი ფორვარდი **ალექსანდრ ოვეჩკინი**, რომელმაც სამ მატჩში 7 ქულა დააგროვა. თავდამსხმელმა განსაკუთრებით გამოიჩინა თავი „ოტავასთან" (8:6) მატჩში, როცა ოთხი შაიბა გაიტანა და ერთი შედეგიანი პასიც შეასრულა.

ნელ-ნელა შედის ფორმაში „ნიუ იორკ რეინჯერსის" სახელგანთქმული ჩეხი ფორვარდი **იარომირ იაგრი**, რომელიც კვირის მეორე ვარსკვლავად დასახელდა. ოვეჩკინის მსგავსად, იაგრმაც სამ შეხვედრაში შვიდი ქულა მიითვალა, მისმა გუნდმა კი, სამივე თამაში მოიგო.

დაბოლოს, მესამე ვარსკვლავის სტატუსი მიიღო „სან ხოსეს შარქსის" მეკარემ **ევგენი ნაბოკოვმა**, რომელიც გასულ კვირას საშუალოდ მატჩში 1.34 შაიბას უშვებდა და მეტოქეთა დარტყმების 94.9 პროცენტს იგერიებდა. აღსანიშნავია, რომ „სან ხოსემ" ამ სეზონში 38 მატჩი ჩაატარა და ყველაში კარს რუსი გოლკიპერი იცავდა.

## ჩიკაგომ სამსონოვი გაუშვა

„ჩიკაგო ბლექჰოქსმა" ტრანსფერზე დააყენა რუსი თავდამსხმელი **სერგეი სამსონოვი**. თუ უახლოეს დღეებში ამ ჰოკეისტს მსურველი არ გამოუჩნდება, თავდამსხმელს ფარმ-კლუბში მოუწევს კარიერის გაგრძელება.

სამსონოვი ამ სეზონის წინ გადავიდა „მონრეალიდან" „ჩიკაგოში". წელს მან 23 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ოთხი შედეგიანი გადაცემით გამოიჩინა თავი. ფორვარდს ამ სეზონის ბოლომდე აქვს „ჩიკაგოსთან" კონტრაქტი, რომლის მიხედვითაც რუსმა 3.25 მილიონი დოლარი უნდა გამოიმუშავოს, ზაფხულში კი, ის თავისუფალი აგენტი გახდება.

სამსონოვს NHL-ში 619 მატჩი აქვს ჩატარებული. მის ანგარიშზეა 422 ქულა (178 შაიბა+244 შედეგიანი პასი).

## ჯოზეფი მშობლიურ ლიგაში ბრუნდება

ახალი წლის დღეებში, შვეიცარიაში ტრადიციული ტურნირი - შპენგლერის თასი გაიმართა, სადაც სხვებთან ერთად კანადის ნაკრებიც თამაშობდა. ამ გუნდის კარს იცავდა NHL-ის ლეგენდარული მეკარე **კერტის ჯოზეფი**, რომელიც წელს შვედეთის მეორე ლიგაში „ლეკსანდის" რიგებში თამაშობს.

ვეტერანმა გოლკიპერმა შპენგლერის თასზე ბრწყინვალე შთაბეჭდილება დატოვა და სავარაუდოდ, სულ მალე დაბრუნდება NHL-ში. ჯოზეფით ყველაზე დიდ დაინტერესებას „ოტავა სენატორზი" გამოთქვამს. როგორც კანადური პრესა წერს, კანადურ კლუბს თითქმის გაფორმებული აქვს კონტრაქტი ვეტერანთან. გარდა ამისა, ჯოზეფისთვის ბრძოლაში „ტორონტო მეიპლ ლივზიც" ჩაება. სხვათა შორის, კერტისს თავისი კარიერის საუკეთესო წლები სწორედ „ტორონტოში" აქვს გატარებული.



დოპინგი

# გეტლინს ოთხწლიანი მისცეს




ამერიკის საარბიტრაჟო სასამართლომ ოთხწლიანი დისკვალიფიკაცია მისცა 100 მეტრზე ათენის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონს **ჯასტინ გეტლინს**. ეს ათლეტი დოპინგის მიღების გამო დაისაჯა. 2006 წელს, კანზასში გამართული ტურნირის დროს, გეტლინს ორგანიზმში ტესტოსტერონის ჭარბი დოზა აღმოუჩინეს.

საარბიტრაჟო სასამართლომ გამოაცხადა, რომ დისკვალიფიკაციის ვადა უფრო მოკლე ვერ იქნებოდა, ვინაიდან გეტლინი მანამდეც იყო მხილებული დოპინგის მიღებაში. ეს 2001 წელს მოხდა, მაგრამ მაშინ სპრინტერი დასჯას გადაურჩა.

ამჟამინდელი დისკვალიფიკაცია 2010 წლის 24 მაისამდე იქნება ძალაში, ასე რომ, 25 წლის გეტლინის კარიერა პრაქტიკულად დასრულებულად უნდა ჩავთვალოთ.





ლაურეატი

# ფედერერი შუმის დაეწია

საფრანგეთის წამყვანი სპორტული გამოცემა „ეკიპი" ტრადიციულად ახალი წლის მეორე დღეს გასული წლის საუკეთესო სპორტსმენებს ასახელებს. ლაურეატს გაზეთის ჟურნალისტები გამოკითხვის შედეგად ავლენენ. წელს, ზედიზედ მესამედ საუკეთესო სპორტსმენის სახელი ერგო შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს**, რომელმაც 2007 წელს „დიდი სლემის" სამი ტურნირი (ავსტრალიის ღია, უიმბლდონი, აშშ-ის ღია) და წლის შემაჯამებელი მასტერსის თასი მოიგო.

ამ გამოკითხვაში გამარჯვებების რაოდენობით ფედერერი ლეგენდარულ გერმანელ ავტომრბოლს, **მიხაელ შუმახერს** დაეწია, რომელიც 2001, 2002 და 2003 წელს სახელდებოდა საუკეთესოდ.

აი, როგორ გამოიყურება „ეკიპის" ვერსიით 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენთა ათეული:

1. როჯერ ფედერერი (შვეიცარია, ჩოგბურთი)
2. მაიკლ ფელპსი (აშშ, ცურვა)
3. სებასტიან ლოები (საფრანგეთი, რალი)
4. ჟუსტინ ანენი (ბელგია, ჩოგბურთი)

5-6. ტონი პარკერი (საფრანგეთი, კალათბურთი)

5-6. ტაიგერ ვუდსი (აშშ, გოლფი)

7. ბრაიან ჰაბანა (ს. აფრიკა, რაგბი)
8. კაკა (ბრაზილია, ფეხბურთი)
9. ტაისონ გაი (აშშ, მძლეოსნობა)
10. ლორ მანოდუ (საფრანგეთი, ცურვა)

ტურნირები

## ATP

### Next Generation

ადელაიდა (ავსტრალია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 465 000 დოლარი

**I წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 1)**-დუდი სელა (ისრ) 6:2, 6:2; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 2)**-ჟულიან ბენეტო (საფ) 7:6 (2), 7:5; **იარკო ნიემინენი (ფინ, 3)**-ივო კლეჩი (სლოვენ) 6:2, 6:4; **მიხაელ ლოდრა (საფ)**-ჟილ სიმონი (საფ, 4) 7:6 (3), 6:3; **ჯოზეფ სირიანი (ავსტრა)**-რადეკ შტეპანეკი (ჩეხ, 5) 7:6 (3), 4:3 შტეპანეკის უარი; **ჟო-ვილფრიდ ცონგა (საფ, 6)**-ვიქტორ ჰანესკუ (რუმ) 6:3, 4:6, 7:5; **მაიკლ რასელი (აშშ)**-ხუან მარტინ დელ პოტრო (არგ, 7) 6:3, 6:3; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-სებასტიან გროსჟანი (საფ, 8) 4:6, 6:1, 6:3; **მიშა ზვერევი (გერ)**-ფლორიან მაიერი (გერ) 6:3, 6:3; **სემ კერი (აშშ)**-სტივ დარცისი (ბელ) 7:5, 6:4; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-რობერტ სმეეტსი (პოლ) 3:6, 6:4, 6:2; **ერნესტ გულბისი (ლატ)**-ანდრეი გოლუბევი (რუს) 6:7 (9), 6:4, 6:2; **კრის გუჩიონე (ავსტრა)**-უეინ ოდესნიკი 7:5, 7:6 (5); **ხოსე აკასუსო (არგ)**-ალეხანდრო ფალა (კოლ) 6:3, 7:6 (3); **ფრანკ დანჩევიჩი (კან)**-სიმონე ბოლელი (იტა) 6:2, 7:6 (3); **ევგენი კოროლიოვი (რუს)**-ალუნ ჯონსი (აშშ) 6:2, 7:6 (7).

**II წრე**

**ლეიტონ ჰიუიტი (ავსტრა, 1)**-ხოსე აკასუსო (არგ) 6:2, 6:2; **პოლ-ანრი მატიო (საფ, 2)**-კრის გუჩიონე (ავსტრა) 4:6, 6:3, 6:4; **იარკო ნიემინენი (ფინ, 3)**-ფრანკ დანჩევიჩი (კან) 6:4, 6:1; **ბენჯამინ ბეკერი (გერ)**-მაიკლ რასელი (აშშ) 6:4, 6:4; **ჯოზეფ სირიანი (ავსტრა)**-სემ კერი (აშშ) 6:7 (5), 6:2, 6:3; **მიხაელ ლოდრა (საფ)**-ევგენი კოროლიოვი (რუს) 7:6 (3), 6:3; **ვინსენტ სპეიდი (აშშ)**-მიშა ზვერევი (გერ) 6:3, 7:5.

### Chennai Open

ჩენაი (ინდოეთი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 436 000 დოლარი

**I წრე**

**რაფაელ ნადალი (ესპ, 1)**-მატიო მონტკური (საფ) 6:2, 6:4; **რობინ ჰაასე (ჰოლ)**-მარკოს ბაღდატისი (კვიპ, 2) 6:3, 6:4; **კარლოს მოია (ესპ, 3)**-თეიმურაზ გაბაშვილი (რუს) 6:4, 6:1; **მიხაილ იუჟნი (რუს, 4)**-ირჟი ვანეკი (ჩეხ) 6:3, 6:2; **ნიკოლა მაუ (საფ, 5)**-დენის გრემელმაიერი (გერ) 6:3, 6:3; **იურგენ მელცერი (ბელ, 6)**-პოლ კაპდევილე (ჩილ) 6:2, 6:4; **ვერნერ ეშაუერი (ავსტრია, 7)**-ბარტოლომე სალვა-ვიდალი (ესპ) 7:6 (3), 5:7, 6:4; **კრისტოფ ვლიეგენი (ბელ)**-მარკ ჟიკელი (საფ, 8) 7:6 (5), 6:4; **ფლორან სერა (საფ)**-ივან ნავარო (ესპ) 6:4, 7:6 (6); **ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ)**-ვიშნუ ვარდანი (ინდ) 6:1, 6:2; **ქსავიე მალისე (ბელ)**-ჯილ მიულერი (გერ) 6:4, 6:3; **რაჯივ რამი (აშშ)**-იური შჩუკინი (რუს) 7:6 (6), 7:6 (2); **ალექსანდრ კუდრიავცევი (რუს)**-პრაკაშ არმიტრაჯი (ინდ) 6:3, 4:6, 7:6 (8); **ლოვრო ჟოვკო (ხორ)**-ტიერი ასკიონე (საფ) 6:4, 6:0; **გილერმო გარსია-ლოპესი (ესპ)**-ალექსანდერ პეია (ავსტრია) 6:4, 6:4; **მარინ ჩილიჩი (ხორ)**-ვიქტორ ტროიცკი (სერ) 3:6, 7:6 (6), 6:1.

**II წრე**

**კარლოს მოია (ესპ, 3)**-ალექსანდრ კუდრიავცევი (რუს) 6:3, 6:7, 6:2; **მიხაილ იუჟნი (რუს, 4)**-ედუარდ როჟე-ვასელენი (საფ) 7:5, 1:6, 6:2; **ქსავიე მალისე (ბელ)**-იურგენ მელცერი (ბელ, 6) 7:6, 6:2; **ფლორან სერა (საფ)**-კრისტოფ ვლიეგენი (ბელ) 7:5, 4:6, 7:6.

### Qatar ExxonMobil Open

დოჰა (კატარი). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 049 000 დოლარი

**I წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო (1)**-ბენედიკტ დორში (გერ) 6:3, 6:0; **აგუსტინ კალერი (არგ)**-ტომი რობრედო (ესპ, 2) 6:4, 6:4; **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-ოლივიე როხუსი (ბელ) 6:0, 6:2; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 4)**-შტეფან კუბეკი (ავსტრია) 6:4, 6:4; **კრისტოფ როხუსი (ბელ)**-ივო კარლოვიჩი (ხორ, 5) 7:6 (2), 6:2; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 6)**-ოსკარ ერნანდესი (ესპ) 6:3, **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 8)**-ალბერტ მონტანიესი (ესპ) 6:2, 7:5; **ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ)**-მაქს მირნი (ბლრ) 6:3, 6:2; **ფილიპო ვოლანდრი (იტა)**-დიეგო ჰარტფილდი (არგ) 4:6, 6:3, 7:6 (3); **მიხაელ ბერერი (გერ)**-აბდულა ჰაჯი 6:1, 6:1; **ფაბრის სანტორო (საფ)**-ანდრეას სეპი (იტა) 6:4, 1:6, 6:2; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-ალბერტო მარტინი (ესპ) 6:2, 6:2; **ნიკოლას კიფერი (გერ)**-სებასტიან დე შონაკი (საფ) 6:4, 6:3; **რაინერ შუტლერი (გერ)**-ანდრეი პაველი (რუმ) 1:6, 6:2, 6:0; **იანკო ტიპსარევიჩი (სერ)**-სანტიაგო ვენტურა (ესპ) 3:6, 6:3, 6:4.

**II წრე**

**ნიკოლაი დავიდენკო (1)**-ფაბრის სანტორო (საფ) 6:3, 6:3; **ენდი მარეი (ბრიტ, 3)**-რაინერ შუტლერი (გერ) 1:6, 6:0, 6:1; **ივან ლუბიჩიჩი (ხორ, 4)**- იანკო ტიპსარევიჩი (სერ) ტიპსარევიჩის უარი; **ფილიპ კოლშრაიბერი (გერ, 6)**-ფილიპო ვოლანდრი (იტა) 6:4, 6:1; **ტ. იოჰანსონი (შვედ)**-მიხაელ ბერერი (გერ) 6:3, 7:5; **აგუსტინ კალერი (არგ)**-ჰიუნ-ტაიკ ლი (კორ) 6:3, 6:1; **სტანისლას ვავრინკა (შვეიც)**-კრისტოფ როხუსი (ბელ) 6:2, 7:5; **დმიტრი ტურსუნოვი (რუს, 8)**-ნიკოლას კიფერი (გერ) კიფერის უარი.

## WTA

### ASB Classic

ოკლენდი (ზელანდია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 145 000 დოლარი

**I წრე**

**ვერა ზვონარევა (რუს, 1)**-საშა ჯონსი (ზელ) 6:0, 6:1; **მარია კირილენკო (რუს, 2)**-კაია კანეპი (ესტ) 6:2, 2:6, 6:3; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 3)**-ანასტასია როდიონოვა (რუს) 6:0, 3:0 როდიონოვას უარი; **სარა ერანი (იტა)**-მიხაელა კრაიჩეკი (ჰოლ, 4) 7:5, 6:7 (4), 6:2; **ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპ, 5)**-ნიკოლ პრატი (ავსტრია) 7:6 (3), 6:3; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია, 6)**-იანინა ვიკმაიერი 7:6 (7), 6:1; **ელენი დანილიდუ (საბ, 7)**-ელენა ბალტაჩა (ბრიტ) 6:1, 6:2; **ეშლი ჰარკლროუდი (აშშ)**-ემილი ლუა (საფ, 8), 6:4, 6:1; **ივონ მოისბურგერი (ავსტრია)**-აკიკო მორიგამი (იაპ) 7:5, 6:0; **კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ)**-მეილენ ტუ (აშშ) 6:3, 7:5; **ლინდსი დავენპორტი (აშშ)**-ლაურა გრენვილი (აშშ) 6:2, 6:3; **სოფია არვიდსონი (შვედ)**-აშა როული (აშშ) 6:4, 7:5; **არავან რეზაი (საფ)**-შუაი ჟანგი (ჩინ) 6:3, 6:3; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-ელენ ბერი 6:1, 6:1; **პოლინ პარმენტიე (საფ)**-ვესნა მანასიევა (რუს) 6:0, 7:5; **კამილ პინი (საფ)**-მარტინა მიულერი (გერ) 6:3, 6:1.

**1/8 ფინალი**

**ვერა ზვონარევა (რუს, 1)**-სოფია არვიდსონი (შვედ) 6:2, 6:3; **მარია კირილენკო (რუს, 2)**-კლარა ზაკოპალოვა (ჩეხ) 6:4, 6:1; **კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 3)**-ივონ მოისბურგერი (ავსტრია) 6:0, 6:1; **ლინდსი დავენპორტი (აშშ)**-ანაბელ მედინა-გარიგესი (ესპ, 5) 6:1, 4:6, 6:0; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია, 6)**-კამილ პინი (საფ) 6:2, 6:3; **არავან რეზაი (საფ)**-ელენი დანილიდუ (საბ, 7) 7:5, 6:4; **სარა ერანი (იტა)**-პოლინ პარმენტიე (საფ) 6:1, 6:2; **მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-ეშლი ჰარკლროუდი (აშშ) 7:6 (5), 7:5.

**1/4 ფინალი**

**მარინა ერაკოვიჩი (ზელ)**-ვერა ზვონარევა (რუს, 1) 6:3, 2:6, 7:6; **ტამირა პაჩეკი (ავსტრია, 6)**-მარია კირილენკო (რუს, 2) 6:1, 6:3; **ლინდსი დავენპორტი (აშშ)**-სარა ერანი (იტა) 6:3, 6:3; **არავან რეზაი (საფ)**- კატარინა სრებოტნიკი (სლოვენ, 3) 6:1, 6:3.

### Mondial Australian Women's Hardcourts

გოლდ კოუსტი (ავსტრალია). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 175 000 დოლარი

**I წრე**

**ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 1)**-კეისი დელაკუა (ავსტრა) 5:7, 7:5, 6:0; **ტატიანა გარბინი (იტა)**-ნადია პეტროვა (რუს, 2), 5:7, 7:5, 6:3; **დინარა საფინა (3)**-იარმილა გაიდოშოვა (ავსტრა) 4:6, 6:1, 6:2; **პატი შნიდერი (შვეიც, 4)**-ალისა კლეიბანოვა (რუს) 6:1, 6:3; **ამელი მორესმო (საფ, 6)**-ოლგა სავჩუკი (უკრ) 6:1, 6:1; **ნა ლი (ჩინ)**-სიბილ ბამერი (საფ, 7) 6:4, 4:6, 6:4; **იულიანა ფედაკი (უკრ)**-აგნეს შავაი (უნგ, 8) 3:6, 7:5, 6:2; **ფლავია პენეტა (იტა)**-ტიმეა ბაშჩინსკი 6:4, 6:1; **ფრანჩესკა სკიავონე (იტა)**-მეგან შონესი (აშშ) 0:6, 0:1 შონესის უარი; **ჯულია შრუფი (გერ)**-ლურდეს დომინგეს ლინო (ესპ) 6:2, 6:1; **მონიკ ადამჩაკი (ავსტრა)**-ელენა ვესნინა (რუს) 7:6 (4), 3:6, 7:5; **ტატიანა მალეკი (გერ)**-აიკო ნაკამურა (იაპ) 7:5, 6:3; **დომინიკა ციბულკოვა (ჩეხ)**-ვირჟინ რაზანო (საფ) 6:2, 6:2.

**1/8 ფინალი**

**ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 1)**-ტატიანა მალეკი (გერ) 6:4, 6:2; **დინარა საფინა (3)**-ფლავია პენეტა (იტა) 6:4, 2:6, 6:4; **პატი შნიდერი (შვეიც, 4)**-ფრანჩესკა სკიავონე (იტა) 2:6, 6:3, 6:4; **შაარ პეერი (ისრ, 5)**-ჯულია შრუფი (გერ) 6:0 შრუფის უარი; **ამელი მორესმო (საფ, 6)**-ნატალი დეში (საფ) 6:3, 6:4; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-იულიანა ფედაკი (უკრ) 6:4, 6:2; **ნა ლი (ჩინ)**-მონიკ ადამჩაკი (ავსტრა) 6:3, 6:2; **დომინიკა ციბულკოვა (ჩეხ)**-ტატიანა გარბინი (იტა) 7:5, 6:1.

**1/4 ფინალი**

**შაარ პეერი (ისრ, 5)**-დინარა საფინა (3) 4:6, 6:1, 7:6; **ვიქტორია აზარენკა (ბლრ)**-დომინიკა ციბულკოვა (ჩეხ) 6:1, 3:6, 6:3; **ნა ლი (ჩინ)**-ნიკოლ ვაიდიშოვა (ჩეხ, 1) 6:3, 6:3; **პატი შნიდერი (შვეიც, 4)**- ამელი მორესმო (საფ, 6) 6:4, 6:4.

## NBA. რეგულარული

### 30 დეკემბერი

**სან ანტონიო-მემფისი 111:87**

22:32, 26:14, 38:18, 26:24

**სან ანტონიო:** დანკანი (24 ქ. 17 მ. 7 პ. 3 დ), ტ. პარკერი (24 ქ. 9 პ. 4 მ), ფინლი (22 ქ. 7 მ), ბონერი (18 ქ. 2 ჩ).

**მემფისი:** გასოლი (19 ქ. 5 მ. 4 პ. 3 ჩ), გეი (16 ქ. 5მ), მილიჩიჩი (11 ქ. 5 მ. 3 დ. 2 ჩ), ნავარო (10 ქ. 7 პ. 4 მ).

**ლეიკერსი-ბოსტონი 91:110**

23:32, 22:21, 21:29, 25:28

**ლეიკერსი:** ბრაიანტი (22 ქ. 6 მ. 3 პ), ოდომი (14 ქ. 10 მ. 2 დ), ფიშერი (11 ქ. 3 პ).

**ბოსტონი:** პირსი (33 ქ. 8 მ. 4 ჩ. 3 პ), გარნეტი (22 ქ. 12 მ. 6 პ. 3 დ. 2 ჩ), რ. ალენი (19 ქ. 6 მ), ტ. ალენი (16 ქ. 4 პ).

**ნიუ იორკი-ჩიკაგო 83:100**

22:30, 21:20, 14:23, 26:27

**ნიუ იორკი:** ნ. რობინსონი (19 ქ. 5 პ. 4 მ. 3 ჩ), ზ. რენდოლფი (18 ქ. 12 მ), კ. რიჩარდსონი (13 ქ. 2 ჩ), კარი (12 ქ. 8 მ), ლი (11 ქ. 7 მ).

**ჩიკაგო:** გორდონი (25 ქ. 5 მ), დენგი (17 ქ. 7 პ. 6 მ), ჰაინრიხი (13 ქ. 8 პ. 5 მ), ჯო სმიტი (13 ქ), ბ. უოლასი (6 ქ. 10 მ. 2 ჩ).

**პორტლენდი-ფილადელფია 97:72**

21:16, 15:29, 26:18, 35:8

**პორტლენდი:** როი (22 ქ. 6 მ. 6 პ), ტ. აუთლო (12 ქ), ჯეიმს ჯოუნსი (12 ქ), ბლეიკი (11 ქ), ჯეკი (10 ქ. 8 პ. 5 მ. 3 ჩ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (24 ქ. 7 მ), ა. მილერი (17 ქ. 11 პ. 3 მ), კარნი (11 ქ. 6 მ).

**დენვერი-გოლდ. სტ 95:105**

21:26, 30:29, 21:20, 23:30

**დენვერი:** ენტონი (26 ქ. 10 მ. 3 პ), კლეიზა (15 ქ. 6 მ. 3 პ. 2 დ), ჯეი. არ. სმიტი (15 ქ), აივერსონი (13 ქ. 6 მ. 5 პ. 4 ჩ), კემბი (8 ქ. 15 მ. 6 დ).

**გოლდენ სტეიტი:** ბ. დევისი (28 ქ. 8 პ. 4 მ. 3 ჩ), ს. ჯექსონი (23 ქ. 5 პ), მ. ელისი (13 ქ. 5 პ. 4 მ. 2 ჩ), ბიედრინში (8 ქ. 14 მ. 2 ჩ).

**საკრამენტო-ფინიქსი 102:117**

28:32, 27:32, 31:29, 16:24

**საკრამენტო:** გარსია (30 ქ. 6 მ), სალმონსი (23 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), მური (20 ქ. 12 მ), დ. ჯოუნსი (10 ქ), ბ. მილერი (9 ქ. 7 მ. 7 პ. 2 ჩ).

**ფინიქსი:** ა. სტაუდმაიერი (31 ქ. 17 მ), მერიონი (25 ქ. 4 მ. 2 დ), ბარბოსა (22 ქ), გ. ჰილი (12 ქ. 7 მ. 4 პ), ნეში (12 ქ. 15 პ. 5 მ. 2 ჩ), რ. ბელი (11 ქ. 3 პ).

### 31 დეკემბერი

**სიეტლი-ფილადელფია 90:98**

23:21, 11:25, 28:27, 28:25

**სიეტლი:** უოტსონი (18 ქ. 7 პ), ჯ. გრინი (16 ქ. 7 პ), კოლისონი (15 ქ. 11 მ), დელონტე უესტი (13 ქ. 7 მ. 4 პ), პეტრო (10 ქ. 6 მ), კურტ ტომასი (8 ქ. 13 მ. 4 პ. 2 დ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (25 ქ. 5 მ. 4 პ. 2 ჩ), ლ. უილიამსი (19 ქ. 4 ჩ), ა. მილერი (15 ქ. 7 პ. 5 მ), კარნი (11 ქ. 3 ჩ), კორვერი (11 ქ. 2 ჩ. 2 დ), დალემბერი (10 ქ. 7 მ. 6 დ).

**შარლოტი-ინდიანა 107:103 ო.ტ.**

28:24, 19:29, 19:24, 28:17, 13:9

**შარლოტი:** ჯ. უოლასი (36 ქ. 8 მ. 4 პ. 4 ჩ), ჯ. რიჩარდსონი (28 ქ. 8 მ. 3 პ), ოკაფორი (10 ქ. 10 მ. 3 ჩ. 3 დ).

**ინდიანა:** ჯ. ონილი (20 ქ. 13 მ. 5 პ. 3 დ), მ. დანლივი-უმცროსი (18 ქ. 6 მ), მერფი (17 ქ. 8 მ. 5 პ. 2 ჩ), გრეინჯერი (15 ქ. 8 მ. 3 პ), ოუენსი (15 ქ. 2 ჩ), მ. დენიელსი (14 ქ).

**ჩიკაგო-ორლანდო 110:112 ო.ტ.**

30:29, 25:19, 20:29, 21:19, 14:16

**ჩიკაგო:** გორდონი (39 ქ. 4 მ), დენგი (21 ქ. 7 მ. 2 ჩ), ნოჩიონი (19 ქ. 4 მ), ჯო სმიტი (16 ქ. 9 მ), ჰაინრიხი (10 ქ. 10 პ. 5 მ), ბ. უოლასი (2 ქ. 12 მ. 3 ჩ. 3 დ).

**ორლანდო:** ნელსონი (22 ქ. 4 მ. 4 პ), რ. ლუისი (19 ქ. 6 პ), დ. ჰოვარდი (17 ქ. 22 მ. 5 დ. 3 ჩ), თურქოღლუ (17 ქ. 5 მ. 2 ჩ), აროიო (14 ქ. 4 პ), ბოგანსი (14 ქ).

**დეტროიტი-მილუოკი 114:69**

28:15, 28:22, 30:20, 28:12

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (22 ქ), პრინსი (15 ქ), ჯ. ჰეიესი (14 ქ), ბილაპსი (13 ქ. 12 პ), მაკდაიესი (12 ქ. 10 მ).

**მილუოკი:** რედი (18 ქ. 5 მ), ქსიანლიანი (12 ქ. 8 მ).

**ჰიუსტონი-გოლდ. სტ 95:112**

22:28, 34:24, 24:23, 15:37

**ჰიუსტონი:** ალსტონი (22 ქ. 5 პ), უელსი (17 ქ. 2 ჩ), მინი (16 ქ. 9 მ. 3 დ), ჰედი (10 ქ. 2 ჩ), სკოლა (9 ქ).

**გოლდენ სტეიტი:** ა. დევისი (23 ქ. 7 პ. 6 მ. 2 ჩ), მ. ელისი (20 ქ. 6 მ), ს. ჯექსონი (18 ქ. 5 მ. 4 პ), ე. ჰარინგტონი (16 ქ. 11 მ. 2 ჩ), აზუბუიკე (13 ქ. 5 მ).

**იუტა-პორტლენდი 111:101**

23:29, 29:21, 35:29, 24:22

**იუტა:** ბუზერი (19 ქ. 9 მ), დ. უილიამსი (18 ქ. 8 პ), ჰარპრინგი (15 ქ. 8 მ), კირილენკო (14 ქ. 8 მ. 7 პ), მილსეპი (14 ქ. 6 მ. 2 ჩ).

**პორტლენდი:** ოლდრიჯი (36 ქ. 3 მ), როი (17 ქ. 5 პ. 4 მ), ჯეიმს ჯოუნსი (15 ქ), ტ. აუთლო (11 ქ).

**კლიპერსი-მინესოტა 91:82**

21:23, 20:23, 18:24, 32:12

**კლიპერსი:** მობლი (18 ქ. 8 მ. 4 პ), მაგეტი (17 ქ. 4 პ. 3 ჩ), კამანი (16 ქ. 16 მ. 5 დ), კასელი (14 ქ. 2 ჩ).

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (23 ქ. 15 მ), გომესი (17 ქ. 15 მ), კ. სმიტი (14 ქ. 5 მ. 2 ჩ).

**ნიუ ორლეანი-ტორონტო 92:97**

25:32, 23:20, 26:19, 18:26

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (33 ქ. 11 მ. 4 პ), პოლი (23 ქ. 16 პ. 7 მ. 2 ჩ), სტოიაკოვიჩი (19 ქ. 10 მ).

**ტორონტო:** ბოში (29 ქ. 7 მ. 3 პ. 2 ჩ), ე. პარკერი (19 ქ. 5 პ), კალდერონი (17 ქ. 12 პ. 3 მ), ბარნიანი (17 ქ), მუნი (8 ქ. 10 მ. 3 დ. 2 ჩ).

### 2 იანვარი

**ბოსტონი-ჰიუსტონი 97:91**

30:16, 23:26, 23:26, 21:23

**ბოსტონი:** გარნეტი (26 ქ. 9 მ. 3 პ. 3 დ. 2 ჩ), პირსი (19 ქ. 7 პ. 6 მ), რ. ალენი (13 ქ. 3 ჩ), რონდო (13 ქ. 9 პ. 5 მ), პოლარდი (10 ქ. 5 მ).

**ჰიუსტონი:** უელსი (25 ქ. 9 მ), მინი (19 ქ. 13 მ. 2 პ), ალსტონი (18 ქ), ჰედი (10 ქ), სკოლა (7 ქ. 7 მ. 4 პ).

**კლივლენდი-ატლანტა 98:94**

22:19, 15:19, 32:30, 29:26

**კლივლენდი:** ლ. ჯეიმსი (36 ქ. 6 პ. 5 მ. 2 ჩ), ჰიუზი (14 ქ. 4 პ. 3 ჩ), გუდენი (13 ქ. 7 მ), გიბსონი (11 ქ. 4 პ), ვარეჟაო (8 ქ. 11 მ. 3 პ).

**ატლანტა:** ჯო ჯონსონი (24 ქ), ჯოშ სმიტი (20 ქ. 8 მ), Mერვინ უილიამსი (16 ქ). 4 მ), ჩილდრესი (13 ქ. 4 ჩ), ჰორფორდი (8 ქ. 9 მ. 3 ჩ), ზაზა ფაჩულია (უქულოდ, 1 მ).

**შარლოტი-ჩიკაგო 97:109**

28:23, 29:26, 22:29, 18:31

**შარლოტი:** ჯ. რიჩარდსონი (28 ქ), ჯ. უოლასი (23 ქ. 11 მ. 8 პ. 2 დ), ფელტონი (134 ქ. 9 პ).

**ჩიკაგო:** გორდონი (22 ქ. 6 მ), დენგი (21 ქ. 13 მ. 5 პ), ნოა (17 ქ. 6 მ. 4 პ. 2 ჩ), ჯო სმიტი (16 ქ), ჰაინრიხი (11 ქ. 5 მ. 4 პ), ნოჩიონი (10 ქ), ბ. უოლასი (7 ქ. 10 მ. 4 პ. 3 დ).

**ორლანდო-ნიუ ჯერსი 95:96**

31:18, 15:20, 31:28, 18:30

**ორლანდო:** თურქოღლუ (23 ქ), აროიო (16 ქ. 7 პ), რ. ლუისი (14 ქ. 3 დ. 2 ჩ), დ. ჰოვარდი (13 ქ. 13 მ. 2 დ), ფოილი (10 ქ. 6 მ), ბოგანსი (10 ქ. 3 ჩ).

**ნიუ ჯერსი:** ვ. კარტერი (18 ქ. 7 მ. 6 პ), რ. ჯეფერსონი (14 ქ. 2 ჩ. 2 დ), ნახბარი (13 ქ. 5 მ. 4 პ), დ. არმსტრონგი (13 ქ), მ. ალენი (12 ქ), კიდი (10 ქ. 10 მ. 8 პ), ჯ. კოლინზი (10 ქ).

**ინდიანა-მემფისი 72:90**

22:26, 22:17, 19:28, 9:19

**ინდიანა:** მ. დანლივი-უმცროსი (16 ქ. 5 მ. 3 ჩ), ფოსტერი (13 ქ. 9 მ), ოუენსი (11 ქ. 2 ჩ), მერფი (10 ქ. 15 მ).

**მემფისი:** გასოლი (30 ქ. 12 მ), გეი (24 ქ. 6 მ. 5 პ. 2 ჩ), მ. მილერი (19 ქ. 11 მ. 4 პ. 2 ჩ), კონლი (7 ქ. 8 პ. 6 მ. 3 ჩ).

**იუტა-ფილადელფია 110:107**

24:20, 29:27, 25:24, 32:36

**იუტა:** ბუზერი (22 ქ. 9 მ), ოქური (20 ქ. 2 დ), დ. უილიამსი (15 ქ. 20 პ. 2 დ), კორვერი (14 ქ), სი. ჯეი. მაილზი (12 ქ. 3 ჩ), რ. ბრიუერი (11 ქ).

**ფილადელფია:** იგუოდალა (30 ქ. 6 მ. 4 ჩ), ა. მილერი (25 ქ. 8 პ), დალემბერი (20 ქ. 10 მ. 3 დ), ლ. უილიამსი (17 ქ. 4 პ), რ. ევანსი (2 ქ. 12 მ).

**კლიპერსი-ნიუ ორლეანი 81:95**

16:23, 25:18, 17:30, 23:24

**კლიპერსი:** მაგეტი (20 ქ. 6 მ. 4 პ), ტორნტონი (15 ქ), მობლი (13 ქ), ნაიტი (12 ქ. 7 პ. 4 ჩ), კამანი (9 ქ. 11 მ. 5 პ. 3 დ).

**ნიუ ორლეანი:** დევიდ უესტი (29 ქ. 10 მ), პოლი (16 ქ. 13 პ. 4 მ), სტოიაკოვიჩი (16 ქ. 6 მ), ჩენდლერი (14 ქ. 15 მ).

**ვაშინგტონი-დეტროიტი 93:106**

27:26, 20:31, 25:27, 21:22

**ვაშინგტონი:** კ. ბატლერი (22 ქ. 7 მ. 6 პ. 2 ჩ), ჯეიმისონი (21 ქ. 9 მ), ა. დენიელსი (18 ქ), ჰეივუდი (15 ქ. 10 მ).

**დეტროიტი:** რ. ჰამილტონი (20 ქ. 9 პ. 7 მ), ბილაპსი (16 ქ), რ. უოლასი (16 ქ. 8 მ. 3 პ. 2 დ), მაქსიელი (15 ქ. 7 მ), ჯ. ჰეიესი (12 ქ), პრინსი (11 ქ. 5 მ), მაკდაიესი (10 ქ. 8 მ).

**მაიამი-მილუოკი 98:103**

26:22, 21:23, 20:26, 31:32

**მაიამი:** უეიდი (27 ქ. 8 პ. 4 ჩ), რ. დევისი (23 ქ. 4 პ. 4 ჩ), ქვინი (12 ქ. 4 პ. 2 ჩ) მ. ბლაუნტი (11 ქ), კუკი (11 ქ), ჰასლემი (10 ქ. 8 მ. 2 ჩ).

**მილუოკი:** მო უილიამსი (25 ქ. 9 პ. 2 ჩ), ვილიანოვა (15 ქ. 5 მ), ბოგუტი (13 ქ. 12 მ), ჩ. ბელი (12 ქ. 5 მ), სიმონსი (11 ქ. 7 მ. 2 ჩ), ქსიანლიანი (10 ქ. 7 მ. 3 ჩ).

**დალასი-გოლდ. სტ 121:99**

36:23, 24:29, 29:33, 32:14

**დალასი:** ნოვიცკი (29 ქ. 8 მ. 6 პ. 3 დ), ჯოშ ჰოვარდი (19 ქ. 13 მ. 3 პ), დ. ჰარისი (17 ქ. 5 პ), სტექჰაუზი (16 ქ. 2 ჩ), დემპიე (13 ქ. 7 მ. 3 დ), ბასი (12 ქ. 11 მ).

**გოლდენ სტეიტი:** ს. ჯექსონი (25 ქ. 4 მ. 4 პ. 2 ჩ), ე. ჰარინგტონი (21 ქ. 6 მ), მ. ელისი (13 ქ. 5 მ), ბ. დევისი (10 ქ. 6 პ), ბიედრინში (10 ქ. 5 მ).

**მინესოტა-პორტლენდი 79:90**

18:23, 24:29, 20:23, 17:!5

**მინესოტა:** ე. ჯეფერსონი (29 ქ. 16 მ. 3 დ), გომესი (10 ქ. 10 მ).

**პორტლენდი:** როი (24 ქ. 5 მ. 3 პ), ჯეიმს ჯოუნსი (18 ქ), ოლდრიჯი (17 ქ. 11 მ. 4 დ).

**ნიუ იორკი-საკრამენტო 97:107**

23:28, 17:26, 30:35, 27:18

**ნიუ იორკი:** კარი (24 ქ. 5 მ), ნ. რობინსონი (19 ქ), მარბერი (16 ქ. 4 პ. 2 ჩ), ლი (11 ქ. 12 მ).

**საკრამენტო:** 32 ქ. 11 მ. 6 პ. 6 ჩ), ბ. მილერი (26 ქ. 16 მ), გარსია (22 ქ. 7 მ. 3 ჩ), უდრიხი (12 ქ. 6 მ. 5 პ. 3 ჩ).

## TV სპორტი

### 4 იანვარი. პარასკევი

**НТВ-პლუსი (ფეხბურთი)**

13:00 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
13:20 უიქენდის მატჩების ანონსი.
13:25 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნაიტედი-ბირმინგემი.
15:15 ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
16:15 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
16:30 ტოქ-შოუ - 2:1.
17:20 ჩემპონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. შტუტგარტი-რეინჯერსი.
19:20 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
19:40 ინგლისის ჩემპიონატი. ფელჰემი-ჩელსი.
21:30 საფეხბურთო კლუბი.
22:25 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.
22:55 თავისუფალი დარტყმა. საინფორმაციო პროგრამა.
23:20 ჩემპონთა ლიგის ჰიტ-ალლუმი. ლიონი-ბარსელონა
01:10 საფეხბურთო კლუბი.
02:00 FUTBOL MUNDIAL. საერთაშორისო ტელეჟურნალი.

**SPORT 1 (უკრაინა)**

09:30 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
09:55 ფეხბურთი. Barca TV.
10:04 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
10:30 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
11:00 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. 1/2 ფინალი. დინამო-ბაიერნი.
12:40 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი.
14:30 ფეხბურთი. Barca TV.
14:40 ავტოსპორტი. A1 გრან-პრი. ჩინეთი. მიმოხილვა.
15:35 ჩოგბურთი. ATP-ის მიმოხილვა.
16:02 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-შტუტგარტი.
17:45 მინი-მოედანი.
18:05 ჩემი სპორტი.
18:30 ფეხბურთი. Barca TV.
18:38 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
19:38 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ჯგუფური ეტაპი. X ტური. ჟალგირისი-მონტეპასკი.
21:25 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. მიმოხილვა.
21:55 რეტრო-ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. 1998-99. ფინალი. მანჩესტერი-ბაიერნი.
00:00 ჰოკეი. NHL. რეგულარული ჩემპიონატი. ბაფალო-ტორონტო.
01:45 პროფესიული კრივი. 2007 წლის საუკეთესო ბრძოლები.
02:50 ფეხბურთი. Barca TV.
03:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ნიუკასლი-მანჩესტერ სიტი.
04:30 მინი-მოედანი.
05:10 ჩემი სპორტი.
05:35 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. საუკეთესო მატჩები. ვერდერი-შტუტგარტი.
07:18 სპორტდოსიე. ბეისბოლი.
07:44 ჩემი სპორტი.

**EUROSPORT**

11:30 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ინსბრუკი. ავსტრია.
12:45 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. ობერჰოფი. გერმანია.
13:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. კვალიფიკაცია. ინსბრუკი. ავსტრია.
15:00 თხილამურებით რბოლა. მსოფლიო თასი. მამაკაცები, ქალები. სპრინტი. ასიაგო. იტალია (LIVE).
16:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. ქალები. ესტაფეტა. ობერჰოფი. გერმანია.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. 1/2 ფინალი. დოჰა. კატარი (LIVE).
18:45 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ინსბრუკი. ავსტრია.
20:15 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. ობერჰოფი. გერმანია (LIVE).
22:00 ტრამპლინიდან ხტომა. მსოფლიო თასი. HS130. ინსბრუკი. ავსტრია.
23:30 ბიატლონი. მსოფლიო თასი. მამაკაცები. ესტაფეტა. ობერჰოფი. გერმანია.
00:30 რალი-რეიდი. დაკარი 2007. მიმოხილვა.
01:30 რესტლინგი.
03:00 ექსტრემალური სპორტი.
03:30 რალი-რეიდი. დაკარი 2007. მიმოხილვა.

**EUROSPORT-2**

10:30 ახალი ამბები.
13:00 სნოუბორდი. გერმანია.
14:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელთათვის). 1/4 ფინალი. ჩეხეთი.
15:00 ახალი ამბები.
17:00 ფეხბურთი. ევრო 2008.
18:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელთათვის). 1/4 ფინალი. ჩეხეთი.
19:00 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელთათვის). 1/2 ფინალი. ჩეხეთი (LIVE).
21:15 ახალი ამბები.
21:30 სნოუბორდი. გერმანია.
22:30 ახალი ამბები.
23:00 კალათბურთი. ULEB-ის ევროლიგა. ტელეჟურნალი.
23:15 რაგბი. საფრანგეთის ჩემპიონატი. TOP 14. ბიარიტცი-მონტობანი (LIVE).
01:15 სნოუბორდი. შვეიცარია.
02:00 ახალი ამბები.
02:15 ჰოკეი. მსოფლიო ჩემპიონატი (20-წლამდელთათვის). 1/2 ფინალი. ჩეხეთი.
03:15 ახალი ამბები.

## ახალი ამბები



### ტი-მაკი კიდევ 7 მატჩს გამოტოვებს

ჭიანურდება „ჰიუსტონ როკეტსის“ ერთ-ერთი ლიდერის, ტრეისი მაკგრედის მოედანზე დაბრუნების პროცესი. კალათბურთელს მარცხენა ფეხი სერიოზულად აქვს დაზიანებული და როგორც გაზეთი Houston Chronicle წერს, ტრეისის კიდევ 7 მატჩის გამოტოვება მოუწევს.

*„ჩემი მდგომარეობა არ შეცვლილა. ჯერ არ ვიცი, როდის შევძლებ ვარჯიშების განახლებას და ჩემპიონატში დაბრუნებას. მართალია, ყოველდღე სპეციალურ პროცედურებს გავდივარ, მაგრამ მტკივან ფეხში ძალას ვერ ვგრძნობ“*, - აღნიშნა მაკგრეიდიმ.

### დანკანმა ორწლიანი გააფორმა

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, „სან ანტონიო სპურსის“ ლიდერს ტიმ დანკანს განზრახული ჰქონდა კლუბთან ახალი, ორწლიანი ხელშეკრულების გაფორმება. გუშინ ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ლიგის ვარსკვლავმა ხელი მოაწერა კონტრაქტს, რომელიც 2010 წლის ზაფხულამდე იქნება ძალაში. ორი სეზონის სანაცვლოდ, ტიმი ჯამში 40 მილიონ დოლარს მიიღებს.

### არტესტს ოპერაცია დასჭირდა

„საკრამენტო კინგზმა“ სერიოზული დანაკლისი განიცადა. რეგულარული ჩემპიონატის ერთ-ერთი ბოლო ტურში მარჯვენა ხელის ტრავმა მიიღო გუნდის ლიდერმა **რონ არტესტმა** და ახლა, ამ დაზიანების სამკურნალოდ მას ოპერაცია ესაჭიროება.

არტესტმა ამ სეზონში 19 მატჩი ჩაატარა და მისი სტატისტიკური მონაგარი ასე გამოიყურება: 19.1 ქულა, 6.1 მოხსნა და 4.3 პასი.

სააგენტო „როიტერის“ ცნობით, ჯერჯერობით უცნობია, როდის დაუბრუნდება მოედანს არტესტი. სავარაუდოდ, ეს ორ-სამ კვირაში მოხდება.

### უებერი დაბრუნებას აპირებს

NBA-ის ყოფილმა ვარსკვლავმა **კრის უებერმა**, რომელსაც ასოციაციაში 14 სეზონი აქვს გატარებული, წლევანდელი რეგულარულის წინ კარიერის დასრულება გადაწყვიტა, მაგრამ კალათბურთელმა შესაძლოა დიდი სპორტიდან წასვლა გადაიფიქროს.

*„ის ჯერ არ დაასრულებს კარიერას. კრისი აუცილებლად ითამაშებს. მხოლოდ გუნდის საკითხია გასარკვევი. უებერი უახლოეს მომავალში მიიღებს გადაწყვეტილებას“*, - ამბობს კალათბურთელის აგენტი **აარონ გუდვინი**.

უებერისთვის ყველაზე სასურველი გუნდი „დეტროიტ პისტონზია“. მაგრამ ეს კლუბი ვეტერანს დასახმარებლად უკიდურეს შემთხვევაში მიმართავს, ასეთი მომენტი კი ჯერ არ დამდგარა. დასაქმების სხვა ვარიანტები კი, ჯერ არ დასახელებულა.

### ტინსლიმ უნდა დაისვენოს

„ინდიანა პეისერსის“ ძირითადი მცველი **ჯამაალ ტინსლი** მინიმუმ ერთ კვირას გამოტოვებს ფეხის ტრავმის გამო, რომელიც მან „მაიამი ჰიტთან“ მატჩის დროს მიიღო. კალათბურთელს პაუზის აღება თავად კლუბის ხელმძღვანელობებმა მოსთხოვეს.

*„სამწუხაროდ, ბოლო ხუთ მატჩში მან ვერ აჩვენა თავისი შესაძლებლობების მაქსიმუმი. ტინსლის ძალიან უნდა თამაში და ჩვენ ამას ვაფასებთ, მაგრამ არ შეიძლება მოედანზე ტრავმით გასვლა. ამიტომაც, გადავწყვიტეთ 7-10 დღეს უარი ვთქვათ ჯამაალის სამსახურზე“*, - განაცხადა „ინდიანას“ მთავარმა მწვრთნელმა **ჯიმ ო'ბრაიენმა**.

### კვირის ლაურეატები

ეროვნულმა საკალათბურთო ასოციაციამ კვირის საუკეთესო მოთამაშეები გამოავლინა. დასავლეთი კონფერენციის რჩეული გახდა „ნიუ ორლეან ჰორნეთსის“ გამთამაშებელი **კრის პოლი**, აღმოსავლეთში კი, ყველას აჯობა „ბოსტონ სელტიქსის“ ფორვარდმა **პოლ პირსმა**.

პირსი „ბოსტონს“ ოთხიდან ოთხ მოგებაში დაეხმარა. ის საშუალოდ ერთ თამაშში 27.5 ქულასა და 6.0 მოხსნას აგროვებდა. ოთხშაბათს, „ბოსტონმა“ 116:98 დაამარცხა „მემფისი“ და იმ მატჩში პოლმა 40 ქულა მიითვალა.

კრის პოლის წარმატებული თამაშის წყალობით კი, „ნიუ ორლეანმა“ სამიდან სამი მატჩი მოიგო. პოლის სტატისტიკა 25.7 ქულასა და 9.9 შედეგიან პასს შეადგენდა.

კალათბურთი

### სამწვრთნელო გადაადგილებები

საშუაო არდადეგებზე ევროპის ორმა წამყვანმა კლუბმა გამოიცვალა მწვრთნელი.

თელ-ავივის „მაკაბის“ ხელმძღვანელობამ უკმაყოფილება გამოთქვა კლუბის მიერ სეზონის პირველ ნაწილში ნაჩვენები შედეგების გამო და ამის გამო, თანამდებობა დატოვა მთავარმა მწვრთნელმა **ოდედ კატაშმა**. წარსულში „მაკაბის“ ლეგენდარულ კალათბურთელს უკვე მოუძებნეს შემცვლელი. ეს გახლავთ ისრაელის ნაკრების დამრიგებელი **ცვიკ შარფი**.

*„კლუბს ცვლილებები სჭირდებოდა, ამიტომაც გადავწყვიტე, რომ ამ სიტუაციაში წასვლა საუკეთესო გამოსავალი იქნებოდა“*, - განაცხადა კატაშმა.

შეგახსენებთ, რომ „მაკაბი“ ევროლიგის B ჯგუფში მესამე ადგილს იკავებს, გარდა ამისა, ეროვნულ ჩემპიონატში სამი მატჩი წააგო, რაც ბოლო წლებში გუნდისთვის არადამახასიათებელი იყო.

„მაკაბის“ ერთ-ერთმა შეფმა **შიმონ მიზრაჰიმ** დაადასტურა, რომ კატაშმა საკუთარი ინიციატივით დატოვა მთავარი მწვრთნელის პოსტი.

■ ■ ■

სეზონის მეორე ნაწილში ახალი დამრიგებელი ეყოლება იტალიის „ფორტიტუდოსაც“. მთავარი მწვრთნელის პოსტის დატოვება მოუწია **ანდრე მაცონს**, ამის მიზეზად კი, ULEB-ის თასზე და იტალიის ჩემპიონატში კლუბის წარუმატებელი გამოსვლა დასახელდა.

გუშინ გამოცხადდა, რომ მაცონის ადგილს სერბი სპეციალისტი **დრაგან საკოტა** დაიკავებს. 55 წლის მწვრთნელის ბოლო სამუშაო ადგილი ბელგრადის „ცრვენა ზვეზდა“ იყო, სადაც მან 2007 წლის მარტამდე იმუშავა. 2006 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე საკოტა სერბეთის ნაკრებს ხელმძღვანელობდა და იქ მე-11 ადგილი დაიკავა.

## ცხელი ხაზი

| | |
|---|---|
| **ფეხბურთი** | |
| **ესპანეთის თასი** | |
| ალმერია-ლევანტე | 1:1 |
| სარაგოსა-პონტევედრა | 3:1 |
| **კალათბურთი** | |
| **ევროლიგა** | |
| ლეტუვოს რიტასი-ლე მანი | 85:50 |
| ციბონა-არისი | 76:83 |
| ეფესი-მაკაბი | 68:83 |
| ჟალგირისი-მონტეპასკი | 75:69 |
| პირტუსი-ოლიმპიაკოსი | 80:91 |
| რომა-ფენერბაჩე | 63:84 |
| ტაუგრესი-პროკომი | 98:74 |
| რეალი-ბამბერგი | 93:57 |
| **ჰოკეი** | |
| **ფინეთი** | |
| იოკერიტი-სეიპა | 4:1 |
| კერპეტი-იუვიასკიულა | 5:5, პენ. 5:6 |
| პელიკანსი-ილვესი | 6:4 |
| პაკ-კიეკო | 4:7 |
| **ჩეხეთი** | |
| ვიტკოვიცე-პარდუბიცე | 3:0 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ფრიოლუნდა | 4:4 |
| ბრიუნესი-იურგორდენი | 8:2 |
| ლინჩოპინგი-მორა | 3:3 |
| სიოდერტალე-ფერიესტადი | 0:2 |
| ტიმრა-ლულეო | 4:2 |
| ჰვ71-მოდო | 2:3 |
| **ჩოგბურთი** | |
| **ATP. დოჰა** | |
| ლუბიჩიჩი-კოლშრაიბერი | 6:3, 6:7, 6:3 |
| ვავრინკა-კალერი | 6:3, 6:0 |
| მარეი-ტ. იოჰანსონი | 7:6, 6:0 |
| დავიდენკო-ტურსუნოვი | 7:5, 6:3 |
| **ATP. ჩენაი** | |
| გარსია ლოპესი-ეშაუერი | 4:6, 7:5, 7:6 |
| მაუ-ჩილიჩი | 2:6, 4:6 |
| ნადალი-რამი | 6:2, 6:1 |
| ჰაასე-ჟოვკო | 6:1, 7:5 |

ფორმულა 1

# ფორმულას მფრინავი ფინელები

შარშან, ფორმულა 1-ის ისტორიაში ახალი ფურცელი ჩაწერა ფინელმა კიმი რაიკონენმა, რომელმაც "ფერარისთან" ერთად ჩემპიონის ტიტული მოიპოვა. მსოფლიოს ყველაზე პრესტიჟულ სარბოლო სერიაში ფინელი პილოტები არც ისე მრავლად იყვნენ, მაგრამ ვინც იყვნენ, თითქმის ყველა მათგანი სამართლიანად ატარებდა ფორმულას ვარსკვლავის სტატუსს.

## როსბერგების დინასტია

ეს ქერათმიანი ბიჭები მოკრძალებულები და აუჩქარებლები ჩანან, მათი მოზომილი საუბრები ჟურნალისტებს ნერვებს უშლის, გულშემატკივრები კი თავს იტეხენ იმისთვის, რომ თავიანთ კუმირზე სრული წარმოდგენა შეიქმნან. მაგრამ, როგორც კი ბოლიდებში სხდებიან, ეს "აუჩქარებლები" წამსვე "სწრაფ ბიჭებად" იქცევიან, რომლებსაც არ სჩვევიათ არაფრის დათმობა.

პირველი "მფრინავი ფინელი" გახდა **კეიო ერიკ როსბერგი**, ან უბრალოდ **კეკე** როსბერგი. მომავალი ჩემპიონის მამა, ვეტერინარი **ლარს როსბერგი** მოყვარული მრბოლელი იყო და სწორედ მისი მხარდაჭერის წყალობით შეძლო კეკემ კარიერის დაწყება და კარტინგსა და ქვედა სარბოლო სერიებში წარმატების მიღწევა.

კეკე ფორმულა 1-ში საკმაოდ გვიან, 29 წლის ასაკში გამოჩნდა. მან იქ სუსტ გუნდში, Theodore-ში დაიწყო კარიერა და ყველა გააკვირვა, როცა თავის მეორე რბოლაში გამარჯვებას მიაღწია. მომდევნო ოთხი წელი როსბერგისთვის რთული აღმოჩნდა: ის სუსტ გუნდებში (ATS, Wolf და Fittipaldi) გამოდიოდა და ხშირად ვერ გადიოდა კვალიფიკაციას. ფინური გაზეთები მკაცრად აკრიტიკებდნენ როსბერგს, გულშემატკივრებმა კი, საერთოდ დაივიწყეს მისი არსებობა.

მხოლოდ **ფრენკ უილიამსმა** შეაფასა ავტომრბოლის ნიჭი და მას 1982 წლის სეზონისთვის კონტრაქტი შესთავაზა. კეკე ძალიან სწრაფი იყო, ყოველ ბოძებულ შანსს იყენებდა და აკურატულად აგროვებდა ქულებს. ამ მონდომებამ შედეგი გამოიღო - ფინელმა საჩემპიონო ტიტული მოიპოვა, თანაც ისე, რომ სეზონში მხოლოდ ერთი რბოლა მოიგო.

შემდეგ კი, ისევ დაიწყო პრობლემები... ტურბოძრავებზე გადასვლამ ძალთა თანაფარდობა შეცვალა და ფინელი იშვიათი წარმატებებით კმაყოფილდებოდა. როსბერგისთვის 1985 წელმა "უილიამსის" ხელმძღვანელობასთან და პარტნიორ **ნაიჯელ მენსელთან** კონფლიქტებში ჩაიარა. ფორმულა 1-ში თავისი ბოლო სეზონი კეკემ "მაკლარენის" რიგებში გაატარა და **ალენ პროსტისთვის** შექმნილი ბოლიდით ბევრი იწვალა.

ფორმულადან წასვლის შემდეგ, როსბერგი ახალგაზრდა ნიჭიერი პილოტების, **მიკა ჰაკინენის**, **იურკი ლეჰტოს** და **ოლივიე პანისის** მენეჯერი გახდა. პარალელურად, კეკე DTM-ში (Deutschen Tourenwagen Masters) გამოდიოდა, შემდეგ კი, საკუთარი გუნდი შექმნა, რომელიც ფორმულა 3-ის სერიაში იღებდა მონაწილეობას. ამჟამად, 58 წლის ფინელი თავის ვაჟთან, **ნიკოსთან** მუშაობს, რომელიც როსბერგების დინასტიის გამგრძელებელია და "უილიამსის" რიგებში ირიცხება.

ნიკო გერმანიაში, თავისი დედის სამშობლოში დაიბადა. მას ორმაგი მოქალაქეობა აქვს, თუმცა რბოლებზე გერმანიის სახელით გამოდის. სპეციალისტები მას დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებენ, ოღონდ სხვა გუნდში გადასვლის შემდეგ. მანამდე კი, ნიკო წლევანდელ სეზონსაც "უილიამსში" გაატარებს.

## მიკა ჰაკინენი: შუმის უძლიერესი კონკურენტი

ფორმულა 1-ში ყველაზე ძლიერ მოწინააღმდეგეზე საუბრისას, **მიხაელ შუმახერი** ყოველთვის **მიკა ჰაკინენის** სახელს ახსენებდა. მათი ბრძოლა ჯერ კიდევ ბრიტანეთის ფორმულა 3-ში დაიწყო და დიდი ხანი ამყოფებდა გულშემატკივრებს დაძაბულობაში.

ფორმულა 1-ში მიკას წარმატებები "მაკლარენის" სახელს უკავშირდება. მისი კარიერის გადამწყვეტ მომენტად აღიარებულია ის საშინელი ავარია, რომელშიც ის 1995 წლის შემოდგომაზე, ავსტრალიის გრან-პრის წინ საწვრთნელი რბოლისას მოხვდა. კიმის სიცოცხლე ბეწვზე ეკიდა: მხოლოდ ნეიროქირურგების მონდომებამ და პროფესიონალიზმმა დაუბრუნა ის ნორმალურ ცხოვრებას.

ამ რთულ მომენტში მიკას გვერდით ორი ადამიანი იდგა: მეგობარი გოგონა **ერია**, რომელიც მოგვიანებით ჰაკინენის მეუღლე გახდა და "მაკლარენის" შეფი **რონ დენისი**. ეს უკანასკნელი მამობრივი მზრუნველობით გამოირჩეოდა. მოგვიანებით, რონი ყველაფერში მხარში ედგა ჰაკინენს, რითაც ხშირად ზიანს აყენებდა გუნდის მეორე პილოტის, **დევიდ ქულთარდის** ინტერესებს. ერიამ ასევე დიდი როლი ითამაშა ფინელის კარიერაში: დატოვა ტელენამყვანის სამუშაო და მთლიანად ქმრის საქმეებში გადაერთო.

ავარიის შემდეგ, რბოლებს სულ სხვა ჰაკინენი დაუბრუნდა - უფრო სერიოზული და გულჩათხრობილი. პრესკონფერენციებზე ჟურნალისტები ძლივს აგლეჯდნენ პირიდან პილოტს თავიანთ კითხვებზე პასუხებს. 1998 წლის სეზონმა ჰაკინენს პირველი ტიტული მოუტანა. "მაკლარენის" ბოლიდები თითქმის დაუმარცხებლები იყვნენ, მხოლოდ მიხაელ შუმახერი თავისი "ფერარით" ბოლომდე ებღაუჭებოდა შანსს და მან ბრძოლა გაუმართა ფინელ პილოტს. მომდევნო წელი რთული იყო, მაგრამ მიკამ შეინარჩუნა ტიტული. ამჯერად შუმახერთან ბრძოლა არ გამოვიდა: გერმანელმა რამდენიმე რბოლა ფეხის მოტეხილობის გამო გამოტოვა.

2000 წელს, "ფერარის" დომინირების ერა დაიწყო. მიკამ ცოტა ხნით ჩაიგდო ხელთ ლიდერობა, მაგრამ წლის ბოლოს ტრიუმფატორის რანგში მიხაელი მოგვევლინა. "მაკლარენი" სუსტდებოდა, მიკა დაიღალა და 2001 წლის სეზონის ბოლოს კარიერის დასრულების შესახებ განცხადება გააკეთა. ჭორებს თუ დავუჯერებთ, მან ეს გადაწყვეტილება ცოლის გავლენით მიიღო.

ჰაკინენი სამი წელი ისვენებდა, მთელს დროს ერიასთან და შვილ **ჰიუგოსთან** ატარებდა, მაგრამ ბოლომდე ავტოსპორტის დავიწყება ვერ შეძლო: ფინეთის რალიში მისი ეპიზოდური გამოსვლები საკმაოდ წარმატებული გახლდათ.

2004 წლის ზაფხულში გაჩნდა ჭორები მიკას ფორმულა 1-ში დაბრუნების შესახებ. საუბრობდნენ ჰაკინენის კონტრაქტზე BAR-თან ან "უილიამსთან". *"კვამლი ცეცხლის გარეშე არ არსებობს..."* - აინტრიგებდა გულშემატკივრებს მიკა, მაგრამ მის გეგმებს განხორციელება არ ეწერა. ამის ნაცვლად, ჰაკინენმა DTM-ში გამოსვლის გადაწყვეტილება მიიღო. წელს კი, ფინელმა საბოლოოდ დაასრულა კარიერა.

## მიკა სალო: მეორე მიკა

**მიკა სალო** მიკა ჰაკინენის მეზობლად ცხოვრობდა, პილოტები ერთმანეთს ბრიტანეთის ფორმულა 3-ში ებრძოდნენ. მიუხედავად ამისა, სალო ბოლომდე "მეორე მიკად" დარჩა და ფორმულა 1-ში წარმატების მიღწევა ვერ შეძლო.

სალო სწრაფი და ჭკვიანი პილოტი იყო, მაგრამ მისი კარიერა რთულად ვითარდებოდა. აშკარად სუსტ "ტირელში", "ეროუზში" და "ზაუბერში" გამოსვლამ, სალოს საკუთარი ნიჭის სრულად გამოვლენის საშუალება არ მისცა.

ფინელს თავის გამოჩენის ბრწყინვალე შანსი 1999 წელს მიეცა, როცა ის "ფერარიში" ტრავმირებული მიხაელ შუმახერის შემცვლელად მიიწვიეს. მიკამ შესანიშნავად გაართვა თავი დაკისრებულ ამოცანას და დიდი დახმარება გაუწია ჩემპიონობისთვის მებრძოლ თანაგუნდელ **ედი ირვაინს**. სალომ ერთხელ მას გერმანიის გრან-პრიზე გამარჯვებაც კი დაუთმო.

2001 წელს სალო "ტოიოტაში" ტესტებზე მუშაობდა და ფორმულა 1-ში ამ გუნდის საწყისი ნაბიჯები სწორედ მის სახელს უკავშირდება. ფინელმა "ტოიოტასთვის" სადებიუტო სეზონში ამ გუნდის რიგებში იასპარეზა, მაგრამ 2002 წლის ბოლოს, გუნდში კონფლიქტი წარმოიშვა. შეფებმა წარუმატებლობაში მრბოლელები დაადანაშაულეს - მიკა და მისი მეწყვილე **ალან მაკნიში**. თავის მხრივ, პილოტები ღიად საუბრობდნენ გუნდის სუსტ მხარეებზე.

ფორმულა 1-ში თავის ბოლო რბოლაზე სალო ცისფრად შეღებილი თმებით გამოცხადდა - ამით ფინელი "ტოიოტას" მხრიდან უსამართლო მოპყრობას აპროტესტებდა. *"მე მხოლოდ მრბოლელი არ ვყოფილვარ, 550 ადამიანის ძიძა ვიყავი. და ბედნიერი ვარ, რომ ეს თავგადასავალი წარსულს ჩაბარდა"*, - თქვა მაშინ მიკამ.

მეუღლე **ნორიკოსთან** და შვილ **მაქსთან** ცოტა ხნით დასვენების შემდეგ, სალო ოკეანისგაღმა გაეშურა, სადაც 2003 წელს "ჩემპკარის" სერიაში იასპარეზა, შემდეგ კი FIA GT-ის ჩემპიონატში გამოდიოდა.

## იურკი იარვი ლეჰტო: არშემდგარი ვარსკვლავი

სამწუხაროდ, ჰაკინენისა და სალოს თაობის კიდევ ერთი ფინელი პილოტის კარიერა მეტად უიღბლო გამოდგა. ახალგაზრდობაში იურკი იარვი წარმატებით გამოდიოდა კარტინგებში, იყო "ფორმულა ფორდისა" და ბრიტანეთის ფორმულა 3-ის ჩემპიონი.

ლეჰტო კეკე როსბერგის პროტეჟე გახლდათ. ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი თავის თანამემამულეზე დიდ იმედებს ამყარებდა. სწორედ კეკემ ურჩია ლეჰტოს შეეცვალა თავისი რთულად წარმოსათქმელი სახელი ორ ასო J-ზე და მას შემდეგ, სარბოლო სტატისტიკაში ამ პილოტს ჯეი ჯეი ლეჰტოთი მოიხსენიებდნენ.

ფინელი ფორმულა 1-ში 1989 წელს მოხვდა. თავიდან მეორეხარისხოვან გუნდებში ირიცხებოდა. თავის გამოჩენის შანსი მან საკმაოდ ძლიერ "ბენეტონში" გადასვლის შემდეგ მიიღო, მაგრამ 1994 წლის სეზონის დაწყებამდე ჯეი ჯეი მძიმე ავარიაში მოყვა და ხერხემალი დაიზიანა. იმ დროისთვის, სეზონის სტარტის წინ მსგავსი ინციდენტები ცუდ ნიშნად ითვლებოდა. ასეც მოხდა: ტრავმის გამო ლეჰტომ ჩემპიონატის დასაწყისში ორი რბოლა გამოტოვა, ხოლო მესამეში, იმოლაზე, ფორმულასთვის ტრაგიკულ უიქენდზე კვლავ სერიოზულ ავარიაში მოყვა.

ბედთან თამაში აღარ მოინდომა და ლეჰტო DTM-ში გადავიდა, შემდეგ ამერიკული სერია CART-ში გამოდიოდა. ნამდვილ წარმატებას მან ტურისტული ავტომობილების ჩემპიონატში მიაღწია.

## კიმი რაიკონენი: ყინულის ადამიანი

თავისი უემოციურობისა და სიტყვაძუნწობის გამო, **კიმის** ყინულის კაცი შეარქვეს. დღეს ჟურნალისტები სინანულით იხსენებენ მიკა ჰაკინენს, რომელიც რაიკონენის ფონზე მსოფლიოს საუკეთესო ორატორად გვევლინება.



კეკე და ნიკო როსბერგები

მაგრამ კიმს მშვიდ და გაწონასწორებულ ადამიანს ვერ ვუწოდებთ. გაზეთებში პერიოდულად ჩნდებოდა ცნობები მის ხმაურიან საღამოებზე, რომელიც მოდელ **ჯენი დალმანის** ცოლად მოყვანის შემდეგაც არ შეწყვეტილა. *"ნუთუ არ მაქვს დალევისა და ცეკვის უფლება"*, - ჯიუტობდა კიმი, მაგრამ "ფერარიში" გადასვლის შემდეგ, მისი ხმაურიანი ცხოვრება შეწყდა და რაიკონენმა სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი, რასაც იტალიური გუნდის რიგებში გატარებულ პირველივე სეზონში ჩემპიონის ტიტული მოჰყვა.

"ფერარიმდე" რაიკონენი "მაკლარენის" სახედ ითვლებოდა და ყოველი სეზონის წინ, ჩემპიონობის პრეტენდენტად განიხილებოდა, მაგრამ საბოლოოდ, ყოველთვის რაღაც აკლდებოდა ტიტულისთვის ბრძოლის დროს. როგორც კი, ლეგენდარული გერმანელი დიდი სპორტიდან წავიდა, კიმი სკუდერიაში მისი ადგილი დაიკავა და პირველი ტრიუმფიც იზეიმა.

რაიკონენმა "მაკლარენში" მიკა ჰაკინენი შეცვალა, ფორმულა 1-ში გამოსვლა კი, "ზაუბერის" შემადგენლობაში დაიწყო. საინტერესოა, რომ კიმი ბავშვობაში ჰოკეისტობაზე ოცნებობდა, მაგრამ მოგვიანებით მიხვდა, რომ უფრო მეტს ავტოსპორტში მიაღწევდა. მის ოჯახში ფული მუდმივად არ ჰყოფნიდათ და მომავალი ვარსკვლავის მშობლები ერთდროულად რამდენიმე ადგილას მუშაობდნენ, რათა სერიოზული კარიერის მოსაწყობად ფული ეშოვნათ.

## ჰეიკი კოვალაინენი: ფინეთის ახალი იმედი

**ჰეიკი კოვალაინენი** წელს მხოლოდ მეორე სეზონს გაატარებს ფორმულა 1-ში, მაგრამ მან უკვე მოასწრო გუნდის გამოცვლა. ზედიზედ მეორედ, ფინელს პილოტს მსოფლიოს ორგზის ჩემპიონის, **ფერნანდო ალონსოს** შემცვლელის როლი ერგო. მან ჯერ "რენოში" დაიკავა ესპანელის ადგილი, 2008 წელს კი, ფერნანდოს ნაცვლად "მაკლარენში" იასპარეზებს.

ფინელი დაბალ სერიებში ხშირად აღწევდა წარმატებებს, მაგრამ ამას დიდი ხანი არ აქცევდნენ ყურადღებას, მხოლოდ "ჩემპიონთა რბოლაში" ტრიუმფმა მიანიჭა მას "ახალი მფრინავი ფინელის" წოდება. *"ამ გამარჯვებამ ნამდვილი დიდება მომიტანა, მაგრამ ვერ შეცვალა ჩემი კარიერის სვლა"*, - განაცხადა მაშინ კოვალაინენმა, რომელმაც გააგრძელა "რენოს" ტესტ-პილოტის როლის შესრულება და პარალელურად, GP2-ის ჩემპიონატში მონაწილეობდა.

სპორტი ჰეიკის ცხოვრებაში უდიდეს როლს თამაშობს. მას უყვარს თხილამურებით სირბილი და ბიატლონი, ბევრს დადის ველოსიპედით, საათობით არის დაკავებული ფიტნესით, ტესტებზე კოვალაინენი სასიამოვნოდ აკვირვებს ინჟინრებს ტექნიკის დარგში. ჰეიკი მოკრძალებული ბიჭია, მაგრამ თავის ფასი იცის: *"ჯერ ბოლომდე არ მიჩვენებია საკუთარი პოტენციალი და კიდევ ბევრი რამ მაქვს სასწავლი. მაგრამ მე სწრაფი და სტაბილური პილოტი ვარ"*.

კოვალაინენი თავის ნაკლად სწრაფ ლაპარაკს მიიჩნევს, რაც ფინელებისთვის არადამახასიათებელი თვისებაა. სხვა დანარჩენში, ჰეიკი თავის ცნობილ თანამემამულეებს ჰგავს. ამიტომაც, ფინეთის ახალი იმედისგან დიდ წარმატებებს უახლოეს მომავალში ელიან.


სპორტული გაზეთი

მთავარი რედაქტორი
**თენგიზ გაჩეჩილაძე**

დირექტორი
**პაატა გელაშვილი**

რედაქტორები
**მამუკა ჩიხლაძე**
**გია თვალაბეიშვილი**

ქართული სპორტი
**ნიკოლოზ ნეფარიძე**
**პაატა თოთაძე**
**მერაბ მამულაშვილი**
**დავით ცაბაძე**
**ლევან ჯანეზაშვილი**
**გია ტუხაშვილი**
**დავით თავართქილაძე**
**ირაკლი თავაძე**
**ვაჟა სიმონიშვილი**
**ზვიად შათირიშვილი**
**კობა ხატისაშვილი**
**ბესიკ ჯანგავაძე**

უცხოური სპორტი
**შალვა ბიგილაშვილი**
**გოტფრიდ ლენცი**
**ილია ნიკოლაიშვილი**
**მერაბ ლორთქიფანიძე**
**დავით ჩუბინიძე**
**ზურაბ თალაკვაძე**

რეგიონული კორესპონდენტები:
**დავით კოხრეიძე, ვასილ ბალახაძე, მერაბ ბრძელიძე, მამუკა ძანთარია, ირაკლი დარცმელიძე, ნიკო ვაჟელიშვილი**

ფოტო
**ალექსანდრე კოტორაშვილი**
**ნუგზარ სუარიძე**

ტექნიკური რედაქტორი
**მიხეილ ჯაში**

ტექნიკური ჯგუფი:
**მანანა აკიმოვა, მზია ელიზბარაშვილი, ხათუნა სამხარაძე, დავით გეგეჭკორი, დავით შალუტაშვილი, კობა გელაშვილი**

კორექტურა
**ლელა ხომასურიძე**
**ლევან ბიგილაშვილი**

გავრცელების სამსახური და ფინანსური ჯგუფი:
**დავით მაისურაძე** (დირექტორის მოადგილე),
**გივი ვეშაპიძე,**
**ქეთევან დიდბერიძე**

მარკეტინგის სამსახური
**თამარ ჯიმშკარიანი** (ტ: 46 34 48)
**ბაქარ გაჩეჩილაძე** (ტ: 899 91 87 17)

პირველი ნომერი გამოვიდა 1934 წლის 13 აპრილს თბილისში, სახელით "საქართველოს ფიზკულტურელი". 1936-39 წლებში ერქვა "ფიზკულტურელი", "ლელომდე" დაიბეჭდა 362 ნომერი. 1949 წლის 10 ივლისს გაზეთი აღადგინა მიხეილ კაკაბაძემ.

2006 წელს გაერთიანდა გაზეთ "სპორტთან".

**სპორტი**

გამოდიოდა 2002-06 წლებში.

ლელოს მთავარი რედაქტორები:
**მიხეილ კაკაბაძე** (1949-52, 64-76)
**ერემო მახათაძე** (1952-53)
**ირაკლი უგულავა** (1953-64)
**ანზორ ბასილაია** (1976-83)
**არჩილ გოგელია** (1984-85)
**თენგიზ გაჩეჩილაძე** (1985-დან)

დამფუძნებლები: **შპს გაზეთი ლელო, შპს სპორტმედია**

პარტნიორი:
**საქართველოს ოლიმპიური ფონდი**

**ახმეტელის 10ბ,**
**0159 თბილისი**
(დიღომი, ახალი კონსტრუქცია, პირველი სართული);

**ტელეფონი: 46 30 98**
**46 30 56, 46 32 62**
**899 55 48 97** (მთ. რედაქტორი)
**53 39 11**

ფაქსი +995 32 46 30 97

e-mail: sporti@sporti.ge
ინდექსი 66435 INDEX

**გამოდის ყოველდღე, გარდა კვირისა**